ბოდენის "საიდუმლო" დოკუმენტი გალის გაზეთიდან ითარგმნა A3
სპეცსამსახურები B4-B5
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 12 ნოემბერი, 2002 წელი. №163
ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### რუსთავს სინათლის არ სჯერა

რუსთავის მერიასა და "რელასში" შესანიშნავად იცოდნენ, რომ მემორანდუმის პირობების შესრულება გაჭირდებოდა.

A3

## ეკონომიკა

### კავკასიის ქვეყნები ერთიან ენერგეტიკულ სივრცეს შექმნიან

სხვადასხვა ქვეყნები ერთმანეთთან აკავშირებენ საკუთარ ელექტროქსელებს, ქმნიან ერთიან ენერგეტიკულ სივრცეს, ამ გზით აუმჯობესებენ ელექტროენერგიის ხარისხს და მინიმალურ ტარიფსაც ინარჩუნებენ.

A4

## უცხოეთი

### ევროკავშირმა და რუსეთმა შეთანხმებას მიაღწიეს

ბრიუსელში 11 ნოემბერს გამართულ სამიტზე ევროკავშირმა და რუსეთმა კალინინგრადის შესახებ ისტორიულ შეთანხმებას მიაღწიეს. კალინინგრადის მაცხოვრებლებს რუსეთის სხვა რეგიონებში გამგზავრება დამატებითი პრობლემების გარეშე შეეძლებათ.

A5

## საზოგადოება

### ნათელაშვილი ჭიბებგაფხეკილ სტუდენტებს უფასო ინტერნეტს ჰპირდება

გუშინ "ლეიბორისტული პარტიის" ახალგაზრდული ფრთა საკუთარ ლიდერთან შეხვედრისას იმდენად აღელვებული და დაბნეული იყო, რომ ნათელაშვილი, პარტიის თავმჯდომარის ნაცვლად, თამადად მოიხსენიეს. ახალგაზრდა "ლეიბორისტები", სიტყვით გამოსვლისას, ტექსტს დიდი გაჭირვებით კითხულობდნენ, რამაც დარბაზში მყოფი თანატოლები ხალისისა და გართობის გუნებაზე დააყენა.

A6

## სამართალი

### მკალავიშვილი უკან დახევას არ აპირებს

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პოლიციის თანამშრომლებთან და სპეცრაზმელებთან თითქმის უკვე კარგად დამეგობრებული განსასჯელი და მისი თანმხლებნი მაქსიმალურად ცდილობენ, რომ წესრიგი არ დაარღვიონ და ახალი პრობლემები არ შეიქმნან. სამართალდამცველებს უსიტყვოდ და უპრობლემოდ ემორჩილებიან და მშვიდად იშლებიან ხოლმე.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 14 | |
| ქუთაისი | 17 | |
| ბათუმი | 16 | |
| სოხუმი | 13 | |
| ფოთი | 16 | |
| თელავი | 13 | |
| ზუგდიდი | 16 | |
| გორი | 10 | |
| ახმეტა | 13 | |
| ჭიათურა | 13 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1949 |
| ევრო | 2.2149 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4715 |
| რუბლი | 0.0691 |

# გენო აფხაზებისგან "ბოდენის დოკუმენტის" მიღებას მოითხოვს


ჟან-მარი გენო

*გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილემ ჟან-მარი გენომ, აფხაზეთის სეპარატისტულ ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებების შემდეგ, ზუგდიდში მოკლე ინტერვიუ მისცა ქართველ ჟურნალისტებს.*

შოთა უტიაშვილი

**- რა მიზანს ისახავს თქვენი ვიზიტი?**

- მე უკვე ვესტუმრე გაერო-ს სამშვიდობო მისიების უმრავლესობას, აქ კი პირველად ვარ. იმედი მაქვს, ჩემი ვიზიტი იმის მიმანიშნებელი იქნება ყველასათვის, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაერო-ს უშიშროების საბჭო აფხაზეთის სამშვიდობო პროცესის წარმატებას.

**- როგორ აფასებთ მისიის მუშაობას?**

- ვფიქრობ, მისიამ შექმნა ის კონტექსტი, რომლის წიაღშიც შეიძლება სამშვიდობო პროცესის წარმართვა. მისია ესაუბრება ორივე მხარეს - როგორც სოხუმს, ისე თბილისს. იგი ყოველმხრივ უწყობს ხელს სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოებას. მაგრამ, ნათელია, რომ მხოლოდ და მხოლოდ მხარეებს შორის მოლაპარაკებები მოიტანს წარმატებას და მისია ამ საქმეს ვერ გააკეთებს.

**- აფხაზები "ბოდენის დოკუმენტს" არ იღებენ. ამ ფონზე როგორ წარმოგიდგენიათ სამშვიდობო პროცესის მომავალი?**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ძალისმიერი გზა უპერსპექტივოა

### ეს ჩეჩნეთის კონფლიქტის მაგალითზეც კარგად გამოჩნდა

*რამდენიმე დღეა, საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ჟან-მარი გენო იმყოფება. ამ ვიზიტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ მზარდ დაინტერესებას, რასაც საერთაშორისო თანამეგობრობა აფხაზეთის პრობლემის მიმართ იჩენს. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში საკვანძო ადგილი კვლავ "ბოდენის დოკუმენტს" უკავია, რომელსაც აფხაზეთის მხარე ისევ არ ცნობს. გაერო-ში უშიშროების საბჭოს სხდომა, სადაც ეს დოკუმენტი უნდა განხილულიყო, უკვე ორჯერ გადაიდო. რატომ გადაიდო ეს სხდომები და როგორია რუსეთის დამოკიდებულება "ბოდენის დოკუმენტის" მიმართ? - ამ საკითხებზე "24 საათი" ნიუ-ორკში გაერო-ში საქართველოს სპეციალურ წარმომადგენელს - რეზო ადამიას დაუკავშირდა.*

ეკა კვესიტაძე

**- გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთი მხარს დაუჭერს გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე "ბოდენის დოკუმენტს," თუ ეს დოკუმენტი დღის წესრიგში დადგა. რამდენად სწორია ეს ინფორმაცია?**

- ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ არასწორი ინფორმაცია გავრცელდა ყველა მხრიდან. რუსეთი, ბუნებრივია, ღიად არასოდეს ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და, შესაბამისად, ღიად არც იმას უპირისპირდება, რომ ეს საკითხი გაერო-ში იქნას განხილული.

მაგრამ რუსეთი წინააღმდეგია იმისა, რომ უშიშროების საბჭომ "ბოდენის დოკუმენტის" მხარდაჭერა რეზოლუციის მიღებით გამოხატოს. მაშინ ეს დოკუმენტი მიიღებს არა მარტო ბოდენის სახელს, არამედ მას, როგორც უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ დოკუმენტს, უკვე ლეგალური ძალა ექნება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ეი-ი-ესი„ „სიმენსის„ ექსპერტების შეშვებას არ აპირებს

გიორგი კალანდაძე

**"იმედია, საქართველოს ხელისუფლება ამერიკულ კომპანიასთან უფრო მკაცრი და კატეგორიული იქნება, რათა საბოლოოდ გაირკვეს მეათე ენერგობლოკზე მომხდარი ავარიის მიზეზები,"** - განაცხადა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ნორბერტ კლოპენბურგმა, რომელმაც გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრს შესჩივლა, "ეი-ი-ესის" წარმომადგენლები მეათე ენერგობლოკზე მომხდარი ავარიის მიზეზების დასადგენად, გერმანული ბანკის ექსპერტებს ენერგობლოკის ტერიტორიაზე არ უშვებენო. საქართველოს მთავრობის წევრებმა კლოპენბურგი დაამშვიდეს და აუწყეს, რომ გერმანელი ექსპერტები ენერგობლოკის ტერიტორიაზე საქართველოს უშიშროების სამინისტროს სპეციალისტებთან ერთად შევლენ. ამას, თავის მხრივ, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან "ეი-ი-ესში", სადაც აცხადებენ, რომ გერმანულ მხარესთან ურთიერთობა საქართველოს მთავრობამ უნდა მოაგვაროს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## პოლიტიკური ტატამი: გამახარია ნადარეიშვილის წინააღმდეგ

*აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის მიერ უშიშროების აგენტობაში მხილებული ფრაქცია XXI საუკუნის წევრი ჯემალ გამახარია საკითხის შესწავლას პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას სთხოვს. მეტიც: იგი აცხადებს, რომ მისი გამართლების შემთხვევაში (რაშიც, რაღა თქმა უნდა, ეჭვი არ ეპარება), ნადარეიშვილმა გამახარიას საჯაროდ ბოდიში უნდა მოუხადოს და პარლამენტი "თავჩაღუნულმა და შერცხვენილმა" დატოვოს.*

თამარ მჭედლიშვილი

აფხაზეთისა და აჭარის საპარლამენტო დეპუტაციებს შორის ბრძოლები დღითიდღე მრავალფეროვანი ხდება. ამჯერად პოლიტიკურ ტატამზე ჯემალ გამახარია და თამაზ ნადარეიშვილი ასპარეზობენ.

შერკინების მიზეზი ერთ-ერთი საგაზეთო პუბლიკაცია გახდა. მასში თამაზ ნადარეიშვილმა ჯემალ გამახარია უშიშროების მიერ "დავერბოვკებულად" მოიხსენია და განაცხადა, რომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც აქვს. დოკუმენტაციაში იგი სააღრიცხვო ბარათს გულისხმობს, რომელიც ნებისმიერი პიროვნების გადმობირებისას ივსებოდა და სადაც ჯერ არს, იქ ინახებოდა.

გუშინ თამაზ ნადარეიშვილის ამ განცხადებას ფრაქცია "21-ე საუკუნემ" პრესკონფერენციით უპასუხა.

თუმცა, სანამ თავად პრესკონფერენციის პათოსზე ვისაუბრებდეთ, "24 საათი" შეეცადა, გაერკვია, თუ რამდენად რეალურია ამა თუ იმ პიროვნების იურიდიული მხილება სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში. აი, რა გამოვარკვიეთ:

გაგრძელება A2 გვერდზე

## ჩეჩნები კამიკაძე ბავშვებს ამზადებენ

რუსეთის სპეცსამსახურები ჩეჩენი ბოევიკების მხრიდან ახალ-ახალი ტერაქტების საშიშროებაზე საუბრობენ. ამით ისინი საინფორმაციო უზრუნველყოფას უკეთებენ იმ ფართომასშტაბიან ოპერაციებს, რომლებიც მოსკოვის ტერაქტის შემდეგ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე წამოიწყეს.

სოფიკო ჩხაიძე

"ტერორისტული ქსელი, რომელსაც მოვსარ ბარაევი ხელმძღვანელობდა, გაცილებით ფართო და აქტიური იყო, ვიდრე ამის წარმოდგენა ჩვეულებრივ მოქალაქეს შეუძლია", - ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ მოსკოვის კრიმინალური პოლიციის შეფმა ალექსანდრე გორელოვმა. მეტიც, მისი თქმით, ბარაევის რაზმის 10-12 ბოევიკი ჯერაც თავისუფალია. ამასთან, მოსკოვის "მაკდონალდსთან" მომხდარი აფეთქებაც მათივე ინსპირირებულია. ამ აფეთქებით ტერორისტებმა სამართალდამცველთა ყურადღება მოადუნეს, რათა უფრო თავისუფლად მომზადებულიყვნენ თეატრალურ ცენტრში შესაჭრელად.

გაგრძელება A7 გვერდზე

# „სტუმარ-მასპინძელი„ ვაშინგტონში


მანანა ანასაშვილის ფოტო
სცენა სპექტაკლიდან

მანანა ანასაშვილი

დეტროიტის უზარმაზარ ულტრათანამედროვე აეროპორტში, დიქტორის ხმა ჯერ ინგლისურად, შემდეგ კი ჩინურად ჩემს რეისს აცხადებს. მე, ამ ზესახელმწიფოს "სტუმარი" მის დედაქალაქში მივფრინავ... იქ, "მასპინძლები" ვაშინგტონის ერთ-ერთ თეატრში "სტუმარ-მასპინძელს" დგამენ.

31 ოქტომბერი. ვაშინგტონი. თბილი, მშვიდი საღამოა, მაგრამ ქართველებს რა დაგვამშვიდებს - ამ საღამოს ხომ ვაჟა-ფშაველას ითამაშებენ აქაურ სტანისლავსკის სახელობის სტუდიაში! ქართველების სიძეს, ბატონ მაიკლ ბარნაბას, რომელსაც თავისი მეუღლის სამშობლო ჯერ არ უნახავს, მაგრამ უკვე შეჰყვარებია, მანქანით მივყავართ თეატრისაკენ და გზადაგზა შეკითხვებს გვაყრის ვაჟა-ფშაველაზე, ჩვენებურ ადათ-წესებზე, ქართულ კულტურაზე. მისი მეუღლე, თამარ მეტრეველი ისეთი გადაჭარბებული სიამაყით აქებ-ადიდებს ყველაფერ ქართულს, რომ ადვილად შესამჩნევი ხდება რარიგ შემოსწოლია ნოსტალგია ამ სამი წლის განმავლობაში.

სტანისლავსკის სახელობის სტუდია, რომელიც ვაშინგტონის ცენტრში მდებარეობს და რომლის დამფუძნებლები პაატა ციქურიშვილი და ანდრეი მალაევ-ბაბელი არიან, სამი თეატრისაგან შედგება: სინთეზის თეატრი, ახალგაზრდული თეატრი და ოქროს თეატრი. პაატა ქართველ მაყურებლებს უთუოდ ეხსომებათ, იგი ხომ ამ ათიოდე წლის წინ პანტომიმის თეატრის მსახიობი იყო, ბატონ ამირან შალიკაშვილის აღზრდილი და დღემდე მისი უდიდესი თაყვანისმცემელი.

გაგრძელება B1 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ნავთობპოლიტიკა
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 სპეცსამსახურები B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

"24 საათის" ინფორმაციით, მიმდინარე კვირას პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების საპარამლენტო კომიტეტი სხდომის გამართვას აპირებს, რომელზეც შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები იქნებიან მოწვეულები. ეს ინფორმაცია კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმაც დაგვიდასტურა, თუმცა მეტის თქმისაგან მან თავი შეიკავა.

სხდომა ჟურნალისტებისთვის დახურული იქნება და მთლიანად მიეძღვნება ბრიტანელი ბანკირის პიტერ შოუს ტყვეობიდან გათავისუფლების დეტალებს.

ჯერჯერობით, კომიტეტის ხელმძღვანელობა თავს იკავებს წინასწარი შეფასებებისაგან, მაგრამ უკვე ცხადია, რომ სხდომა საკმაოდ დაძაბულად წარიმართება, რადგან არსებობს ბევრი კითხვა, რომელზეც ჩვენი ძალოვანი უწყებების პირველმა პირებმა სრულყოფილი პასუხი ვერ გასცეს.

თანაც, ყურადსაღებია ბრიტანეთში პიტერ შოუს პირველივე განცხადება, რომლის თანახმად მან ტყვეობიდან თავი, სპეცოპერაციის შედეგად კი არა, უბრალოდ, გაქცევით დააღწია.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, კომიტეტის სხდომაზე დასწრების სურვილი იმ დეპუტატებმაც გამოთქვეს, რომლებიც არ არიან თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრები.

როგორც ჩანს, სხდომა საკმაოდ ხმაურიანი იქნება და არ არის გამორიცხული, სკანდალური განცხადებებითაც დასრულდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ინფორმაციით, დეპუტატები არ აპირებენ არც ვალერი ხაბურძანიასა და არც კობა ნარჩემაშვილისათვის თავზე ხელის გადასმასა და მადლობის გადახდას სპეცოპერაციის ჩინებულად ჩატარების გამო.

■ ■ ■

**თბილისი.** "ტყვეობიდან პიტერ შოუს გაქცევა საქართველოს მთავრობის მიერ ოთხნახევარი თვის მანძილზე წარმოებული თანმიმდევრული მუშაობის ფონზე მოხდა, საქართველოს ხელისუფლების შემწეობით იგი უვნებლად ჩამოიყვანეს თბილისში და შემდეგ დიდ ბრიტანეთში გაამგზავრეს" - ნათქვამია დიდი ბრიტანეთის საელჩოს მიერ პიტერ შოუს გათავისუფლებასთან დაკავშირებით გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც საელჩოში აღნიშნავენ, მათი მოქალაქის გათავისუფლებისათვის საქართველოსადმი თავიანთი მადლიერება გამოხატეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა და საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ჯეკ სტრომ.

განცხადებაში ასევე ხაზგასმულია, რომ პიტერ შოუ და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება სრულად მიიღებენ მონაწილეობას გამტაცებელთა წინააღმდეგ სარჩელის აღძვრისა და გატაცებასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოძიების საქმეში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 14 ნოემბერს თბილისში გაიმართება საქართველოსა და რუსეთის სასაზღვრო სამსახურების შტაბების ხელმძღვანელთა შეხვედრა.

როგორც კავკას-პრესს საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტიდან აცნობეს, რუსეთის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონალური სასაზღვრო სამსახურის შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმირ პუტოვი.

შეხვედრაზე განიხილავენ საკითხთა მთელ კომპლექსს, რაც ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყებათა წინაშე დგას. კერძოდ, აუცილებელია საზღვრის მთელი პერიმეტრის რეკოგნოსცირება, პატრულირების მონაკვეთების განსაზღვრა და სხვ.

17 ოქტომბერს ხელმოწერილი ოქმის თანახმად, გაძლიერებულია საზღვრის დაცვა. ქართველმა და რუსმა მესაზღვრეებმა შეთანხმებულად უნდა განახორციელონ საზღვრის მთელი რიგი მონაკვეთების პატრულირება ჩეჩნეთის, დაღესტნისა და ინგუშეთის მიმართულებით. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა" მოახლოებული ზამთრისათვის მოუმზადებლობის და უკიდურესად დაძაბული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ქვეყანაში მწვავე სოციალურ აფეთქებას წინასწარმეტყველებს.

როგორც კავკას-პრესს "ერთობის" ლიდერებმა ჯუმბერ პატიაშვილმა და ალექსანდრე ჭაჭიამ განუცხადეს, ქვეყანაში არსებულ ფონზე აღმასრულებელი სტრუქტურებიდან და ხელისუფლების მხარდამჭერი საპარლამენტო ფრაქციებიდან ხშირად ისმის ხმები სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროების შესახებ და თავად ქვეყნის პრეზიდენტიც (რომლის ამასწინანდელ მოხსენებით გამოსვლას პარლამენტში "ერთობის" ლიდერები საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე უსირცხვილო დოკუმენტს უწოდებენ)თავისი "მოღვაწეობის" 10 წლისთავზე ამ პერსპექტივას არ უარყოფს.

"პრეზიდენტ შევარდნაძის და მის მიერ გამოზრდილი მლიქვნელი მოხელეების კორუმპირებული მმართველობის შედეგად პოლიტიკურ ჩიხში და ეკონომიკურ კოლაფსში" ჩავარდნილი ქვეყნის შექმნილი მდგომარეობიდან გამოსაყვანად "ერთობის" ლიდერები უკვე მერამდენედ ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების გამართვას მოითხოვენ. "საქართველოს პარლამენტში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ ცხადყოფს ხელისუფლების უუნარობას, მართოს ქვეყანა", - აცხადებენ "ერთობის" ლიდერები. "ერთობა" აქვე აღნიშნავს, რომ მათთვის "აბსოლუტურად მიუღებელია ის უზნეო ატმოსფერო, რომელიც გამეფებულია საქართველოს პარლამენტში, სადაც უხამსი საქციელი, ხულიგნური გამოხდომები ჩვეულებრივ ამბად იქცა, რაც ლახავს ქართველი ერის ღირსებას, კულტურას და ტრადიციებს". **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილის ჟან-მარი გიენოს ვიზიტის ძირითადი თემაა აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის განვითარების შემდგომი გეგმა, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დღევანდელ რადიოინტერვიუში.

მისი თქმით, გიენოსთან საინტერესო შეხვედრა ჰქონდა სახელმწიფო მინისტრს. ამჟამად გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილე სოხუმში იმყოფება, სადაც შეხვედრებს მართავს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან. საქართველოს პრეზიდენტს კი სოხუმიდან დაბრუნების შემდეგ შეხვდება.

პრეზიდენტის თქმით, გიენოსთან შეხვედრისას განიხილება ის საკითხები, რაც აფხაზეთის კონფლიქტის საბოლოოდ დასრულებას და ლტოლვილთა დაბრუნებას უკავშირდება.

ედუარდ შევარდნაძე იმედს გამოთქვამს, რომ არც ნატო-ს პრაღის სამიტი დასრულდება უშედეგოდ. "ევროპა თანდათანობით დგამს ნაბიჯებს მთელ კონტინენტზე მშვიდობის დასამყარებლად", - დასძინა მან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "თავისთავად პარლამენტში მწვავე დისკუსია არათუ ბუნებრივი, არამედ სასურველიცაა, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრება საღი აზრის ზღვარს სცილდება", - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დღევანდელ რადიოინტერვიუში, გასულ კვირას პარლამენტში გამართული დებატების კომენტირებისას, სადაც გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ თითქოს პრეზიდენტს არ სურს მინისტრთა კაბინეტის შემოღება და სხვა ინსტიტუციონალური ცვლილებები.

პრეზიდენტის თქმით, საკითხი, თითქოს მინისტრთა კაბინეტის შემოღების საკითხის განხილვას პრეზიდენტი აფერხებს, დაუსაბუთებელია. "პარლამენტისადმი ჩემს მიმართვაში ხაზგასმულია, რომ მივესალმები თუ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ამ საკითხს დაუბრუნდება. სამწუხაროდ ზოგიერთები სანახაობების მოწყობით და ცემა-ტყეპით არიან გართულნი, რაც გაცილებით იოლია, ვიდრე კანონპროექტებზე მუშაობა", - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

"მე ჩემი წინადადება არ გამიწვევია, იგი ძალაში რჩება და ამ საკითხის განხილვა მხოლოდ პარლამენტის პრეროგატივაა", - დასძინა მან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 12-16 ნომბერს უკრაინაში ქართულ-უკრაინული სამხედრო-პოლიტიკური მოლაპარაკებები გაიმართება. როგორც კავკას-პრესს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრეს-ცენტრში განუცხადეს, მოლაპარკებების საწარმოებლად დღეს უკრაინაში მიემგზავრებიან თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე.

უკრაინის მხრიდან მორლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებენ უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

შეგახსენებთ, რომ საქართველო უკრაინასთან აწარმოებს მოლაპარაკებებს საჰაერო თავდაცვის სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საქართველოს უკრაინის ვალი აქვს სამხედრო ვერტმფრენებისა, რომელიც უკარინაში დამზადდა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის 111-ე სესიის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ევროსაბჭოს მოღვაწეობას სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობისა და დემოკრატიის დამყარებაში, - ამგვარი განცხადება გაკეთდა კომიტეტის თავმჯდომარის ლიდი პოლფერის მოხსენების საფუძველზე, რომელიც ეხებოდა ივლისში მის ვიზიტებს სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში.

ამ კონტექსტში კომიტეტის წევრებმა ხაზგასმით მიუთითეს რუსეთისა და საქართველოს დიალოგზე, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის მიერ ევროსაბჭოში გაწევრიანებისას ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესზე.

სესიის დროს საგარეო საქმეთა მინისტრებმა და მათმა მოადგილეებმა აღნიშნეს იმ ინიციატივების შესახებ, რაც ითვალისწინებს სხვადასხვა კულტურული და რელიგიური ღონისძიებების ჩატარებას, მათ შორისაა სომხეთის ინიციატივა 2003 წლის მარტში ერევანში ფორუმის გამართვის შესახებ, ასევე აზერბაიჯანის ინიციატივა ევროპა-კავკასია-აზიის "კულტურული დერეფნის" გახსნასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტში ყველაზე უზრდელ პოლიტიკოსად ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი აღიარეს. ამას ადასტურებს სოციოლოგიურ და მარკეტინგულ გამოკვლევათა ცენტრის "ნეა-ინტერმედია" გამოკვლევის შედეგი, რომელშიც 400 რესპოდენტი მონაწილეობდა.

რჩეულიშვილი უზრდელად აღიარა გამოკითხულთა 18,1 პროცენტმა. მას მოსდევენ - მიხეილ სააკაშვილი (9,7), პეტრე ცისკარიშვილი (5,9), კობა დავითაშვილი (4,6). "უზრდელთა" ათეულში ასევე მოხვდნენ - ირაკლი გოგავა, გურამ შარაძე, ლევან პირველი, ვანო მერაბიშვილი, მერაბ სამადაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, საქართველომ და რუსეთმა უფრო მეტად უნდა იზრუნონ, რათა საზღვრის დარღვევისათვის დაპატიმრებული რუსეთის 8 მოქალაქე ჩეჩნის ექსტრადიციის საკითხი დაჩქარდეს.

როგორც ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში შევარდნაძემ განაცხადა, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შეჰპირდა, რომ ჩეჩნების ექსტრადიციაში დაბრკოლებები არ იქნებოდა, თუმცა, ევროსაბჭოს და ევროსასამართლოს ამ საკითხში ჩარევა "ახალი ელემენტია", ამდენად, ჩეჩნების რუსეთისათვის გადაცემა, აღნიშნული ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით გადაწყდება.

საქართველო-რუსეთის საზღვრის დარღვევისათვის 13 შეიარაღებული ჩეჩენი, მიმდინარე წლის აგვისტოში, ქართველმა მესაზღვრეებმა დააკავეს, ამასთან, 5 მათგანი რუსულ მხარეს უკვე გადასცეს.

პრეზიდენტის თქმით, ისევე როგორც აშშ-სთან, რუსეთთანაც გრძელდება დიალოგი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის მოსკოვში ბოლო ვიზიტი და მის კოლეგასთან ვლადიმირ რუშაილოსთან გამართული მოლაპარაკებები შედეგიანი იყო, - აღნიშნა მან.

შევარდნაძის განცხადებით, თედო ჯაფარიძემ, რომელიც ამჟამად აშშ-ში იმყოფება, რუსულ მხარეს განუმარტა, რომ ფედერაციიდან შემოსულმა ბანდფორმირებებმა პანკისის ხეობა სამუდამოდ დატოვეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთი ვალდებულია შეასრულოს ეუთოს, 1999 წლის სამიტის გადაწყვეტილება და ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, საქართველოდან სამხედრო ბაზები გაიყვანოს, - განუცხადა პრაიმ-ნიუსს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა ბეჟუაშვილმა.

"ამ საკითხში საქართველოს პოზიციის შეცვლა გამორიცხულია", - თქვა მან.

მისი თქმით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ, თუ რუსეთი ბათუმიდან და ახალქალაქიდან ბაზების გაყვანასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა გაჭიანურებას გააგრძელებს, მაშინ ქართული მხარე უფლებამოსილია რუსეთს სამხედროების დროებით დისლოკაციაზე უარი უთხრას.

ასეთ შემთხვევაში, საქართველომ შეუძლია რუსეთს ბაზების დაუყოვნებლივი გაყვანა მოსთხოვოს, - თქვა გელა ბეჟუაშვილმა.

რუსეთი თვლის, რომ ამ ბაზების გაყვანისათვის 11 წელია საჭირო, ხოლო საქართველო სამ წელზე თანხმდება.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ამ საკითხზე მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს.

ამასთან, რუსეთის მასმედიის ინფორმაციით, ქვეყნის გენშტაბი ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ შეთანხმების გადახედვას შეეცდება.

მოსკოვში შიშობენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ნატო-ს ახალი წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე ჩამოყალიბდება ზონა, რომელიც აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში არ მოექცევა და ნებისმიერი ოდენობით იარაღისა და სამხედრო ტექნიკის განთავსება იქნება შესაძლებელი.

რუსეთის გენშტაბის აზრით, შეთანხმება რუსეთს საშუალებას არ აძლევს, რომ სამხრეთ კავკასიაში სამხედრო ძალებს თავი მოუყაროს და აღმოსავლეთით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებაზე ადეკვატური რეაგირება მოახდინოს.

შეთანხმების გადახედვის შესაძლებლობა რუსეთის სამხედროებისათვის ერთ-ერთი საკვანძო მომენტია ამ პროცესისათვის სამხედრო წინააღმდეგობის გასაწევად.

რუსეთი დარწმუნებული არაა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების ნატო-ში მიღების შემდეგ, ამ ტერიტორიებზე "ალიანსის" სამხედრო ბაზები არ შეიქმნება, არ გადაისვრიან მძიმე ჯავშანტექნიკასა და ავიაციას, - აცხადებს გენშტაბის უფროსის პირველი მოადგილე იური ბალუევსკი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გერმანიის თავდაცვითი უწყების დელეგაცია თბილისს ოფიციალური ვიზიტით 13 ნოემბერს ეწვევა, - აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

მათი ინფორმაციით, ვიზიტის მსვლელობისას დაგეგმილია ბუნდესვერის დელეგაციის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეხვედრა.

მოლაპარაკებებზე განიხილება ორ ქვეყანას შორის 2003 წლის სამხედრო თანამშრომლობის პროგრამა.

გერმანიის დელეგაცია, რომლის ვიზიტი 26 ნოემბერს დასრულდება, ვაზიანის სამხედრო ბაზას, კოჯრის სწრაფი რეაგირების ცენტრს, კრწანისის პოლიგონსა და სხვა სამხედრო ობიექტებს მოინახულებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ფრეგატი "ფატიხი" მეგობრული ვიზიტით ფოთის პორტში 18 ნოემბერს შემოვა, - აცნობეს პრაიმ-ნიუსს თავდაცვის სამინისტროში.

ვიზიტისას დაგეგმილია ფოთის მერის დავით ქანთარიას, ასევე საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელობის თურქული გემის ეკიპაჟთან შეხვედრა, რომელსაც ხელმძღვანელობს მეორე რანგის კაპიტანის თუგურ ოსგანო.

თურქული ფრეგატი მონაწილეობას მიიღებს 19 ნოემბერს საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სწავლებებში, რომელშიც 11 ქართული სამხედრო გემი ჩაერთვება.

ფრეგატის სიგრძე 111 მეტრია, სიგანე - 14,2 მეტრი, ეკიპაჟის რაოდენობა - 176 ადამიანი, სიჩქარე - 40 კვანძი.

ფრეგატის შეიარაღებაშია ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებები და სამხედრო ვერტმფრენი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლეიბორისტული პარტია სიცრუედ მიიჩნევს "გაერთიანებული დემოკრატების" განცხადებას იმის შესახებ, რომ ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ თბილისის საკრებულოს თამაშებში, კერძოდ, ქალაქის მერის ივანე ზოდელავას იმპიჩმენტის საკითხში, რადგან, ლეიბორისტების მტკიცებით, "საზოგადოებას კარგად ახსოვს ის, რომ სწორედ "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერებმა ზურაბ ჟვანიამ და მიხეილ მაჭავარიანმა "მოქალაქეთა კავშირში" მოღვაწეობისას ისწავლეს გარიგების გზით სხვადასხვა თანამდებობის პირების დანიშვნა როგორც რაიონებში, ასევე ქალაქებში".

ამის შესახებ ნათქვამია ლეიბორისტული პარტიის მიერ ორშაბათს პრაიმ-ნიუსისათვის მიწოდებულ განცხადებაში.

ამასთან, ლეიბორისტები კატეგორიულად უარყოფენ "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებას იმის შესახებ, რომ თითქოს ივანე ზოდელავას იმპიჩმენტის საკითხი ლეიბორისტებმა სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის "პოლიტიკური დაკვეთით" წამოიწყეს.

ლეიბორისტული პარტია დღევანდელი ხელისუფლების პირობებში წარმოადგენს გამოკვეთილ ოპოზიციას, ამიტომ თავისთავად არ იქნება სახელმწიფო მინისტრის სურვილების შემსრულებელი ძალა, ნათქვამია განცხადებაში.

ლეიბორისტები უსაფუძვლოს უწოდებენ ასევე მაჭავარიანის განცხადებას, რომ 1998 წელს შევარდნაძემ გამგებლებად დანიშნა ლეიბორისტული პარტიის ორი წევრი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკში "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი" არ გამორიცხავენ ამ გაერთიანების ლიდერის მიხეილ სააკაშვილის კანდიდატურის განხილვას 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, თუ მანამდე საქართველოში საპრეზიდენტო ინსტიტუტი საერთოდ არ გაუქმდება.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს განუცხადა "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა.

ამავე დროს, მისი თქმით, აღნიშნული საკითხის განხილვა ჯერ ძალიან ნაადრევია.

როგორც დავით ბერძენიშვილმა აღნიშნა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტი საერთოდ გაუქმდება, ამიტომ დღეს პრეტენდენტობაზე განაცხადის გაკეთებას არავისთვის აქვს აზრი.

მისი თქმით, აღნიშნული საკითხის სერიოზული განხილვა შესაძლებელია მხოლოდ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

დავით ბერძენიშვილი არ გამორიცხავს, რომ მომავალმა პარლამენტმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოში ამჟამინდელი მმართველობის ფორმის საპარლამენტო რესპუბლიკად შეცვლის თაობაზე.

ამასთან, მისი თქმით, ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის სურვილი - მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში, რის შესახებაც "გაერთიანებული დემოკრატები" უკვე დღეს აცხადებენ, ხელს არ შეუშლის მათთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** განათლების სამინისტროს გარემონტებული შენობის გახსნის ცერემონია გაიმართება სამშაბათს თბილისში, რომელზეც მიწვეულები არიან პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე.

როგორც პრაიმ-ნიუსს განათლების სამინისტროში აცნობეს, უზნაძის ქუჩაზე მდებარე სამინისტროს შენობა რამდენიმე წლის წინ მომხდარი ძლიერი ხანძრის შედეგად დაზიანდა.

რემონტის მიმდინარეობისას განათლების სამინისტრო გვერდით მდებარე შენობაში ფუნქციონირებდა. **პრაიმ-ნიუსი**

# პოლიტიკური ტატამი: გამახარია ნადარეიშვილის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

*"ნეტარ საბჭოეთში" უშიშროების სისტემის ყველა მომავალი საიდუმლო თანამშრომელი ოპერმუშაკების მიერ საგულდაგულოდ მოწმდებოდა. ახალი პერსონის საიმედოობაში დარწმუნებული "ოპერი" ავსებდა სააღრიცხვო ბარათს, სადაც მითითებული იყო ახალი საიდუმლო აგენტის ყველა ზუსტი მონაცემი, ხოლო ანკეტის ბოლოში – მისი მეტსახელი. თითოეულ პიროვნებაზე რამდენიმე ასეთი სააღრიცხვო ბარათი იყო შედგენილი. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ თავად ამ ბარათებს ახალგამომცხვარი აგენტი ხელს არ აწერდა. ამ ბარათების ნაწილი ადგილობრივი უშიშროების კართოტეკებში ინახებოდა, მეორე ნაწილი კი მოსკოვში იგზავნებოდა.*

*აგენტი ასპარეზზე, თანაც საკუთარი ხელმოწერით, უკვე მუშაობის პროცესში ჩნდებოდა. აი, სწორედ აქ არის დამარხული ძაღლის თავი - საქმე ის გახლავთ, რომ სააღრიცხვო ბარათით ადამიანს აგენტობას ვერ დაუდასტურებ, თუკი შემდგომ მის ნამოღვაწარს ვერ წარმოადგენ. პრობლემა კი ის არის, რომ ძალიან დიდი ხანია, უშიშროების სამინისტროს არქივის უდიდესი ნაწილი (ყველა ამ ნაშრომის ჩათვლით) გაზიდულია საქართველოდან და კალუგაში ინახება.*



*ჯემალ გამახარია*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

დავუბრუნდეთ თავად პრესკონფერენციას. ჯემალ გამახარიამ განაცხადა, **"რომ იგი უარს ამბობს სადეპუტატო იმუნიტეტზე და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის მიერ წაყენებული ბრალდების გამო, მზად არის, ყველა სასამართლო უწყების წინაშე წარდგეს ჩვენების მისაცემად".** გამახარია ამას ოპონენტსაც სთავაზობს: **"ნადარეიშვილმაც უნდა მოიხსნას პარლამენტის წევრის იმუნიტეტი და ჩემთან ერთად წარდგეს სასამართლოს წინაშე."**

ჯემალ გამახარიას თქმით, მას თვენახევარის განმავლობაში ცენტრალური და აფხაზეთის უშიშროების სამსახურებიდან სისტემატურად აწვდიდნენ ინფორმაციას მის წინააღმდეგ დაგეგმილი პროვოკაციის შესახებ. აგენტობის შესახებ ბრალდება კი სწორედ იმ დღეს გახმაურდა, როცა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის წინააღმდეგ სხვა ცილისწამების გამო შეტანილი სარჩელის მოსამზადებელი სასამართლო განხილვა უნდა შემდგარიყო.

გამახარიას თქმით, მას ხშირად ურეკავდნენ ნადარეიშვილის მომხრეები, "მეომართა კავშირის" წევრები და სთხოვდნენ მათ შორის არსებული დაპირისპირების მშვიდობიანი გზით მოგვარებას. **"ამაზე იმ შემთხვევაში ვარ თანახმა, თუკი ნადარეიშვილი განაცხადებს, რომ ცრუობს",** - კატეგორიულია გამახარია.

მისივე თქმით, თუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აღიარებს, რომ მის ხელთ არსებული ე.წ. კგბ-ს ბარათი შეთითხნილია, მაშინ ნადარეიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი აღარ დადგება.

ფრაქცია "21-ე საუკუნის" ლიდერი ელიზბარ ჯაველიძე მხარში უდგას ჯემალ გამახარიას და აცხადებს, რომ იგი მომხრეა, პარლამენტმა ლუსტრაციის კანონი მიიღოს.

**„ეროვნულობისთვის მებრძოლი ადამიანებისთვის შეურაცხყოფის მიყენება სიონისტთა ძველი მეთოდია",** - განაცხადა ჯაველიძემ. მისი თქმით, აგენტობასთან დაკავშირებით ბრალდებების გამოთქმა ბოლო პერიოდში ადამიანების სახელის გატეხვის მიზნით ხდება.

დღეიდან საქმეში პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია ჩაერთვება. ალბათ, მიხეილ ოსაძე ნადარეიშვილისაგან ამ ბარათის წარმოდგენას მოითხოვს, შემდეგ კი შესაბამისი მოთხოვნა გაეგზავნება უშიშროების სამინისტროს, რათა ამ უწყებამ დაადასტუროს ამ ბარათის სინამდვილისა თუ სიყალბის საკითხი.

**„თუ ჩემი აგენტობა დადასტურდება, პარლამენტს დავტოვებ, მაგრამ თუ ნადარეიშვილის ბრალდება სიყალბე აღმოჩნდება, მან უარი უნდა თქვას პარლამენტის წევრობაზე, დაკავებულ თანამდებობაზე და პასუხი აგოს",** — განაცხადა გამახარიამ. მისივე თქმით, ეს საკითხი სისხლის სამართლის სფეროს განეკუთვნება და დაპირისპირებულ მხარეებს შორის დამნაშავე უნდა გასამართლდეს.

ჯემალ გამახარია დარწმუნებულია, რომ, თუ ასეთი ბარათი ნადარეიშვილს აღმოაჩნდება, იგი შეთითხნილი იქნება. შესაბამისად, იგი მოითხოვს იმ ადამიანების გამოაშკარავებას, ვინც ნადარეიშვილს ეს კომპრომატი გადასცეს.

და ბოლოს: გამახარია აცხადებს, რომ, თუკი მას მაინც დაუდასტურდება უშიშრობის აგენტობა, იგი დატოვებს პარლამენტს; თუ არა და, მაშინ პარლამენტარის მანდატს უკვე ნადარეიშვილი უნდა გამოეთხოვოს.

## რეგიონი

# რუსთავს სინათლის არ სჭერა

მაია მოსიაშვილი

რუსთავისათვის ელექტროენერგიის მიწოდება, უკვე მეორე დღეა, შედარებით სტაბილური გახდა. გასულ კვირას ელეტროენერგიის საბითუმო ბაზარმა ქალაქის მთლიანად ჩაქრობის მუქარა თითქმის სისრულეში მოიყვანა - მთელი კვირის მანძილზე დენი მხოლოდ სასიცოცხლო ობიექტებს მიეწოდებოდა. რუსთავში ამას საერთო ენერგოკრიზისით ხსნიდნენ, საბითუმო ბაზარი კი აცხადებდა, რომ რუსთავის ჩაბნელება ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო მოხდა. "რუსთავი არღვევს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და არ იხდის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურს," - ნათქვამია ენერგობაზრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

2002 წლის 30 ივნისს რუსთავის მერიას, "რელასსა" და საბითუმო ბაზარს შორის გაფორმდა "ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი", რომლის თანახმადაც რუსთავის მხარე ვალდებულებას იღებდა ივლისში დახარჯული ელექტროენერგიის 40 პროცენტის, ხოლო ყოველ მომდევნო თვეში 5 პროცენტით მეტის გადახდაზე. პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ელექტრობაზარს უფლება ეძლეოდა, მთლიანად გამოერთო ქალაქი. ჯერ კიდევ სექტემბერში, "24 საათი" წერდა, რომ აღნიშნული მემორანდუმი ვერ შესრულდებოდა და რუსთავი ზამთარში ელექტროენერგიის გარეშე დარჩებოდა. "წინასწარმეტყველება" შემოდგომაზევე ასრულდა - ელექტრობაზარმა რუსთავის უშუქობის მიზეზად სწორედ მემორანდუმი დაასახელა.

რუსთავის მერიასა და "რალასში" შესანიშნავად იცოდნენ, რომ მემორანდუმის პირობების შესრულება გაჭირდებოდა. "რელასის" გენერალური დირექტორი გოგი ხუბერაშვილი ჯერ კიდევ მაშინ აცხადებდა, რომ ნოემბერ-დეკემბერში 65-70 პროცენტის გადახდას ისინი ვერ შეძლებდნენ. მართლაც, ოქტომბერში, გაითვალისწინა რა რუსთავის მხარის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, ბაზარი დათმობაზე წავიდა და 60-ის ნაცვლად 50 პროცენტის ანაზღაურება მოსთხოვა "რელასს", ამ უკანასკნელმა კი მხოლოდ 40 პროცენტის გადახდა მოახერხა და დაისაჯა კიდეც - ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

ორი დღის წინ რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში წერილი მიიტანა მემორანდუმის შეწყვეტის მოთხოვნით. როგორ გაგრძელდება რუსთავისა და ელექტრობაზრის ურთიერთობა, ჯერჯერობით, უცნობია. "რელასის" გენერალური დირექტორის განცხადებით, დახარჯული ელექტროენერგიის 40 პროცენტზე მეტის გადახდას ისინი ვერ შეძლებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზართან ურთიერთობა არ დარეგულირებულა, რუსთავს ამჟამად ელექტროენერგია თითქმის უწყვეტად მიეწოდება. რუსთავის მერის თქმით, ეს ჯორბენაძის პირადი ჩარევით მოხერხდა. **"სახელმწიფო მინისტრმა პირადად დაავალა ენერგეტიკის მინისტრს, რომ რუსთავის ენერგომომარაგების საკითხი განყენებულად კი არა, დედაქალაქთან ერთად განიხილოს და რუსთავსაც ისე მიეწოდოს ელექტროენერგია, როგორც თბილისს,"** - ამბობს ტყეშელაშვილი.

# გარდაბანში ოპერატიული მდგომარეობა გართულდა

ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის, ალეკო ბუკიას მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გარდაბნის რაიონში ოპერატიული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გართულდა. ორი დღის წინ სოფელ ჯანდარის ტერიტორიაზე, ლემშვენიერა-ჯანდარის საავტომობილო გზაზე, დილის ხუთის ნახევარზე აეროპორტისაკენ მანქანით მიმავალ სამ აზერბაიჯანელს დაუდგენელმა პიროვნებებმა გზა გადაუჭრეს და ანიშნეს, გაჩერებულიყვნენ. მძღოლმა გულიევმა მანქანა არ შეაჩერა, რის შემდეგაც ერთ-ერთმა თავდამსხმელმა უკნიდან ესროლა. ტყვიამ საწვავის ბაკი გახვრიტა და ის უკანა სავარძელზე მჯდომ ადამიანს ზურგში მოხვდა. მძღოლმა მანქანა არც ამის შემდეგ გააჩერა და დაჭრილი პირდაპირ თბილისის მეოთხე საავადმყოფოში მიიყვანა. დაზარალებულთა ჩვენებით, გზაზე მათ სამხედროფორმიანი და შეიარაღებული ექვსი კაცი დაინახეს.

**"ეს პირველი შემთხვევა არ არის ამ ტერიტორიაზე და ეს ფაქტი საკმაოდ ბევრ ვერსიას წარმოქმნის. უკვე გვაქვს რაღაც ეჭვები გარკვეულ პიროვნებებზე და ისინი, შესაძლებელია, სახელმწიფო სტრუქტურებიდანაც იყვნენ. ამ ადგილზე ადრეც მოხდა დაყაჩაღება სამხედრო ფორმიანების მიერ, თუმცა, ჯერჯერობით, ვერაფერს დავადასტურებ,"** - განაცხადა ალეკო ბუკიამ. "24 საათთან" საუბარში მან არ გამორიცხა, რომ მოძალადეები პოლიციელები ან სხვა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებიც იყვნენ.

გასულ კვირას გარდაბნის რაიონის სამართალდამცველებმა ჩინეთის მოქალაქის ცემის ფაქტიც დააფიქსირეს, მაგრამ დღეისათვის პოლიციას რაიმე დამატებითი ინფორმაცია არ აქვს, რადგან დაზარალებული, 30 წლის იაოჯენი უარს ამბობს სამართალდამცველებისათვის ახსნა-განმარტების მიცემაზე. პოლიციისათვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ჩინელი ხე-ტყის ბიზნესით არის დაკავებული ვაზიანში არსებულ შპს "როკო"-ში. არაოფიციალური ინფორმაციით, მას ჩხუბი თავის ქართველ კომპანიონთან თანხასთან დაკავშირებით მოუვიდა. **"თუ ის გადაწყვეტს და ძიებისათვის ჩვენებას მოგვცემს, ხომ კარგი, თუ არა და თავისი საქმის თავად იცის. ჩვენ მის გარეშეც უამრავი საქმე გვაქვს გარდაბნის რაიონში,"** - აცხადებს სამხარეო პოლიციის უფროსი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ძალისმიერი გზა უპერსპექტივოა


რევაზ ადამია

პირველი გვერდიდან

სწორედ ამ წინააღმდეგობის გამო გადაიდო უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც ჯერ 31 ოქტომბერს იყო დაგეგმილი, შემდეგ - 4 ნოემბერს;

თუ დოკუმენტის განხილვა დღის წესრიგში დადგება, რუსები იტყვიან, რომ ამ საკითხს მხარს დაუჭერენ. მაგრამ მთელი პრობლემა ისაა, რომ თუ მეგობარი ქვეყნები ვერ შეთანხმდებიან ტექსტზე, ანუ, თუ რუსეთთან შეთანხმება ვერ მოხერხდა, მაშინ ეს საკითხი უშიშროების საბჭოს სხდომაზე ვერ დადგება, რადგან რუსეთი ვეტოს უფლებას მაინც გამოიყენებს.

ეს არის ზუსტი ინფორმაცია და არა ის, რაც იწერებოდა მთელი ამ ხნის მანძილზე ქართულ პრესაში.

**- ეს ნიშნავს, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე "ბოდენის დოკუმენტის" განხილვა და შესაბამისი რეზოლუციის მიღება, პრაქტიკულად, უპერსპექტივოა?**

- მე ასე არ ვიტყოდი. უშიშროების საბჭოს სხდომა 19 ნოემბერს არის დანიშნული. ის ერთი კვირა კი, რომელიც სხდომამდე დარჩა, ინტენსიურ კოსულტაციებს მოხმარდება. მით უმეტეს, საამისოდ კარგი პირობებია შექმნილი. უშიშროების საბჭომ ერაყთან დაკავშირებით რეზოლუცია უკვე მიიღო და, შესაბამისად, საბჭოს წევრებს მეტი დრო გამოუთავისუფლდათ, რათა აფხაზეთის საკითხზე იმუშაონ.

**- მაგრამ, რამდენად ნაყოფიერი იქნება კონსულტაციები იმ ფონზე, როცა რუსეთი არანაირ სურვილს არ ამჟღავნებს, აფხაზეთის საკითხში რაიმე დათმობაზე წავიდეს?**

- მოლაპარაკებების ტექნოლოგია ასეთია: გარდა იმისა, რომ ამ საკითხზე ექსპერტები მუშაობენ, ის ელჩების დონეზეც განიხილება. თუ მათ შორის შეთანხმება არ მოხდა, მაშინ, სხვა მეგობარი ქვეყნების სურვილის შემთხვევაში, მუშაობა შეიძლება უფრო მაღალ - სახელმწიფო დეპარტამენტის და პრეზიდენტის დონეზე გაგრძელდეს.

**- ბოლო თვეების განმავლობაში მუდმივად იგრძნობა ტენდენცია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში სერიოზულ ცვლილებებს უნდა ველოდოთ. ეს საკითხი პრიორიტეტულია რუსეთ-ამერიკის ურთიერთოებშიც და ამის დემონსტრირება ჯერ კიდევ ბუშისა და პუტინის სამიტზე მოხდა. მიუხედავად ამისა, რეალური და ხელშესახები ცვლილებები ჯერ არ იგრძნობა.**

- ფაქტია, რომ დასავლელი მეგობრები უფრო აქტიურად ჩაებნენ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა სპეციალური წარმომადგენლები დანიშნეს - რუდოლფ პერინა და სერ ბრაიან ჰოლი, რომელთა ძირითადი ფუნქცია ამ კონფლიქტთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოებაა.

რამდენად სწრაფად შეძლებენ ეს ადამიანები ხელშესახები შედეგების მიღწევას და რუსეთთან პრინციპულ საკითხებზე მოლაპარაკებას, ამის პროგნოზირება ძალიან რთულია, რადგან აფხაზეთის თემა განყენებული საკითხი არ არის და ბევრ რამეზეა დამოკიდებული. მაგალითად, როგორ გადაწყდება ერაყის საკითხი და ასე შემდეგ.

**- ამ ფონზე რამდენად დიდ დატვირთვას იძენს გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილის ჟანმარი გენოს ვიზიტი საქართველოში?**

- ეს ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტია და იმაზე მიანიშნებს, რომ თავად გაეროც მაინცდამაინც კმაყოფილი არ არის იმ მდგომარეობით, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით შეიქმნა.

ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა შეხვედრა ბატონ გენოსთან, თავად კოფი ანანთან და მის პოლიტიკურ მოადგილესთან. გარდა ამისა, ჩვენს ყველა გამოსვლაში ხაზი გავუსვით იმ ფაქტს, რომ ეს კონფლიქტი არ შეიძლება ასე გაყინულ მდგომარეობაში იყოს; რომ, სამწუხაროდ, რუსეთი ძალიან ხშირად არამარტო ბლოკავს პროგრესის მიღწევის ნებისმიერ მცდელობას, არამედ ხშირად მის მიერ დეკლარირებული პრინციპების წინააღმდეგ მოქმედებს: ეს შეეხება პასპორტების გაცემას, სავიზო რეჟიმს თუ სხვა ბევრ საკითხს.

**- რამდენიმე ხნის წინ ამერიკის ადმინისტრაციის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუდოლფ პერინამ განაცხადა, რომ კონფლიქტის მოსაგვარებლად საჭიროა ახალი მიდგომების შემუშავება. გარდა ამისა, გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილემაც აღნიშნა, რომ თუ აფხაზეთის მხარე არ დათანხმდა "ბოდენის დოკუმენტის" განხილვას, გაერო სხვა ღონისძიებებს მიმართავს. რა ახალ მიდგომებზე და ღონისძიებებზე შეიძლება იყოს დღეს საუბარი, რომელსაც, ჯერჯერობით, არავინ ახმოვანებს?**

- არაოფიციალურ დონეზე არის საუბარი აფხაზეთის მიმართ სანქციების შემოღებაზე. თუნდაც ისეთ სანქციებზე, რომელიც დსთ-ს სამიტმა ჯერ 1996, შემდეგ კი 1998 წელს მიიღო. გაერო-მ ამ სანქციების განხორციელებასაც რომ დაუჭიროს მხარი, ეს ძალიან სერიოზული სიგნალი იქნება მათთვის, ვინც ამ კონფლიქტშია ჩარეული. მაგრამ, ბუნებრივია, სანქციების შემოღებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსეთი.

მე ახლა ვსაუბრობ იმაზე, რაც არაოფიციალურ დონეზე ხდება. ოფიციალურად სანქციებზე, ჯერჯერობით, არავინ საუბრობს, ვინაიდან, სანამ სანქციების ამოქმედება დღის წესრიგში დადგება, სწორედ მანამდე უნდა მოხდეს უშიშროების საბჭოს მიერ "ბოდენის დოკუმენტის" მხარდაჭრა.

**- რაც შეეხება ძალის გამოყენებით კონფლიქტის მოგვარებას. არსებობს თუ არა იმის თეორიული შანსი, რომ გაერო-მ აფხაზეთში მშვიდობით ძალის დამყარების პუნქტს დაუჭიროს მხარი?**

- თეორიული შანსი ყველაფრის არსებობს. მაგრამ ჩვენ არაერთხელ გულწრფელად და ღიად განვაცხადეთ, რომ მხარს ვუჭერთ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზას. ჩვენ დღესაც ამ პოზიციაზე ვდგავართ, რადგან, ჯერჯერობით, ყველა რესურსი ამოწურული არ არის და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება შესაძლებელია. გარდა ამისა, ძალისმიერი გზა საკმაოდ უპერსპექტივოა და ეს ჩეჩნეთის კონფლიქტის მაგალითზეც კარგად გამოჩნდა.

**- სხვათა შორის, როდესაც საუბარია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ახალ მიდგომებზე, ბევრი გავლენიანი ექსპერტი გულისხმობს, რომ ადვილი შესაძლებელია, ამ მიდგომებში აფხაზეთისათვის გარკვეული სტიმულის მიცემა იგულისხმებოდეს. ეს სტიმული შეიძლება ბევრნაირი იყოს, მათ შორის - ეკონომიკურიც.**

- ბუნებრივია, ყველა ეკონომიკური პროექტი, რომელშიც შეიძლება აფხაზეთიც ჩაერთოს, განხილვადია. მაგრამ აფხაზეთის მხარემ უნდა იცოდეს ისიც, რომ, თუ კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირება არ მოხდა, არანაირი ეკონომიკური პროექტები არ იმუშავებს.

დღეს ჩვენ რომ აფხაზეთის განვითარების პროექტებზე ვისაუბროთ, გამოდის, რომ ვიწონებთ და ხელს ვუწყობთ იმ ქცევას, როგორც აფხაზები იქცევიან. სეპარატისტულმა ხელისუფლებამ კი კარგად უნდა იცოდეს, რომ აფხაზეთის დასახმარებლად საერთაშორისო საზოგადოება გარკვეულ ვალდებულებებს მხოლოდ მაშინ აიღებს, თუ კონფლიქტი დარეგულირდება და ლტოლვილებს საკუთარ სახლებში დაბრუნების საშუალება მიეცემათ.

**- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ აფხაზეთის თემა დღეს გაცილებით უფრო აქტუალურია ამერიკის ადმინისტრაციაში, გაერო-ში და კონგრესში, ვიდრე ეს რამდენიმე წლის წინ იყო?**

- ეს ნამდვილად ასეა. ჩვენი მიზანი კი ერთია - ყველას ვაჩვენოთ, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გარეშე, სამხრეთ კავკასიაში რაიმე სტაბილურობაზე საუბარი შეუძლებელია.

# გენო აფხაზებისგან "ბოდენის დოკუმენტის" მიღებას მოითხოვს


აფხაზეთიდან დაბრუნებული ტალიავინი და გენო ზუგდიდში.

პირველი გვერდიდან

- მე ვუთხარი აფხაზებს, რომ "ბოდენის დოკუმენტი" ძალიან კარგი საფუძველია მოლაპარაკებებისათვის, იგი შეიცავს ყველა ფუნდამენტურ პრინციპს - საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ფართო ავტონომიას აფხაზეთისათვის და უსაფრთხოების გარანტიებს. მას მხარს უჭერს უშიშროების საბჭო და საქართველოს მეგობართა ჯგუფი. იგი უნდა იყოს მოლაპარაკებების საფუძველი. წარმატებული მოლაპარაკებებისათვის ორივე მხარე უნდა დარწმუნდეს, რომ მისი უმთავრესი მოთხოვნები მიღებული იქნება. ქართული მხარისათვის ასეთია ტერიტორიული მთლიანობა, აფხაზებისათვის - თვითმყოფადობის შენარჩუნება. ეს ორი პრინციპი უმნიშვნელოვანესია, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დეტალების განხილვა.

**- რას იტყოდით სამშვიდობო მისიაში სხვა ქვეყნების ჩართვის საკითხზე?**

- ეს დსთ-ს კომპეტენციაში შედის და მე ამ თემაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

ბოლო ნახევარი წლის მანძილზე აშკარად შეინიშნება საერთაშორისო საზოგადოების მცდელობა, უფრო აქტიური როლი შეასრულოს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში. ამას მოწმობს ბუშისა და პუტინის ერთობლივი დეკლარაცია, აშშ-სა და ბრიტანეთის მიერ ამ საკითხში საგანგებო წარმომადგენლების დანიშვნა და ბოლოს - გაერო-ს მაღალი რანგის მოხელის მიმდინარე ვიზიტი საქართველოში. თუ გავიხსენებთ, რამდენად გულგრილი იყო გაერო და საერთაშორისო საზოგადოება მთლიანად ამ საკითხის მიმართ გასული 9 წლის მანძილზე, ამგვარი გააქტიურება აშკარად დადებითი ნიშანია.

მეორე მხრივ, არ ჩანს რაიმე ნიშანი იმისა, რომ რუსეთის პოზიცია, საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, უფრო კონსტრუქციული ხდება. პირიქით, რუსებმა მასობრივად დაურიგეს აფხაზებს პასპორტები, დაუწესეს შეღავათიანი სავიზო რეჟიმი და ბლოკავენ უშიშროების საბჭოს მიერ "ბოდენის დოკუმენტთან" დაკავშირებით რეზოლუციის მიღებას.

საინტერესოა, რომ, გარკვეულწილად, ესეც დადებით ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს. გასულ წლებში რუსეთს კაციშვილი არ სთხოვდა პასუხს აფხაზეთში მისი ქმედებებისათვის და მასაც შეეძლო, განსაკუთრებული აქტიურობისა და ვინმესათვის გამაღიზიანებელი ნაბიჯების გადადგმის გარეშე, სრულად ეკონტროლებინა ვითარება კონფლიქტის ზონაში.

დღეს კი ორი მხარის (რუსეთი და დასავლეთი) მიერ გადადგმული, თუნდაც ურთიერთსაწინააღმდეგო, ნაბიჯები გვაფიქრებინებს, რომ პროცესი მკვდარი წერტილიდან დაიძრა, რისი შედეგიც, მინიმუმ, ის იქნება, რომ რუსებს აფხაზეთში სტატუს კვოს შესანარჩუნებლად უკვე სერიოზული ძალისხმევის გაღება დასჭირდებათ.

# ბოდენის "საიდუმლო" დოკუმენტი გალის გაზეთიდან ითარგმნა

*სწორედ ეს არაოფიციალური ვერსია დაურიგეს თბილისში მიმდინარე საერთაშორისო სემინარის მონაწილეებს.*

თამარ ხორბალაძე


კონფერენცია სასტუმრო "თორში"

"ბოდენის დოკუმენტი", რომელიც, თუ ოფიციალურ თბილისს ვერწმუნებით, თვალით არავის უნახავს, გუშინ სასტუმრო "თორში" გახსნილი სემინარის მონაწილე ექსპერტებს დაურიგდათ. მართალია, აქვე განაცხადეს, რომ დოკუმენტი არაოფიციალურია და გალის ერთ-ერთი გაზეთიდან არის ამობეჭდილი, მაგრამ სემინარის ორგანიზატორთა და მონაწილეთა სოლიდურობა ცხადყოფს, რომ საქმე სწორედ იმ "საიდუმლო" დოკუმენტთან გვაქვს.

**"1. საქართველო წარმოადგენს სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებულ სუვერენულ სახელმწიფოს. საქართველოს სახელმწიფო საზღვრები, დამტკიცებული 1991 წლის 21 დეკემბერს, შეცვლას არ ექვემდებარება საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის გარეშე.**

**2. აფხაზეთი წარმოადგენს სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებულ სუვერენულ წარმონაქმნს სახელმწიფო საქართველოს შიგნით. აფხაზეთს გააჩნია განსაკუთრებული სტატუსი, რომელიც ეფუძნება ფედერალურ შეთანხმებას და განსაზღვრავს საერთო კომპეტენციის სფეროებს და დელეგირებულ უფლებამოსილებებს."** - აი, ის ორი ძირითადი მუხლი, რომლის გამოც საქართველოს მხარე თანახმაა, ეს დოკუმენტი მოლაპარაკებების საბაზისო დოკუმენტად აქციოს, აფხაზური მხარე კი, რუსეთის აქტიური მხარდაჭერის პირობებში, მის განხილვაზე კატეგორიულ უარს ამბობს.

გარდა ამისა, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ **"აფხაზეთის უფლებები და კომპეტენციები იქნება აღიარებული უფრო დიდი მოცულობით, ვიდრე იგი სარგებლობდა 1992 წლამდე.**

**აფხაზეთის ახალ კონსტიტუციას შეიძლება, საფუძვლად დაედოს 1994 წლის 26 ნოემბრის აფხაზური კონსტიტუცია, აფხაზურ-ქართული ურთიერთობების შემდგომ დარეგულირებას კი - 1994 წელს მხარეებს შორის ხელმოწერილი დეკლარაცია"** ("ბოდენის დოკუმენტის" ეს ვერსია, როგორც აღვნიშნეთ, არაოფიციალურია).

როგორც ცნობილია, გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილის ჟან მარი გენოს საქართველოში ვიზიტის ძირითადი მიზანი ამ დოკუმენტის განხილვისთვის საფუძვლის მომზადებაა. გასული ორი დღის განმავლობაში გენო აფხაზურ მხარესთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს.

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომიტეტის, ფლამანდიის ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის დეპარტამენტის, ფრიდრიხ ებერტის ფონდის და სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების რეგიონალური ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სემინარზე - "ფედერალიზმი და ძალაუფლების გამიჯვნა აფხაზეთში" - მსჯელობა სწორედ "ბოდენის დოკუმენტზე" და მის ირგვლივ მიმდინარეობდა.

სემინარის მთავარი უცხოელი მომხსენებლის, ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორის, ბრუნო კოპიტერსის განცხადებით, **"ბოდენის დოკუმენტით გათვალისწინებული ფედერალური მოწყობა არის აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" პრობლემათა მოგვარების საუკეთესო გზა."** მისივე თქმით, **"ფედერალური მოწყობის დროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უფლებამოსილებები გამიჯნული და კონსტიტუციით განსაზღვრული იქნება".**

კოპიტერსის აზრით, დოკუმენტში ნათქვამია, რომ ფედერაცია არის საუკეთესო გამოსავალი და მთავრობის ორივე დონე უნდა იყოს ერთი ფედერაციის ნაწილი.

**"მომავალი ფედერაცია დაფუძნებული იქნება არა მხოლოდ ძალაუფლების ჰორიზონტალურ განაწილებაზე, არამედ ვერტიკალურზეც",** — განაცხადა ბრუნო კოპიტერსმა.

უშუალოდ "ბოდენის დოკუმენტის" გარდა, გუშინდელ სემინარზე დახურულ კარს მიღმა იმსჯელეს თემებზე - რა ძირითადი პრინციპები შეიძლება დაედოს საფუძვლად აფხაზეთის კონსტიტუციურ მოწყობას? რა ფორმა იქნება ყველაზე მისაღები აფხაზეთის მრავალეროვნული საზოგადოების წარმომადგენელთა ხელისუფლებაში მოსვლის უზრუნველსაყოფად? იქცევა თუ არა პარლამენტის ორპალატიანი სისტემის შემოღება აფხაზეთში საზოგადოების ყველა ფენისა და ეროვნების წარმომადგენელთათვის საარჩევნო უფლების გარანტიად? როგორი შეიძლება იყოს ძალთა გადანაწილება აფხაზეთის ხელისუფლებაში?

სემინარის შედეგებს მონაწილენი დღეს საღამოს, სპეციალურ პრესკონფერენციაზე შეაჯამებენ.


ინტერნეტ GSM & ნომრები 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია "24 საათი"-ს ყველა მკითხველს.

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაი-სიმბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1; 2; 3; (მნიშვნელობა არ აქვს, რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის დილერთან ან დისტრიბუტორთან, ქვემოთ მოცემულ მისამართებზე. თქვენ იხდით 20 ლარს, ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაილაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაილაი-სიმბარათი +20 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო).

5 აქცია ძალაშია 2002 წლის 5 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე

6 ჯეოსელის დილერები და დისტრიბუტორები კუპონებს გადაცვლიან 2003 წლის 18 იანვრამდე

დისტრიბუტორები:

დილერები (თბილისი)

რეგიონები:

## "ელექტროგადაცემის" თანამშრომლები ჰუმანურად გაიფიცნენ

ელექტროენერგეტიკულ სექტორში გაფიცვა უკვე ტრადიციად იქცა. გუშინ, "ელექტროგადაცემის" თანამშრომლების გაფიცვის შედეგად, ორი საათის განმავლობაში გამორთული იყო ცხრა ქვესადგური, რის გამოც თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. როგორც გაირკვა, გაფიცვის მიზეზი კვლავ გაუცემელი ხელფასები გახდა.

გაფიცულთა განცხადებით, "ელექტროგადაცემის" ხელმძღვანელობისთვის, სათბობ-ენერგეტიკისა და უშიშროების სამინისტროებისათვის მათ მიერ გაგზავნილი გამაფრთხილებელი წერილის მიუხედავად, მათი მოთხოვნები უყურადღებოდ დარჩა, რის გამოც მათ მუქარა განახორციელეს და ქალაქის ნაწილი ენერგომომარაგების გარეშე დატოვეს. თუმცა, მათ არ გამოურთავთ ქვეყნისთვის სასიცოცხლო დანიშნულების სტრატეგიული ობიექტები, მათ შორის, საავადმყოფოები.

გაფიცულები სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროდან 175 მილიონი ლარის ოდენობის სახელფასო დავალიანების დაფარვას ითხოვდნენ. როგორც მათ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, საბითუმო ბაზრისა და გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის წარმომადგენლებმა აღუთქვეს, საბითუმო ბაზრის ანგარიშზე თანხის შემოსვლისთანავე, მათ ამ დავალიანებას ნაწილობრივ მაინც გაუსტუმრებენ.

დაპირების მიღებისთანავე გაფიცვა შეწყდა და ქალაქს ნორმალური ელექტრომომარაგება აღუდგა.

ამასობაში კი ისანი-სამგორის მოსახლეობა ელექტროენერგიის მიწოდების მოთხოვნით საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრება. მათ უკმაყოფილებას ის იწვევს, რომ ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მიუხედავად, უბანი მაინც არ იღებს ელექტროენერგიას; ხოლო საზოგადოება „ვარკეთილი" ტარიფის ზრდას აპროტესტებს და მოსახლეობას მოუწოდებს, არ გადაიხადოს ელექტროენერგიის გაზრდილი გადასახადი.

*"24 საათი"*

## მეღვინეები ბიუჯეტის კორექტირებას მოითხოვენ

ქართველი მეღვინეები არარეალურს უწოდებენ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ, საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის, კერძოდ კი, ალკოჰოლური პროდუქციის დაბეგვრის მაჩვენებელს და მის შემცირებას მოითხოვენ. ეს საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური იყო საქართველოს პარლამენტის შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტის გასვლით სხდომაზე, რომელიც საგარეჯოს ღვინის სახლში გაიმართა. სხდომას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც დაესწრო.

2003 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, მომავალ წელს, ადგილობრივი წარმოების აქციზური პროდუქციის დაბეგვრის შედეგად, ბიუჯეტმა უნდა მიიღოს 30 მილიონი ლარი. მათ შორისაა ალკოჰოლური პროდუქციაც. ადგილობრივი მეღვინეობიდან ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე საბიუჯეტო შემოსავლები კლებულობს. კომიტეტის სხდომაზე მიწვეულმა მეღვინეებმა ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რომლებიც მათ ხელს უშლის ბიზნესის წარმატებით წარმართვაში. მათ შორისაა არახელსაყრელი საგადასახადო ბაზა და ფალსიფიკაცია. კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე მეღვინეებს დაჰპირდა, რომ პარლამენტის წინაშე დარგის პრობლემებს დააყენებს. მომდევნო გასვლით სხდომას შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტი ფოთში გამართავს.

*"24 საათი"*

## ენგურჰესის ავარია მოულოდნელი არ იყო

იმის თაობაზე, რომ ენგურჰესზე ამ ოთხი დღის წინ მომხდარი ავარია მოულოდნელი არ იყო, "24 საათი" უკვე წერდა. თუმცა, "24 საათის" პუბლიკაციებმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. რედაქციაში დაფიქსირდა ზარები, რომელთა ავტორების გაღიზიანებაც იმან გამოიწვია, რომ საქართველოს ენერგოსისტემის მორიგი ავარია "იოლად პროგნოზირებად" მოვლენად შეფასდა. გუშინ, სასტუმრო "მარიოტში" გამართულ სემინარზე ბლიც-ინტერვიუ ჩამოვართვით ენგურჰესის დირექტორს ლევან მებონიას.

მაია ურუშაძე

**- რა მდგომარეობაა ამჟამად ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე?**

- ამჟამად სადგური სამი ჰიდროაგრეგატის ხარჯზე 650 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

**- რამდენად მოულოდნელი იყო ამ ოთხი დღის წინანდელი ავარია ენგურჰესზე?**

- 26-წლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ეს ავარია პროგნოზირებადი იყო, ვინაიდან დაბალი სიხშირე დამღუპველად მოქმედებს აგრეგატებზე. ადრე, ამ რამდენიმე წლის წინ, დადგენილი 50-ის ნაცვლად, 41-42 ჰერც სიხშირეზეც გვიმუშავია, ავარიები მაშინაც იყო. დღეს სიხშირე 48,5-ია – ორი ჰერცით უფრო მაღალი, ვიდრე ავარიის დღეს. ენგურზე რაც მოხდა, ეს არ იყო კატასტროფული ავარია, მაგრამ არც მოულოდნელი ყოფილა. სადგურის ერთ-ერთი, 240-მეგავატიანი ჰიდროდანადგარის ექსპლუატაციამ ჯერ კიდევ 1990 წელს გამოავლინა, რომ გამოსაცვლელი იყო და დიდ დატვირთვას ვერ გაუძლებდა. 1992-ში გადავწყვიტეთ, დაგვეწყო რემონტი, მაგრამ არეულობის პერიოდი დაემთხვა და სარემონტოდ გამზადებული მთელი მარაგნაწილები დაიტაცეს.

**- როდის იგეგმება სადგურის რეაბილიტაცია?**

- ევრობანკის მიერ გამოყოფილი კრედიტის თანადაფინანსებისთვის საჭირო თანხებს, ჯერჯერობით, თავი ვერ მოვუყარეთ. ეს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გადასაწყვეტია. ჩვენ არ გაგვაჩნია დიდი შემოსავლები. სახელფასო დავალიანებაც კი გასასტუმრებელი გვაქვს. არადა, პროექტის თანადაფინანსებისთვის ხუთი მილიონი ლარის შეგროვებაა საჭირო. თუმცა, თანხის ნაწილი – ასე, ნახევარ მილიონამდე ლარი, უკვე აკუმულირებულია სპეცანგარიშზე. ხვალ ჩამოდის ევრობანკის მენეჯერი, ვინც კრედიტი უნდა მოგვცეს და, ალბათ, კონკრეტულად დაიგეგმება, თუ როდის წამოვა პირველი თანხები.

**- როდის იქნება ენგურჰესი სრულ წესრიგში?**

- თანხის გამოყოფიდან 20 თვეში სადგური საბოლოოდ ჩადგება მწყობრში.

**- რა შანსები გაქვთ იმისთვის, რომ სადგურმა მომავალში მაინც მოახერხოს საკუთარი ფინანსური პრობლემების მოგვარება?**

- ენგურმა წელს თავისივე გამომუშავებული 300 მილიონი ლარი ვერ მიიღო, სხვა რაზეა ლაპარაკი.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 6 – 12 ნოემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6288 | 0.6368 | 0.0053 |
| US$ | 1.5902 | | 1.0125 | 0.0084 |
| €uro | 1.5704 | 0.9877 | | 0.0083 |
| ¥en | 190.24 | 119.66 | 121.16 | |

### 2002 წლის 12 ნოემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.2073 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4669 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5095 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1800 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3511 ლარი |
| იაპონური იენი. | 10 | 0.1821 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0686 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4454 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2359 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0901 ლარი |

# რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი განხორციელდება

სოფო კვინტრაძე

"ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორი იგნასიო ირიბარენი გუშინ რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის დირექტორს ექსპორტის დარგში, დიმიტრი ვოლკოვს შეხვდა. ბოლო დროს ენერგოსექტორის ხელმძღვანელი პირები აქტიურად ალაპარაკდნენ რუსეთიდან დენის შემოტანის პერსპექტივაზე, რაც ქვეყანაში შექმნილი ელექტროენერგიის კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი გზაა. ოფიციალური წყაროები ირწმუნებოდნენ, რომ რუსეთიდან ელექტროენერგიის შემოტანას მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის - "კავკასიონის" გაუმართაობა აფერხებდა. ამჟამად კი, როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა აცხადებს, "კავკასიონზე" სარემონტო სამუშაოები დასრულდა და იგი მზადაა საექსპლუატაციოდ.


იგნასიო ირიბარენი და გალიმ ალნიაზოვი

რუსეთიდან დენის შემოტანის საკითხის დადებითად გადაწყვეტა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული კიდევ ერთ გარემოებაზე, კერძოდ, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს ჯერაც გადაუხდელი აქვს შარშან ზამთარში შემოტანილი დენის საფასურის ნაწილი, სამი მილიონი დოლარის ოდენობით. რუსები კი ქართულ მხარეს უარს უცხადებდნენ ელექტროენერგიის მიყიდვაზე, სანამ ზემოაღნიშნული ვალი არ დაიფარებოდა.

"24 საათი" უკვე წერდა, რომ რამდენიმე დღის წინ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ მიიღო წერილი რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის ხელმძღვანელობისაგან, რომელშიც საუბარი იყო სწორედ ვალის დაფარვაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსები დენის ექსპორტს არ განახორციელებდნენ. რუსულმა მხარემ წამოაყენა კიდევ ერთი მოთხოვნა – ელექტროენერგიის საფასურის წინასწარ გადახდა. ასე რომ, საქართველოს მთავრობას, პრაქტიკულად, სხვა გამოსავალი არ დარჩა - რუსეთის პირობები უნდა მიეღო. თუმცა, სათბობ-ენერგეტიკის სექტორში ამ ეტაპზე ნაკლებად მოიპოვება ვალის დასაფარი და იმპორტის განსახორციელებელი თანხები. საკმაოდ მძიმე სიტუაცია შეექმნა "ეი-ი-ეს თელასსაც", რომელიც პირველ რიგში ხდება ხოლმე მოსახლეობის "თავდასხმის" ობიექტი ელექტროენერგიის გათიშვის დროს.

როგორც იგნასიო ირიბარენმა განაცხადა, მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის ვალს ამ ეტაპზე "ეი-ი-ეს თელასი" გადაიხდის. თუმცა, ამისათვის "თელასმა" სახელმწიფო გარანტია მოითხოვა, რომ 2003 წლის იანვარში მთავრობა ამ თანხას უკან დაუბრუნებს, ისევ ელექტროენერგიის იმპორტის განსახორციელებლად. "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტის ირაკლი მელაშვილის განცხადებით, ფაქტობრივად, "თელასმა" სახელმწიფოს უპროცენტო სესხი მისცა. მეორეს მხრივ, გასაგებია, რომ "ეი-ი-ეს თელასს" შექმნილ სიტუაციაში გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან სხვა დროს, ნაკლებ სავარაუდოა, ამერიკული კომპანია მთავრობის გარანტიას დაყრდნობოდა.

რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის წარმომადგენელმა დიმიტრი ვოლკოვმა განაცხადა, რომ რუსეთიდან ელექტროენერგიის შემოტანის სქემა ამჟამად შემუშავების სტადიაშია. სავარაუდოდ, საქართველო რუსეთიდან ასი მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგიას მიიღებს. როგორც ცნობილია, თბილისს ზამთარში ექვსასი მეგავატი ელექტროენერგია ესაჭიროება. ამჟამად კი ქალაქს 420 მეგავატი მიეწოდება.

როგორც "ელექტროდისპეტჩერიზაციის" გენერალური დირექტორი ბორის კოჟორიძე აცხადებს, ზამთარში ქალაქის უზრუნველსაყოფად მარტო ჰიდრორესურსები და იმპორტი საკმარისი არ იქნება. საჭიროა, "ეი-ი-ეს მტკვრის" მეცხრე ან "თბილსრესის" მესამე-მეოთხე ენერგობლოკების ექსპლუატაციაში გაშვება. თუმცა, აღნიშნული ბლოკებისათვის საჭირო ბუნებრივი აირის შესაძენად არც სახელმწიფოს აქვს თანხები და არც ამერიკულ კომპანიას.

## „ეი-ი-ესი„ „სიმენსის„ ექსპერტების შეშვებას არ აპირებს

პირველი გვერდიდან

"ეი-ი-ეს მტკვრის" კუთვნილ ენერგობლოკზე აფეთქება 2001 წლის დეკემბერში მოხდა. აფეთქებიდან რამდენიმე დღეში, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, უშიშროების სამინისტროში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც აფეთქების მიზეზების დადგენა დაევალა. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მოწვეული ექსპერტებიც. კომისიის მუშაობის დაწყებიდან, დაახლოებით, ერთ თვეში გავრცელდა არაოფიციალური ინფორმაცია, რომ მეათე ენერგობლოკზე აფეთქება მართვის ელექტრონული სისტემის გაუმართაობამ გამოიწვია, რომელიც 1993-94 წლებში თბილსრესის მეცხრე და მეათე ენერგობლოკებზე გერმანულმა კონცერნმა "სიმენსმა" დაამონტაჟა. სამთავრობო კომისიას დასკვნა, ჯერჯერობით, არ გამოუქვეყნებია. ენერგობლოკებზე ჩატარებული სამუშაოები გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკმა დააფინანსა.

2000 წელს ორივე ენერგობლოკი "ეი-ი-ეს მტკვარმა" იყიდა. "24 საათის" ინფორმაციით, "ეი-ი-ეს მტკვარში" აფეთქების შედეგად მიყენებული ზარალი, დაახლოებით, ას მილიონ დოლარად შეაფასეს. მეათე ენერგობლოკის დროულად აღდგენის საკითხი უშუალოდ უკავშირდება ზამთრის პერიოდში "ეი-ი-ეს მტკვრის" მიერ ელექტროენერგიის საკმარისი რაოდენობით გამომუშავებას.

**"გერმანიის მთავრობა დაინტერესებულია, გაარკვიოს, ვინ არის მეათე ენერგობლოკის აფეთქებაში დამნაშავე. მაგრამ, სამწუხაროდ, "ეი-ი-ესი" გერმანელ ექსპერტებს ავარიის ადგილზე შესვლის ნებას არ აძლევს. გერმანიის მხარე მომავალში უფრო კატეგორიულად მოითხოვს, რომ ამერიკელებმა მეათე ბლოკის ტერიტორიაზე ჩვენი კომისია შეუშვან,"** – განაცხადა გუშინ სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრაზე ნორბერტ კლოპენბურგმა. გერმანიის მხარის ამ მოთხოვნას არ იზიარებენ "ეი-ი-ესში". როგორც ამერიკული კომპანიის ლობისტი ირაკლი მელაშვილი აღნიშნავს, "ეი-ი-ესს" კონტრაქტი თბილსრესის მეცხრე და მეათე ენერგობლოკების გადაცემასთან დაკავშირებით გაფორმებული აქვს საქართველოს მთავრობასთან, რომელსაც ევალება კიდეც ურთიერთობის გარკვევა როგორც "სიმენსთან", ასევე გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან. **"ჩვენ საქართველოს მთავრობას გადავეცით სრული დოკუმენტაცია მეათე ენერგობლოკზე მომხდარი ავარიის შესახებ. თუ საქართველოს მთავრობას სურს, მას შეუძლია, ეს დოკუმენტაცია გერმანულ მხარეს გადასცეს,"** – აღნიშნა ირაკლი მელაშვილმა და დასძინა, რომ "ეი-ი-ესის" მისამართით გამოთქმული ყველა პრეტენზია უსაფუძვლოა. ავარიის გამომწვევი მიზეზების შესწავლას "ეი-ი-ესის" მიერ მოწვეული ექსპერტებიც სწავლობენ. მათ მუშაობა, ჯერჯერობით, არ დაუსრულებიათ. შესაბამისად, ამ ეტაპზე არ არის ცნობილი, ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა ენერგობლოკის აფეთქების გამო – "სიმენსს", რომელმაც დაამონტაჟა მართვის ელექტრონული სისტემები თუ "ეი-ი-ეს მტკვარს", რომლის თანამშრომლებმაც ვერ შეძლეს ავარიის თავიდან აცილება.

## კავკასიის ქვეყნები ერთიან ენერგეტიკულ სივრცეს შექმნიან

ნებისმიერი ქვეყნის ენერგოსისტემისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ელექტროენერგიის ძირითადი მახასიათებლების – სიხშირისა და ძაბვის ცვალებადობა. ამ პარამეტრების შენარჩუნება კი დიდი ენერგოსისტემებისთვის უფრო იოლია, ვიდრე პატარა მოცულობის ქსელებისთვის. გარდა ამისა, დიდი ენერგოსისტემებისთვის უფრო იოლია დაბალი ტარიფის შენარჩუნება, რადგან, რაც უფრო დიდი მოცულობის არის სისტემა, მით უფრო იოლია იაფი (წყლის ან ატომური) და ძვირი (თბური) ელექტროენერგიის დაბალანსება. ამიტომაც სხვადასხვა ქვეყნები ერთმანეთთან აკავშირებენ საკუთარ ელექტროქსელებს, ქმნიან ერთიან ენერგეტიკულ სივრცეს, ამ გზით აუმჯობესებენ ელექტროენერგიის ხარისხს და მინიმალურ ტარიფსაც ინარჩუნებენ.

მაია ურუშაძე

სამხრეთ კავკასიის ერთიანი ენერგეტიკული სივრცის შექმნის ინიციატივით ამჯერად გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW) გამოვიდა. მისი ეგიდითა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამსახურის (BMZ) დაფინანსებით გუშინ სასტუმრო "მარიოტში" ორდღიანი საერთაშორისო სემინარი გაიხსნა. როგორც გაირკვა, გერმანელები დაინტერესებულნი არიან, სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკული თანამშრომლობისთვის აუცილებელი თანხა თავად გაიღონ. ამ თანხის ფარგლებში საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა ერთმანეთთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები უნდა მოაწესრიგონ.

როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა აცხადებს, **"ერთმანეთთან პარალელურ რეჟიმში სამუშაოდ საჭიროა გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მოწესრიგება, ახალი ავტომატური სისტემების დაყენება. მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზებიც და თვითონ სისტემებიც საიმედო უნდა იყოს. ზაფხულში საქართველოს ერთი მილიარდი კილოვატსაათი ჭარბი ელექტროენერგია აქვს. ამ დროს ნებისმიერი ფასით ნებისმიერ ბაზარზე შეგვიძლია შესვლა."**

როგორც BMZ-ს აზიის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დირექტორმა ეკონომიკურ საკითხებში, დოქტორმა რაინერ გორდელერმა განაცხადა, **"რომ არა კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში, რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და აყვავებული იქნებოდა. რეგიონის კონფლიქტების მოგვარება ეკონომიკური პრობლების დაძლევისა და მოწესრიგებით შეიძლება."**

სწორედ ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგების წინაპირობად მიიჩნევს საქართველოს ერთიან ენერგეტიკულ სივრცეში გაწევრიანებას ჩვენი ენერგოსისტემის უმსხვილესი დონორი, გერმანული ბანკი KFW. ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ნორბერტ კლოპენბურგის განცხადებით, **"პროექტს ბანკი პოლიტიკისგან დამოუკიდებლად, ეკონომიკური კუთხით განიხილავს და დარწმუნებულია, რომ ის უკუგებას მოიტანს."**

მისივე განცხადებით, ერთიანი ენერგეტიკული სივრცის შექმნის გზაზე სემინარის უპირველესი მიზანი დაპირისპირებული მხარეების – სომხეთისა და აზერბაიჯანის მოლაპარაკების მაგიდასთან დასმა გახლდათ. **"ჩვენ ამ მიზანს მივაღწიეთ,"** – კმაყოფილებით შენიშნა ნორბერტ კლოპენბურგმა. **"მიგვაჩნია, რომ სწორედ ელექტროენერგეტიკაა ის სფერო, სადაც ეს მხარეები პირველ დიალოგს წამოიწყებენ,"** – დაამატა მირცხულავამ.

დიალოგი დასაშვებად მიაჩნიათ სომხურ და აზერბაიჯანულ მხარეებსაც, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მათი "ენერგეტიკული დამეგობრება" საქართველოს "გავლით" მოხდება.

როგორც "აზენერჯის" წარმომადგენელმა ნაზიმ ბაირამოვმა "24 საათს" განუცხადა, აზერბაიჯანულ მხარეს უკვე აქვს საშუალება, თურქეთთან პარალელურ რეჟიმში 500-კილოვოლტიანი ხაზით იმუშაოს. არსებობს მაღალი ძაბვის ორი ელექტროგადამცემი ხაზი საქართველოსთანაც, რომელთაგან ერთი - აღსადგენია. **"წელს საქართველომ ელექტროენერგიის სახით დაგვიბრუნა ძველი დავალიანების ნაწილი. აზერბაიჯანი და საქართველო მეგობრულ დამოკიდებულებაში არიან და ისინი აქამდეც ეხმარებოდნენ ერთმანეთს ელექტროენერგიით. სირთულეები მხოლოდ მტრულად განწყობილ ხალხთან ურთიერთობაშია,"** – დაამატა მან.

რაც შეეხება სომხურ მხარეს, ის ერთიანი ენერგეტიკული სივრცის პროექტში მონაწილეობისთვის მზად არის, თუმცა, უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. როგორც ცნობილია, სომხეთი არ აპირებს "მაგატეს" მოთხოვნების გათვალისწინებას და ატომური ელექტროსადგურის გაჩერებას. ამის გამო, სომხეთის ენერგოსისტემისთვის უსაფრთხოების ნორმების დაცვას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. "არმენერგოს" წარმომადგენლის სპარტაკ იაკობიანის განცხადებით, **"დღეისათვის სომხეთს იმაზე 2,5-ჯერ მეტი ენერგიის გამომუშავება შეუძლია, ვიდრე თავად სჭირდება. ამიტომ, სომხეთი მზად არის ერთიანი ენერგეტიკული სივრცის პროექტში მონაწილეობისათვის. ჩვენ ატომურ სადგურს ვერ გავაჩერებთ – ატომური სათბობი ხომ 3,5-ჯერ იაფია თბოენერგიისთვის საჭირო სათბობზე – ბუნებრივ გაზზე. ჩვენ ბევრი გავაკეთეთ იმისათვის, რომ სომხეთის ატომური სადგური უსაფრთხოდ მუშაობდეს. უსაფრთხოების ღონისძიებები ენერგოსისტემების ერთობლივი მუშაობისთვისაც უნდა გატარდეს,"** – აღნიშნა მან "24 საათთან" საუბრისას.

შედეგად, თუ სომხეთისა და აზერბაიჯანის კეთილი ნებაც იქნება, საქართველო სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ერთიანი ენერგეტიკული სივრცის ცენტრად იქცევა, რომელსაც სომხეთის მხრიდან ირანი მიუერთდება, აზერბაიჯანის მხრიდან – თურქეთი, საქართველოს მხრიდან კი – რუსეთის გაერთიანებული ენერგოსისტემა.

სხვათა შორის, ამ მიზნით, ჯერ კიდევ ორიოდე თვის წინ, თბილისში საბჭოთა პერიოდის გადმონაშთი – საზოგადოება "პონტოელი" ფუნქციონირებდა. ის РАО ЕЭС РОССИИ-ს - 40-პროცენტიანი, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის 20-20-პროცენტიანი მონაწილეობით იყო შექმნილი და თავად აწესრიგებდა სამხრეთ კავკასიის ენერგოსისტემების პარალელურ მუშაობას თურქეთსა და ირანთანაც. 25 სექტემბერს, РАО ЕЭС РОССИИ-ს წარმომადგენლებთან ერთად, ქართულმა მხარემ მიიღო გადაწყვეტილება "პონტოელის" გაუქმების შესახებ. სამაგიეროდ, მის ნაცვლად სასწრაფოდ შეიქმნა ახალი – "რეგიონალური თანამშრომლობის ენერგეტიკული ცენტრი".

როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა ციცო ქსოვრელმა გაგვიმარტა, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – "რეგიონალური თანამშრომლობის ენერგეტიკული ცენტრი" საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა. ცენტრმა შეინარჩუნა "პონტოელის" ძველი პერსონალი და ახორციელებს მაღალი ძაბვის ხაზების დისპეტჩერიზაციას. **"ჩვენ უკვე ავიღეთ ლიცენზია. მაღალი ძაბვის ხაზების დისპეტჩერიზაცია მთლიანად ჩვენზე იქნება დელეგირებული. დავდებთ ხელშეკრულებებს რუსეთთან, აზერბაიჯანთან და ყველა იმ ქვეყანასთან, ვისთანაც მომავალში პარალელურ რეჟიმში ვიმუშავებთ,"** – განაცხადა მან.

რაც შეეხება გერმანულ კრედიტს, რომელიც სამხრეთ კავკასიის ერთიანი ენერგეტიკული სივრცის შექმნისათვის არის გათვალისწინებული, ჯერჯერობით, არც მისი ოდენობაა ცნობილი და არც მისი მიღების ვადები. **"კრედიტის პატარა ნაწილს, ალბათ, ჩვენც ავითვისებთ, მაგრამ წინასწარ ვერაფერს გეტყვით,"** – გვითხრა "რეგიონალური თანამშრომლობის ენერგეტიკული ცენტრის" ხელმძღვანელმა.

**"კრედიტს თავისი ბენეფიციარი ეყოლება. თანხის გარკვეული ნაწილი, შეიძლება, "საქრუსენერგოს" ერგოს, ვინაიდან მაღალი ძაბვის ხაზები მის ხელშია. გარკვეული ნაწილი – ელექტროგადაცემას, რადგან მაღალი ძაბვის ხაზები მის განკარგულებაშიც არის,"** – გაგვიმარტა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა.

მეზობელი ქვეყნების პარალელურ რეჟიმში მუშაობა ენერგოსისტემებს შორის ელექტროენერგიის გადადინება-გადმოდინებას იწვევს. **"ჩვენ სისტემათაშორისი აღრიცხვიანობა მოწესრიგებული გვაქვს,** – აცხადებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი, - **ენერგოსისტემებს შორის ანგარიშსწორების მექანიზმები კი ჯერჯერობით დაუმუშავებელია."**

მისი განცხადებით, ანგარიშსწორების საკითხებს ე.წ. "უმცირეს ფასთა მეთოდი" დაარეგულირებს. იქნება საშუალება, ერთმა ქვეყანამ მეორეს "გადმოქაჩული" ჭარბი რაოდენობის იაფი ჰიდრო- ან ატომური ელექტროენერგია ძვირი თბოენერგიით დაუბალანსოს და პირიქით.

და ბოლოს: ერთიანი ენერგოსივრცის მართვა მაღალი ძაბვის ქსელების სადისპეტჩერო უფლებამოსილების დელეგირებით უნდა განხორციელდეს. ერთიან ენერგოსივრცეში რეგიონალურ დისპეტჩერს მანიპულირების საშუალება უნდა ჰქონდეს: მას უნდა შეეძლოს, საჭიროებისამებრ ჩართოს საქართველოში ენგურჰესის აგრეგატები, აზერბაიჯანში – მინგეჩაურის აგრეგატები და ასე შემდეგ.

რაც შეეხება ელექტროენერგიის საფასურს, ერთიან სივრცეში საბითუმო ბაზარიც ერთიანი უნდა შეიქმნას და ფასების დარეგულირებაც ერთიანი მაკონტროლებელი ორგანოების მიერ უნდა განხორციელდეს.

# ევროკავშირმა და რუსეთმა შეთანხმებას მიაღწიეს

ბრიუსელში 11 ნოემბერს გამართულ სამიტზე ევროკავშირმა და რუსეთმა კალინინგრადის შესახებ ისტორიულ შეთანხმებას მიაღწიეს. კალინინგრადის მაცხოვრებლებს რუსეთის სხვა რეგიონებში გამგზავრება დამატებითი პრობლემების გარეშე შეეძლებათ.

რუსეთისა და ევროკავშირის დღევანდელი სამიტის დღის წესრიგში შესული იყო კალინინგრადის მომავალი სტატუსი, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და არალეგალური მიგრაცია. ექსპერტები არ გამორიცხავდნენ, რომ ჩეჩნეთის საკითხი, შესაძლოა, ცალკე საკითხად ყოფილიყო განხილული.

რუსეთს სამიტზე პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი და კალინინგრადის გუბერნატორი ვლადიმირ ეგოროვი წარმოადგენდნენ.



პუტინი შეთანხმებით კმაყოფილია

საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტის" ცნობით, სამიტზე პირველ საკითხად ევროკავშირის გაფართოება და კალინინგრადის მოსახლეობის რუსეთის რეგიონებთან ურთიერთობა განიხილებოდა. 2004 წელს პოლონეთისა და ლიტვის ევროკავშირში გაერთიანება არის დაგეგმილი. ამის შემდეგ, რუსეთის ანკლავი ევროკავშირის სახელმწიფოებით აღმოჩნდება გარშემორტყმული და, შესაბამისად, მოსახლეობას რუსეთის დანარჩენ რეგიონებში გამგზავრების პრობლემები შეექმნებოდა.

რუსეთის ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვდა, რომ კალინინგრადის მაცხოვრებლებისათვის რუსეთის რეგიონებთან თავისუფალი მიმოსვლის საშუალება მიეცათ. სამიტამდე მხარეებმა, მოლაპარაკებების შედეგად, კონსენსუსს მიაღწიეს, რომლის თანახმად კალინინგრადის მაცხოვრებლებს 2003 წლიდან სპეციალურ სატრანზიტო მრავალჯერად ვიზებს მისცემენ. აღნიშნული ვიზებით მათ საშუალება ექნებათ, რუსეთში ჩასასვლელად მოსაზღვრე ლიტვის ტერიტორია უპრობლემოდ გადაკვეთონ.

ევროკავშირის ხელმძღვანელობას არალეგალური მიგრაციის აღსაკვეთად სურს ჩქაროსნული მატარებლის რეისის დანიშვნა, რომელიც კალინინგრადს რუსეთთან დააკავშირებს. ევროკავშირის წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ სწრაფად მიმავალი მატარებლიდან ჩამოხტომა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება.

სამიტის მსვლელობისას მხარეები ჩეჩნეთის საკითხსაც შეეხნენ. ევროკავშირმა რუსეთს ჩეჩნეთის პრობლემის პოლიტიკური გზით გადაჭრისა და ლტოლვილების სახლებში დაბრუნებისაკენ მოუწოდა.

ევროკავშირისა და რუსეთის სამიტი ადამიანის უფლებათა დამცველების საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობდა. თუმცა, ჩეჩნეთის შესახებ კონკრეტული გადაწყვეტილება სამიტზე მიღებული არ ყოფილა.

# ჩეჩნეთში კიდევ ერთი სამხედრო ვერტმფრენი ჩამოაგდეს

ჩეჩნეთში დისლოცირებული რუსეთის ფედერალური არმიის შტაბის წარმომადგენლის ცნობით, გუშინ ჩეჩენ მებრძოლთა მსხვილი დაჯგუფების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლები მიმდინარეობდა. შტაბის მონაცემების თანახმად, აღმოსავლეთ რაიონში არსებულ დასახლება ხარსენოისთან ჩეჩენი მებრძოლები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ძალებმა ალყაში მოაქციეს. სააგენტო "ინეტრფაქსს" სამხედრო წყაროებმა შეატყობინეს, რომ ბოევიკები მთლიანად არიან ბლოკირებულნი და მათი განადგურების პროცესი მიმდინარეობს.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკოლაი დერიაბინმა აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა და აღნიშნა, რომ ბანდიტების განადგურების ოპერაცია მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს და რესპუბლიკის ყველა რაიონში ტარდება. გარდა ამისა, დერიაბინის ინფორმაციით, რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმმა, სამხედრო ვერტმფრენ მი-24-ის დახმარებით, ჩეჩენ მებრძოლთა დიდი ნაწილი გაანადგურა და ამჟამად მათი ვინაობის დადგენის პროცესი მიმდინარეობს. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ჩეჩნეთში ავარია განიცადა რუსეთის არმიის სამხედრო ვერტმფრენმა მი-24-მა. ვერტმფრენის ეკიპაჟის წევრები გადარჩნენ და ამჟამად ხანკალას აეროპორტში იმყოფებიან, მაგრამ თავად ვერტმფრენი მთლიანად დაიწვა. ჯერჯერობით, ვერტმფერის განადგურების მიზეზს არ ასახელებენ. არც ის არის ცნობილი, მოხდა თუ არა ჩეჩენ მებრძოლთა განადგურება ამ ვერტმფრენის მეშვეობით. სავარაუდოა, რომ მი-24 ზემოაღნიშნული ოპერაციის შესრულებისას დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ჩეჩენ მებრძოლთა მიერ რუსული სამხედრო ვერტმფერნის ჩამოგდების ეს უკვე მეათე შემთხვევაა.

რუსეთის სამართალდამცავები კი დაჟინებით ავრცელებენ ინფორმაციებს ჩეჩენ მებრძოლთა ტერორისტული საქმიანობის შესახებ. თითქოს ისინი ჩეჩნეთში მსხვილმასშტაბიანი ტერორისტული აქტების სერიების განხორციელებას გეგმავენ. **"ბოევიკები აქტიურად ემზადებიან ტერაქტების ჩატარებისთვის და შემსრულებლებად ტერორისტ-კამიკაძეებს, მათ შორის - ბავშვებსაც იბირებენ," -** განუცხადეს "ინტერფაქსს" ჩეჩნეთში დისლოცირებული რუსეთის არმიის შტაბში.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ჩეჩენი მებრძოლები გროზნოში აქტიურად ცდილობენ ახალი გადასატანი საზენიტო კომპლექსების მოპოვებას. **"იარაღის და საბრძოლო მასალების შესყიდვისათვის ე.წ. გროზნოს ემირმა ჯამბულათ სამხადოვმა, დაახლოებით, ასი ათასი ამერიკული დოლარი გამოყო. ამ თანხის დიდი ნაწილი, ჩვენი ინფორმაციით, საზენიტო დანადგარების შეძენას მოხმარდება,"** – განაცხადა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის შსს-ს წარმომადგენელმა. მისივე თქმით, სამხადოვს ამ დროისათვის უკვე გააჩნია სამი ასეთი დანადგარი. კიდევ რამდენიმე ერთეული აქვთ გროზნოში მოქმედ სხვა დაჯგუფებებსაც. აღსანიშნავია, რომ მეტწილად ჩეჩენი მებრძოლები რუსულ სამხედრო ვერტმფრენებს სწორედ ამ საზენიტო დანადგარების საშუალებით აგდებენ. სავარუდოა, რომ ისინი აღნიშნულ იარაღს თავად რუსებისგან იძენენ.

## მოკლედ

**ინდოეთი.** საინფორმაციო სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, ქაშმირის სეპარატისტი ლიდერი რვათვიანი პატიმრობის შემდეგ გათავისუფლებული იქნება. მას ინდოეთის ხელისუფლება ტერორიზმის დაფინანსებაში დებდა ბრალს.

იასინ მალიქი, ყოფილი საველე მეთაური და ქაშმირის გათავისუფლების ფრონტის ლიდერია. მალიქი მარტში დაიჭირეს და 100 000 აშშ დოლარის მებრძოლებისათვის გადაცემა წაუყენეს ბრალად. იგი მას შემდეგ დააპყვევეს, რაც პოლიციამ ნეპალიდან მომავალი ქალი დააკავა, რომელსაც ჩანთაში დიდ რაოდენობის ნაღდი ფული აღმოუჩინეს. ქალის თქმით, მას ფული მალიქისათვის მიჰქონდა. მალიქს გულის მძიმე დაავადება აწუხებს. ამიტომ სასამართლომ მისი შეწყალების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ივლისში მიიღო. თუმცა, ძალიან მალე იგი ხელახლა დაიჭირეს, საზოგადოების უსაფრთხოების შესახებ არსებული კანონის თანახმად. ეს კანონი ნებას აძლევს ხელისუფლებას, პიროვნება ორი წლის მანძილზე, სასამართლოს თანხმობის გარეშე, ჰყავდეს დატუსაღებული.

ინდოეთის ხელისუფლების წარმომადგენლის თქმით, პოლიციამ ორშაბათს საზოგადოების უსაფრთხოების შესახებ არსებული კანონის მოქმედება შეაჩერა.

მალიქის გათავისუფლება ქაშმირის ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გადაწყდა. შტატის ადმინისტრატორმა მოჰამად საიდმა მოსახლეობას აღუთქვა, რომ შტატის ხელისუფლების იმიჯს გამოასწორებს და ძალადობით ცნობილ რეგიონში მშვიდობას დაამყარებს. 1989 წლის შემდეგ, ძალადობის შედეგად, ქაშმირში 61 000 კაცი დაიღუპა.

მალიქის გამოშვებით ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს, შტატის მოსახლეობა საკუთარ კეთილგანწყობაში დაარწმუნოს და სეპარატისტებს ძალადობაზე ხელი აალებინოს.

■ ■ ■

**ეთიოპია.** ეთიოპიის პრემიერ-მინისტრმა მელეს ზენავიმ საერთაშორისო თანამეგობრობა გააფრთხილა, რომ მის ქვეყანას 1984 წელს მომხდარ შიმშილობაზე უარესი დღე ელოდება. 1984 წელს, შიმშილობის შედეგად, დაახლოებით, ერთი მილიონი ეთიოპიელი მოკვდა.

ეთიოპიის პრემიერ-მინისტრმა "ბი-ბი-სის` კორესპონდენტს განუცხადა, რომ ამჟამად ექვს მილიონ კაცს ემუქრება შიმშილით სიკვდილი. ზენავის მტკიცებით, წლის ბოლომდე ეს რიცხვი 15 მილიონამდე გაიზრდება, თუ საერთაშორისო დონორები ქვეყანას სათანადო დახმარებას დროულად არ აღმოუჩენენ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ახლანდელი გვალვები, 1984 წლის კატასტროფასთან შედარებით, სამჯერ მეტი ადამიანის სიცოცხლეს დაემუქრება. მელეს ზენევი შიშობს, რომ განვითარებული სახელმწიფოების საზოგადოებებმა, შესაძლოა, ჩათვალონ, რომ გვალვისათვის თავის გართმევა ადგილობრივი ძალებითაც არის შესაძლებელი, რადგან დასავლური მედია ამ მოვლენას სათანადო ყურადღებას არ უთმობს, განსხვავებით გასული საუკუნის 80-იანი წლებისაგან.

ეთიოპიაში მსოფლიო სურსათის პროგრამის დირექტორის ჯორჯ შავერის თქმით, სამხრეთ აფრიკაში 14 მილიონ ადამიანს საკვებით დახმარება ესაჭიროება, მაშინ როდესაც "14 მილიონი მხოლოდ ერთ ქვეყანაში, ეთიოპიაში ელოდება ამგვარ დახმარებას".

ეთიოპიის დახმარების სურვილი უკვე გამოთქვა ევროკავშირმა, რომელმაც კატასტროფის ზღვარზე მყოფ ქვეყანას ხორბლის მიწოდება აღუთქვა.

■ ■ ■

**ფილიპინები.** საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ცნობით, 11 ნოემბერს ორძრავიანი თვითმფრინავი მანილას აეროპორტიდან აფრენიდან რამდენიმე წუთში ჩამოვარდა. 34 მგზავრიდან 14 დაიღუპა, 16 კი გადარჩა.

ერთ-ერთი გადარჩენილის მონათხრობის მიხედვით, აფრენიდან სამ წუთში თვითმფრინავის ძრავის ხმა შეწყდა და მათ უეცარი დაშვება დაიწყეს.

თვითმფრინავის ავარიის კონკრეტული მიზეზები ჯერჯერობით დაუდგენელია.

# ერაყი გაერო-ს რეზოლუციას განიხილავს

რევაზ ბახტაძე

ორშაბათს, 11 ნოემბერს, ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა პარლამენტის სპეციალური სხდომა მოიწვია, რათა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ ინსპექტირების შესახებ მიღებული რეზოლუცია განიხილოს.

ერაყს პარასკევამდე აქვს მიცემული ვადა, რათა უშიშროების საბჭოს საკუთარი გადაწყვეტილება ამცნოს; რომლის თანახმად, ბაღდადმა ინსპექტორებს ნებისმიერი ადგილის შეუზღუდავი ინსპექტირების უფლება უნდა მისცეს. დაუმორჩილებლობას, რეზოლუციის მიხედვით, "სერიოზული შედეგები მოჰყვება".

შეერთებულმა შტატებმა კვირას კიდევ ერთხელ გააფრთხილა ერაყი, რომ გარდაუვალი იქნება სამხედრო აქცია ნებისმიერი სახის დაუმორჩილებლობის, ან ინსპექტორების გაცურების მცდელობის შემთხვევებში.



ერაყის პარლამენტი გაერო-ს რეზოლუციის განხილვისას

ვაშინგტონში შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ ინსპექტირებისას "არანაირი შეღავათი" არ იქნება. აშშ-ის მედიის ცნობით, უკვე არსებობს ომის კონკრეტული გეგმა, რომელიც ჯორჯ ბუშმა დაამტკიცა და რომლის დროსაც, დაახლოებით, 250 000 ჯარისკაცი ჩაერთვება.

არაბული სახელმწიფოების ლიგა უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესაფასებლად გასული კვირის ბოლოს, კაიროში შეიკრიბა. სამიტის მსვლელობისას არაბული სახელმწიფოები გაერო-ს რეზოლუციის მიღებას მიესალმნენ და ერაყს გაერო-ს რეზოლუციის შესრულებისაკენ მოუწოდეს.

თუმცა, კაიროს სამიტზე მყოფმა მინისტრებმა ხაზი გაუსვეს, რომ ერაყის წინააღმდეგ შეიარაღებულ თავდასხმას ეწინააღმდეგებიან. მათი თქმით, სამხედრო აქცია საფრთხეს შეუქმნის ყველა არაბულ სახელმწიფოს.

სამიტის მსვლელობისას არაბული ქვეყნების მთავრობების შეშფოთება სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფაროკ ალ-შარაამ გამოხატა. მისი თქმით, სირია მხოლოდ იმიტომ დაეთანხმა უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომ ამით ერაყისათვის შეერთებული შტატების მოულოდნელი შეტევა თავიდან აეცილებინა.

"ახლა ამერიკა ერაყს გაერო-ს ეგიდით ველარ დაარტყამს; თუმცა, შეერთებულ შტატებს საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით მაინც შეუძლია ბაღდადზე იერიში განახორციელოს. თუ ეს მოხდა, მაშინ მსოფლიო ამერიკის გვერდით აღარ დადგება. ამ შემთხვევაში ამერიკელებს ლოს-ანჯელესიდან დაწყებულ, შორეულ აღმოსავლეთსა და არაბულ ქვეყნებში დამთავრებულ დემონსტრაციებთან გამკლავება მოუწევთ".

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმედ მაჰერის თქმით, ბაღდადი, სავარაუდოდ, ახალი რეზოლუციის მოთხოვნებს დაემორჩილება. "საერთო აზრით, სამხედრო აქციის ასაცილებლად ერაყის თანამშრომლობას ინსპექტორებთან გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება", - განაცხადა მან შეხვედრის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ არაბული სახელმწიფოების მინისტრებმა უშიშროების საბჭოს წერილი გაუგზავნეს. ისინი ერაყის ინსპექტირებისას არაბი ექსპერტების მონაწილეობას მოითხოვენ. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ გაერო-ს ინსპექტორებმა ერაყის წინააღმდეგ "პროვოკაციებისაგან" თავი უნდა შეიკავონ.

ერაყის 250 - კაციანი ასამბლეა საგანგებო სხდომას გამართავს, რათა გაერო-ს მიერ მიღებული რეზოლუცია განიხილოს. პარლამენტის გადაწყვეტილების შემდეგ საბოლოო სიტყვა ერაყის უმაღლეს ხელისუფლებას - რევოლუციურ საბჭოს ეკუთვნის, რომლის თავმჯდომარე სადამ ჰუსეინია.

ერაყში მყოფი ჟურნალისტების თქმით, ერაყელების უმრავლესობას რეზოლუციის პირობები დამამცირებლად მიაჩნია, მაგრამ მთავრობა ხვდება, რომ მას სხვა არჩევანი არ გააჩნია.

ანალიტიკოსების აზრით, სადამ ჰუსეინზე დიდ გავლენას იქონიებს არაბული სახელმწიფოების მოწოდება და უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე რეზოლუციის განხილვისას სირიის უეცარი თანხმობა.

# ნეთანიაჰუ არაფატის პალესტინიდან გაძევებას ითხოვს

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ იასირ არაფატის "ტერორისტული რეჟიმის" შეცვლის აუცილებლობის შესახებ განაცხადა მას შემდეგ, რაც პალესტინელმა შეიარაღებულმა ტერორისტმა ისრაელის ქალაქ კიბუცში ხუთი ადამიანი, მათ შორის - დედა და მისი ორი ბავშვი მოკლა. ისრაელის ექს-პრემიერის ეს განცხადება შესაძლოა, რომ პალესტინის ხელისუფლების წინააღმდეგ პირველ მკვეთრ დარტყმად იყოს განხილული მას შემდეგ, რაც ნეთანიაჰუმ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ნეთანიაჰუ პალესტინის კონფლიქტისადმი საკმაოდ ხისტი დამოკიდებულებით გამორჩეული პოლიტიკოსი იყო. უნდა ითქვას, რომ კიბუცში მომხდარმა მკვლელობებმა კიდევ უფრო დაძაბა პალესტინელთა და ებრაელთა ურთიერთობა. ისრაელის მოსახლეობა მკვლელის სისასტიკით აღშფოთებულია. მომხდარზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა ორგანიზაციამ "ალ აქსას წამებულთა ბრიგადებმა" აიღო თავის თავზე. ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მათ შური იძიეს ებრაელი სამხედროების მიერ მუსულმან აქტივისტთა ლიდერის მკვლელობის გამო. "ალ აქსას ბრიგადებმა" დაიფიცა, რომ კიდევ გააგრძელებს ებრაელთა მკვლელობებს, ვიდრე ისრაელის არმია არ დატოვებს მათ სამშობლოს.



ტერაქტის მსხვერპლთა ნათესავები

ისრაელის ხელისუფლებამ კი გადაწყვიტა პალესტინელთა წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრება. ახლადდანიშნული საგარეო საქმეთა მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ პალესტინის ტერიტორიიდან არაფატის გაძევების ინიციატივით გამოდის. არაფატი კი, თავის მხრივ, გმობს მომხდარ ფაქტს.

პარალელურად, ისრაელის სამხედრო ნაწილებმა ღაზას სექტორში რეიდების განხორციელება დაიწყეს. მათ სამხედრო ვერტმფრენებიდან დაცხრილეს და რაკეტებით დაბომბეს ღაზაში მდებარე ავტოსარემონტო სახელოსნო. სამხედროთა თქმით, აქ პალესტინელი ტერორისტები იარაღს ამზადებდნენ. ისრაელის არმიის ოპერაცია ღაზას სექტორში კიბუცში მომხდარი მკვლელობებიდან ზუსტად ორ საათში განხორციელდა. ჯერჯერობით, ღაზას სექტორში მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ არის. კონფლიქტი კვლავ გრძელდება. მას 2000 წლის სექტემბრიდან 1654 პალესტინელის და 631 ებრაელის სიცოცხლე შეეწირა. საერთაშორისო თანამეგობრობა კი კვლავ დაჟინებით ითხოვს კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით გადაწყვეტას.

# ნათელაშვილი ჯიბეგაფხეკილ სტუდენტებს უფასო ინტერნეტს ჰპირდება

გუშინ "ლეიბორისტული პარტიის" ახალგაზრდული ფრთა საკუთარ ლიდერთან შეხვედრისას იმდენად აღელვებული და დაბნეული იყო, რომ ნათელაშვილი, პარტიის თავმჯდომარის ნაცვლად, თამადად მოიხსენიეს. ახალგაზრდა "ლეიბორისტები", სიტყვით გამოსვლისას, ტექსტს დიდი გაჭირვებით კითხულობდნენ, რამაც დარბაზში მყოფი თანატოლები ხალისისა და გართობის გუნებაზე დააყენა.

ეთერ მამულაშვილი

"ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი გუშინ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ახალგაზრდებს შეხვდა და პოსტშევარდნაძისტული ხანის საქართველოზე ესაუბრა. გორკის სახელობის კლუბში მოსულ ახალგაზრდებს, რომელთა უმეტესობა სტუდენტები იყვნენ, ნათელაშვილი დიდხანს უმტკიცებდა, რომ ძალიან მალე გათენდება ის დღე, როცა კანცელარიის შენობა შევარდნაძის გარეშე დაიწყებს მუშაობას.

მომავალი წლის შემოდგომაზე დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში, გამარჯვების შემთხვევაში, ნათელაშვილი ყველა ახალგაზრდას საკუთარი სპეციალობით დასაქმებას, საარსებო ხელფასსა და ახალგაზრდული პროგრამების სრულ დაფინანსებას ჰპირდება. "ჩვენი პარტიის სამომავლო გეგმები თქვენი ინტერესების სრულად დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად. ამ მიზნების განსახორციელებლად კი თქვენი თანადგომა გვჭირდება. მჯერა, მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებში თქვენი აქტივობა მოიმატებს და ჩვენს პარტიას დაუჭერთ მხარს", - აღნიშნა ნათელაშვილმა.

მანამდე კი "ლეიბორისტთა" ლიდერი ბიბლიოთეკების ქსელის აღდგენასა და მისი კომპიუტერული სისტემით აღჭურვაზე იწყებს მუშაობას. ნათელაშვილი ჯიბეგაფხეკილ და უსტიპენდიო სტუდენტებს ოცდაოთხსაათიან უფასო ინტერნეტს ჰპირდება. იგი დარწმუნებულია, რომ ამ პრობლემის მოგვარების შემდეგ ახალგაზრდები ქუჩიდან ბიბლიოთეკებში გადაინაცვლებენ.

ნათელაშვილს გულს უხეთქავს ის ფაქტიც, რომ თბილისელი ახალგაზრდობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, საკუთარი თავისა და ოჯახის გამოსაკვებად, საქართველო დიდი ხნის წინ დატოვა. "ზოგი ბაზარში დგას და ფორთოხალს ყიდის. ზოგიც ოჯახში მოახლედაა, ბავშვებს უვლის. ჩვენ გვაქვს ძალა და უნარი,



ახალგაზრდებმა "ლეიბორისტები" ხასიათზე მოიყვანეს

ლევან ხერხეულიძის ფოტო

რომ ეს ახალგაზრდები საკუთარ ოჯახებს დავუბრუნოთ. სამოთხეს და უპრობლემო ცხოვრებას ვერ შეგპირდებით, მაგრამ საკუთარი გზის მოძებნაში აუცილებლად დაგეხმარებით, თუკი ჩვენს გვერდით დადგებით", - ასე ცდილობდა გიორგი გუგავა, ლეიბორისტთა ერთ-ერთი აქტივისტი, ახალგაზრდების გულის მოგებას.

ნათელაშვილს არც გაჭირვებული თბილისელები დაავიწყდა და, მათი გულის გასახარად, ერთი-ორი კარგი ამბავი გვიამბო: თბილისის საკრებულოში, თხუთმეტი მანდატის მქონე "ლეიბორისტები", გადაუდებელი უფასო სასწრაფო დახმარების აღდგენისთვის, წყლის ტარიფის განახევრების, მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარებისა და სხვა ბევრი სიკეთისთვის ბრძოლას დღეიდან იწყებენ.

შეხვედრის ბოლოს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ახალგაზრდობამ ნათელაშვილს მხარში ამოდგომის ერთგვარი ფიციც კი მისცა. ასე რომ, მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებში "ლეიბორისტებს", ამ რაიონის ახალგაზრდობის ხმები გარანტირებული აქვთ. ნათელაშვილი ამას არ სჯერდება და უახლოეს დღეებში სხვა რაიონის ახალგაზრდებთან შეხვედრას გეგმავს. ამის შემდეგ "ლეიბორისტების" ლიდერი წვრილ და საშუალო მეწარმეებს შეხვდება.

## მოკლედ

**თბილისი**. როგორც გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელი აცხადებს, მიწისძვრის შედეგად ამ რაიონში ყველაზე მეტი მოქალაქე დაზარალდა. ამჯერად მათთვის უმთავრესი ზამთრის გადასატანად ელემენტარული პირობების შექმნაა. ქალაქის პრემიერმა გია შერაძემ მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა ფონდის ხელმძღვანელს ზურაბ გუდავაძეს სთხოვა, რომ გლდანი-ნაძალადევის რაიონის დაზარალებულ მოსახლეობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს. ამის გარდა, ქალაქის ხელმძღვანელობა ითხოვს, რომ დაზარალებულთა მასობრივი ჩასახლების ადგილებში, ნევროლოგიის ინსტიტუტში, სამღერეთისა და ჯიქიას ქუჩებზე გამრიცხველიანება დასრულდეს, შემდეგ კი მოიძებნოს ორგანიზაცია, რომელიც დაზარალებულთა მიერ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს გადაიხდის. "დაუშვებელია, უსახლკაროდ დარჩენილთა ოჯახებს ელექტროენერგია თუნდაც ერთი დღით არ მიეწოდოს", - აცხადებს მერია. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი**. საქალაქო სამსახურების გაერთიანებაზე ქალქის მერი, კარგა ხანია, საუბრობს, გუშინდელ თათბირზე კი ამ საკითხზე უკვე ოფიციალურად ალაპარაკდა. მერიაში შექმნილია შესაბამისი პროექტი, რომელიც საქალაქო სამსახურების ოპტიმიზაცია-რეორგანიზაციას ითვალისწინებს. მაგალითად, ამ პროექტის მიხედვით, ენერგეტიკისა და საქალაქო მეურნეობის სამსახურები და ახმშენინსპექცია და არქიტექტურის, დიპლომატიური სერვისისა და საგარეო ურთიერთობათა სამსახურები უნდა გაერთიანდეს. ამასთან, დაგეგმილია ახალგაზრდული, ვეტერინარული და ქონების მართვის სამსახურების რეორგანიზაცია. ვანო ზოდელავას თქმით, ქალაქის მთაბრობა 19-დან 15 კაცამდე შემცირდება, გამსხვილებულ-რეორგანიზებული სამსახურების უფროსების ვინაობას კი თბილისის მერი ჯერ არ აკონკრეტებს. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც შპს „თბილწყალკანალის" განვითარების მსოფლიო ბანკის პროექტის ბიუროს ხელმძღვანელი ზურაბ ღონღაძე აცხადებს, ამჟამად „თბილწყალკანალში" მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებულ ტენდერში სავარაუდო ინვესტორებისგან საკონკურსო წინადადებებს ელოდებიან. ამ წინადადებებს შორის ოპერატორის ტარიფიც არის. ზურაბ ღონღაძის ცნობით, „თბილწყალკანალი" იჯარით იმ ოპერატორზე გაიცემა, რომელიც ყველაზე დაბალ ტარიფს შემოგვთავაზებს. შპს „თბილწყალკანალი" ინვესტორს იჯარით 10 წლით გადაეცემა. ზურაბ ღონღაძის თქმით, "თბილწყალკანალის" იჯარით გადაცემის შემდეგ სასმელი წყლის სამომხმარებლო ტარიფი გაიზრდება, თუმცა, ეს უახლოეს ორ წელიწადში არ მოხდება. ტენდერში მონაწილე კომპანიები საკონკურსო წინადადებებს დეკემბრის დასაწყისში წარმოადგენენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული კვირის განმავლობაში დედაქალაქის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სკოლების, ბაგა-ბაღების, საწარმოების, კომუნალური მომსახურების და სხვა ობიექტების მდგომარეობის შემოწმების შედეგად სანიტარული ნორმების დარღვევის 50-ზე მეტი შემთხვევა აღმოაჩინა. უკვე დაჯარიმდა 22 ობიექტის ხელმძღვანელი. ამავე დროს, ამ წესების უხეში დარღვევის გამო, 30 ობიექტის ექსპლუატაცია შეაჩერეს.

სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია ობიექტების მდგომარეობის შესწავლას აგრძელებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საზოგადოება „ვარკეთილის" წარმომადგენლებმა ვარკეთილის დასახლებაში „ეი-ი-ეს თელასის" წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი მოსახლეობას აქციაში მონაწილეობისაკენ მოუწოდებდნენ. საზოგადოება „ვარკეთილის" თავმჯდომარის - ვანო ცნობილაძის განცხადებით, აქციის მონაწილენი ტარიფის ზრდას აპროტესტებენ და მოსახლეობას მოუწოდებენ, ელექტროენერგიის გადასახადი არ გადაიხადონ. ვანო ცნობილაძის თქმით, მსგავსი აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და მასში ქალაქის სხვა უბნებიც ჩაერთვებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსის საწარმოს" ხელმძღვანელის ზურაბ ბაბუნაშვილის ცნობით, ტროლეიბუსის №19 მარშრუტის მოძრაობა ათ დღეში აღდგება. ეს მარშრუტი ეროვნული სტადიონიდან ლიუბლიანის ქუჩამდეა და ამ ტროლეიბუსით დიღმის და დიდი დიღმის დასახლებების მაცხოვრებლებიც სარგებლობენ.

ტროლეიბუსის მოძრაობა ამ მიმართულებით სამი თვის წინათ შეჩერდა, რადგან ლიუბლიანის ქუჩაზე ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრისთვის წყალსადენებისა და კანალიზაციის სისტემებს აწყობდნენ. ამჟამად მილსადენების მშენებლობა უკვე დასრულებულია და შესაბამისმა სამსახურებმა დაიწყეს გზის ასფალტის საფარის შეკეთება. გზის აღდგენის შემდეგ ტროლეიბუსის მარშრუტი ამოქმედდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ თბილისში გასული კვირის განმავლობაში დაბინძურების 99 წერტილი აღმოაჩინა. ინსპექციის ინფორმაციით, ეს ძირითადად, მოსახლეობის მიერ მოწყობილი უკანონო ნაგავსაყრელებია. ინფორმაცია ამ დაბინძურებული ადგილების შესახებ გადაეცა რაიონების კეთილმოწყობის სამსახურებს, რომლებმაც დაასუფთავეს მხოლოდ 70 ნაგავსაყრელი, ხოლო 29 ხელშეუხებელია. ამავე დროს დაფიქსირდა საცხოვრებელ კორპუსებთან მდებარე ნაგვის 57 დაუსუფთავებელი ბუნკერი და ნაგვით სავსე 71 ქუჩაში მდებარე კონტეინერი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული კვირის განმავლობაში თბილისში წყალსადენის ქსელში 61 დაზიანება დაფიქსირდა. ამავე პერიოდში საკანალიზაციო სისტემებში 84 ლოკალური ავარია მოხდა. სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ინფორმაციით, დაზიანებებმა სასმელი წყლის ხარისხზე უარყოფითად არ იმოქმედა, რადგან შპს „თბილწყალკანალმა" დაზიანებები დროულად აღმოფხვრა. ინსპექციამ კვირის განმავლობაში აიღო და ლაბორატორიულად შეამოწმა სასმელი წყლის 90 სინჯი, რომლებშიც დარღვევები არ დაფიქსირდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული კვირის განმავლობაში თბილისის გარევაჭრობის წერტილებში ჩატარებული რეიდების შედეგად ამოიღეს 14 ცალი შებოლილი თევზი "სიგა". თბილისის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ცნობით, ეს თევზი ოჯახის პირობებში სანიტარული ნორმების დარღვევითაა მომზადებული, ამიტომაც მისი მოხმარება ჯანმრთელობისთვის საშიშია.

კვირის განმავლობაში თბილისში კონტრაბანდული გზით უამრავი ამგვარი პროდუქცია შემოდის. ამ პროცესის აღკვეთა შესაბამისმა სამსახურებმა ვერ შეძლეს. ამიტომაც სპეციალისტები მოსახლეობას ურჩევენ, თავი შეიკავონ საეჭვო ხარისხის თევზის შეძენისგან. ამავე პერიოდში ინსპექტორებმა ამოიღეს გარევაჭრობაში აღმოჩენილი უხარისხო 21 კილოგრამი ყველი, 9 ლიტრი რძე, 18 ქილა მაწონი, კილოგრამი ნადუღი, 2.5 კილოგრამი ხაჭო. ამოღებულია 75 ცალი კვერცხი და 12 ცალი კრემიანი ნამცხვარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ინფექციური პათოლოგიის ცენტრში ახალგაზრდა მამაკაცი ცოფის დიაგნოზით გარდაიცვალა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის რამაზ ურუშაძის ცნობით, გარდაცვლილი და მისის მეუღლე, ერთი თვის წინათ, კატამ დაკაწრა. არც ერთ მათგანს ცოფის საწინააღმდეგო აცრა არ გაუკეთებია. მამაკაცს ცოფს ნიშნები გამოაჩნდა, მაგრამ ინფექციური პათოლოგიის ცენტრში დაგვიანებით მიიყვანეს და მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო. რაც შეეხება გარდაცვლილის მეუღლეს,დაავადების ნიშნები მას, ჯერჯერობით, არ ემჩნევა. **ინტერ-პრესი**

# ურთიერთბრალდებებისთვის ჯიბეში ხელს არ იყოფენ

## ზუგდიდში სკოლები გაიფიცნენ

*გუშინ დილიდან ზუგდიდის თხუთმეტივე სკოლა გაიფიცა. მასწავლებლებმა აქცია აგვისტოდან მიუღებელი ხელფასების მოთხოვნით გამართეს. ჯამაგირის დარიგებას ქალაქის ხელმძღვანელობა მათ გასული კვირის ოთხშაბათს დაჰპირდა, მაგრამ პირობა ვერ შეუსრულა. პასუხად, სკოლებმა 15-კაციანი საგაფიცვო კომიტეტი შექმნეს და ქალაქში სწავლა იქამდე გამოაცხადეს შეწყვეტილად, ვიდრე ვალს არ დაუბრუნებენ. მათ პროტესტს ზუგდიდში პოლიტიკურ სარჩულს უდებენ.*

მაკა ჭაიანი

ზუგდიდის გამგებელი იმედოვნებს, რომ დღეს, დღის მეორე ნახევარში გაფიცულები დავალიანების ნაწილს მიიღებენ. ამ დროისთვის ქალაქში "თავისუფალი" 40 ათასი ლარის გამონახვაა ნავარაუდევი. რაც შეეხება დანარჩენ 200 ათას ლარს, ტარიელ ქანთარიას აზრით, მისი დაფარვა მომავალი კვირის ბოლოსთვის მოხერხდება. გაფიცულები დათმობაზე წასვლას არ აპირებენ. მათი განცხადებით, აქცია მხოლოდ მაშინ შეწყდება, როცა კუთვნილ ხელფასს ხელში დაიჭერენ. ორი თვე გვატყუეს და ახლა ასე ადვილად არ დავთმობთო, - ამბობენ ისინი.

მათ პროტესტს ზუგდიდში პოლიტიკურ სარჩულს უდებენ. დაგვიანებული ხელფასის მიღების სურვილი ბუნებრივი სურვილია, მაგრამ საოლქო საგადასახადო სამსახურის უფროსს, ბეჟან გუნავას მიაჩნია, რომ ყველაფერი ეს ქალაქის გამგებლისა და გამგეობის ეკონომიკური სამსახურის უფროსის, თორნიკე ჯგუშიას ინსპირირებულია. "ქალაქს აქვს იმდენი შემოსავალი, რომ მასწავლებლების ხელფასები დააფინანსოს, მაგრამ გამგეობამ ეს სპეციალურად არ გააკეთა. უნდა, ყველაფერი საგადასახადო სამსახურს დაბრალდეს. ტარიელ ქანთარიამ განაცხადა კიდეც, რომ მე სპეციალურად ვქმნი ფინანსურ პრობლემებს, რადგან ჟვანია-სააკაშვილის გუნდის წევრი ვარ და არეულობა მინდა. მე არც ერთი პარტიის წევრი არა ვარ და ზუგდიდში იქნება ეს, თუ სხვაგან, არეულობა არაფერში მჭირდება. კარგად ვიცი, რაც ამოძრავებს ქალაქის გამგეობას. მოქალაქეთა კავშირს უნდა, საოლქო საგადასახადო სამსახურის უფროსის ადგილი ჩაიგდოს ხელში, რომ მომავალი არჩევნები დააფინანსოს", - დარწმუნებულია გუნავა.

თორნიკე ჯგუშია, არათუ გაფიცვის ინსპირირებაში მონაწილეობას, მსგავსი ხმების არსებობასაც კი უარყოფს, - ასეთი რამ პირველად თქვენგან მესმისო. რაც შეეხება ზუგდიდის გამგებელს, მისი განცხადებით, პრობლემა სწორედ გუნავას შექმნილია და ტყუილად ცდილობს, ხელი სხვას შეაწმინდოს. "ადგილობრივი ბიუჯეტი აქ 47 პროცენტით სრულდება, როცა ცენტრალური 103 პროცენტითაა შესრულებული. ამ დროს პირიქით უნდა იყოს! გუნავას ქალაქის თანხები ცენტრალურ ბიუჯეტში მიაქვს და ისე ასრულებს გეგმას, მასწავლებლების ხელფასები კი სწორედ ამ ფულზეა დამოკიდებული. აქციის ინსპირირება და სიტუაციის დაძაბვა ჩვენ არ გვჭირდება. მაგ სიტყვებისთვის ქალაქის და რაიონის მოღალატე გუნავას მე პასუხს გავცემ!"- აღშფოთებას არ მალავს ტარიელ ქანთარია.

მხარეები ურთიერთბრალდებებისთვის ჯიბეში ხელს არ იყოფენ. გუნავა ქალაქის ხელმძღვანელობას ფინანსურ დარღვევებში ადანაშაულებს, იგივე პრეტენზია აქვს მის მიმართ ქანთარიასაც. ორივეს მიაჩნია, რომ მისი მოწინააღმდეგის საქმიანობით შესაბამისი სამსახურები უნდა დაინტერესდნენ და ა.შ. მათ შორის კი ისრისებიან უბრალო ადამიანები - მასწავლებლები, რომლებიც კუთვნილ ხელფასებს გაფიცვების გზითაც ვერ იღებენ.

# პრავდა რეფორმასა და სტალინზე

*საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დაწყებული რეფორმა, რომლისთვისაც მსოფლიო ბანკმა შეღავათიანი სესხის სახით 60 მილიონი დოლარი გამოყო, სახელმწიფო სკოლებისთვის მცირე გრანტების პროგრამასაც მოიცავს. სექტემბერში გამოცხადდა სასკოლო გრანტების პროგრამის პირველ რაუნდში გამარჯვებული სკოლები. ამჯერად მათთან განათლების სამინისტროს მიერ მომზადებული მწვრთნელები მუშაობენ, რათა საპროექტო წინადადებები დაიხვეწოს და სრულყოფილი გახდეს.*

ვასილ ბულეური

გორიდან

იმის გასარკვევად, თუ როგორ მიმდინარეობს რეფორმა, როგორ ხორციელდება გრანტების პროგრამა, როგორ იმუშავა შეფასების საბჭომ, გორს ეწვივნენ საქართველოს განათლების სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები.

შეხვედრა გრანტების პროგრამის ერთ-ერთ გამარჯვებულ საშუალო სკოლაში გაიმართა. როგორც მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა, მექსიკელმა ხუან პრავდამ განაცხადა, ისინი ყოველ ექვს თვეში ამოწმებენ, თუ როგორ მიმდინარეობს რეფორმა. ის დაინტერესდა, თუ როგორ აქვთ წარმოდგენილი განათლების მუშაკებს, მათ შორის, განათლების განყოფილების წარმომადგენლებს, სასკოლო გრანტების პროგრამის მომავალი განვითარება. ამის პასუხად მან, ძირითადად, მოისმინა შენიშვნები, თუ რატომ არის შეზღუდვები საპროექტო განაცხადის მომზადებაში, ან რატომ არ შეუძლია სკოლას, ამ თანხით ჩამონგრეული სახურავი შეაკეთოს. ხუან პრავდამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ სასკოლო გრანტების პროგრამა მიზნად ისახავს სწავლების ახალი მეთოდების დანერგვას და გაუმჯობესებას, ხოლო სარემონტო სამუშაოები ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა დააფინანსოს.

განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ნანა დალაქიშვილი და კონსულტანტი დიდი ბრიტანეთიდან ლიზი ტომპსონი, დაინტერესდნენ იმით, თუ რა შეიძლება შეიცვალოს შეფასების საბჭოს მუშაობაში, რა კრიტერიუმები დაემატოს შეფასების დროს და რა დამატებითი ინფორმაცია მიეწოდოს სკოლებს, რათა საპროექტო განაცხადები უფრო სრულყოფილი იყოს.

როგორც ერთ-ერთმა მწვრთნელმა, ნანა ნაბულიშვილმა აღნიშნა, გამარჯვებული საპროექტო წინადადებებიც კი ძალზე დასახვეწია. ამჯერად იგი უკვე მუშაობს გორის რაიონის გამარჯვებულ სკოლებთან, რათა დეკემბრამდე მომზადდეს სრულყოფილი პროექტები.

მიუხედავად მრავალი პრობლემისა და ეჭვისა, რაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არსებობს, პრავდა კმაყოფილია რეფორმის მიმდინარეობით. "ის, რაც საქართველოში თერთმეტი თვის განმავლობაში გაკეთდა, სხვა ქვეყნებში სამი წლის მანძილზე მიმდინარეობდა, - აღნიშნა მან, - მთავარია, რეფორმის მიმდინარეობა სრულიად გამჭვირვალე იყოს. ამაში კი თქვენ, ჟურნალისტებმა უნდა შეასრულოთ დიდი როლი."

რაკი გორში ჩამოვიდა, ბატონ პრავდას სურდა, "სიმართლე" გაეგო სტალინის შესახებ და მისი სახლ-მუზეუმის უნახავად არ წასულიყო. მექსიკური ტემპერამენტის წყალობით, შეხვედრაც დროულად დასრულდა და სურვილიც აისრულა.

# „პიარისტების" ამჟამინდელი სემინარის აქცენტი პრაქტიკაზეა გადატანილი

*"საზოგადოებასთან ურთიერთობა და მარკეტინგული კომუნიკაციები, ეფექტური PR, საარჩევნო და მარკეტინგული კამპანიების წარმართვა"- ასეთია ძირითადი თემა ექვსდღიანი სემინარისა, რომლის ორგანიზატორები არიან პოლიტიკური კონსულტაციების საერთაშორისო ცენტრი "ნიკოლო მ" და არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ასოციაცია".*

ირინე სანებლიძე

რუსეთის სახელმწიფო და კომერციულ სტრუქტურებთან თანამშრომლობით, პოლიტიკური კონსულტაციების საერთაშორისო ცენტრი, კერძო კომპანია "ნიკოლო მ" მოღვაწეობს რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის, საზოგადოებასთან ურთიერთობის - PR სტრატეგიის დაგეგმვასა და განხორციელებაზე, რეკლამის აუდიტზე, საარჩევნო კამპანიების დაგეგმვასა და წარმართვაზე, მარკეტინგის სტრატეგიის დაგეგმვასა და განხორციელებაზე; ცენტრი ასევე ატარებს სოციოლოგიურ კვლევებს, რაც, უმეტესწილად, განაპირობებს "ნიკოლო მ"-ის სამუშაო გეგმასა და მოქმედების სტრატეგიას.

"ნიკოლო მ"-ი 1992 წლიდან არსებობს, საქართველოში წარმომადგენლობას ის მოგვიანებით, 2002 წელს აარსებს. "საქართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობა და მარკეტინგული კომუნიკაციები, საარჩევნო და მარკეტინგული კამპანიების წარმართვა ახალი ხილი იყო, ხოლო საქართველოს ბაზარი - აუთვისებელი, ამიტომ, კომერციული კომპანიის ინტერესის შესაბამისად, "ნიკოლო მ"-მა საქართველოშიც მოიკიდა ფეხი", - გვითხრა "ნიკოლო მ"-ის საქართველოში წარმომადგენლობის წევრმა, ბუბა ცირეკიძემ.

"ნიკოლო მ"-ს მოღვაწეობის არეალი ასოცდახუთზე მეტ ქვეყანაზე ვრცელდება. სემინარის მასპინძელია საქართველოს გადამხდელთა კავშირი, როგორც "საქართველოს რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ასოციაციის" მხარდამჭერი.

"პირველი სემინარი, თებერვალში, სახელმწიფო და ბიზნეს სტრუქტურებისათვის ცალ-ცალკე ჩატარდა. ამჯერად, გადავწყვიტეთ სემინარი გავაერთიანოთ და შეჯერებული ფორმით ჩავატაროთ, რადგანაც მიგვაჩნია, რომ თემები ერთმანეთზე გადაჯაჭვულია და ურთიერთდამოკიდებული. წინა სემინარისაგან განსხვავებით, აქცენტირებულია მუშაობის პროცესში სემინარის პრაქტიკული მხარე, ანუ ის უფრო დინამიური და ცოცხალია", -გვითხრა "საქართველოს რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ასოციაციის ხელმძღვანელმა მარიკა დარჩიამ.

ექვსდღიანი სემინარისთვის მოწვეულნი არიან სპეციალისტები მანანა ჯორჯიაშვილი, ნეიროლინგვისტური პროგრამირების მაგისტრი, საქართველოს ნეიროლინგვისტური პროგრამირების ასოციაციის თავმჯდომარე, პოლიტიკური კონსულტანტი და ფსიქოთერაპევტი; გიორგი ღამბაშიძე - პოლიტიკური კონსულტანტი, მარკეტოლოგი, ნეიროლინგვისტური პროგრამირების მაგისტრი. სპეციალისტები რუსეთიდან: ეკატერინე ეგოროვა, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი; მიხეილ გრიგორიანი - პრაქტიკოსი ფსიქოლოგი; მარიკა დარჩიას თქმით, სემინარები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისთვისაც ჩატარდება. თბილისი კი წელიწადში ერთხელ იქნება აღნიშნული სემინარებით განებივრებული.

სასამართლო დარბაზი

# მკალავიშვილი უკან დახევას არ აპირებს

ხათუნა ჯანგირაშვილი

განსასჯელ ბასილ მკალავიშვილის სასამართლო პროცესი უკვე საკმაოდ გაჭიანურდა. ერთი თვის განმავლობაში მკალავიშვილსა და მის არმიას კვირაში ორჯერ მაინც უწევს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში გამოცხადება. იეღოველების და მკალავიშვილის სასამართლო პროცესის დღეებში, შესაბამისად, ძლიერდება ხოლმე სასამართლოს შენობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების უსაფრთხოების დაცვა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პოლიციის თანამშრომლებთან და სპეცრაზმელებთან თითქმის უკვე კარგად დამეგობრებული განსასჯელი და მისი თანმხლებნი მაქსიმალურად ცდილობენ, რომ წესრიგი არ დაარღვიონ და ახალი პრობლემები არ შეიქმნან. სამართალდამცველებს უსიტყვოდ და უპრობლემოდ ემორჩილებიან და მშვიდად იშლებიან ხოლმე.

ასე იყო გუშინაც. თუმცა, დაზარალებულის – გაზეთ "რეზონანსის" - წარმომადგენელთა სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის გამო პროცესი კვლავ ორი დღით გადაიდო. თანაც, როგორც ირკვევა, ამასობაში ბასილ მკალავიშვილმა და მისმა დამცველმა ქართლოს ღარიბაშვილმა მრავალრიცხოვანი მომჩივნებიდან ზოგიერთის შემორიგება უკვე მოახერხეს. უფრო მეტიც – ხუთეპიზოდიანი საქმის მასალებში განსასჯელის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები თანდათანობით მცირდება.

მართალია, მომჩივანი დაზარალებულები თავდაპირველად კატეგორიულ უარს აცხადებდნენ განსასჯელის მხრიდან შეთავაზებულ შერიგებაზე იმ მოტივით, რომ აზრი არა აქვს შერიგებას, მკალავიშვილი უარესს გვიზამსო, ნელ-ნელა მათი პოზიციები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იცვლება. საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული მკალავიშვილი და მისი მრევლი კი პოზიციებს იმაგრებენ და სასამართლო პროცესზე უკვე მოსარჩელეთა ბრალმდებლების როლში გვევლინებიან.



ბასილ მკალავიშვილი სასამართლო დარბაზში

ისედაც ძლივს დაწყებული და გაჭიანურებული სასამართლო გამოძიება, ალბათ, კარგა ხანს გასტანს. ისიც სავარაუდოა, რომ ბასილ მკალავიშვილი მომჩივნების მთლიანად შემორიგებას შესძლებს.

გუშინდელი ნახევარსაათიანი სასამართლო პროცესი, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, დაზარალებულთა გამოუცხადებლობის გამო გადაიდო, ტრადიციულად – სასამართლოს შენობის წინ მკალავიშვილის მრევლის მიერ ზარის რეკვისა და შესრულებული საგალობლების ფონზე დასრულდა. განსასჯელმა მხარდამჭერები დაითხოვა და ორ დღეში, იმავე ადგილას, იმავე მობილიზებით დაიბარა. მეგობარმა პოლიციელებმა განსასჯელი და მისი მრავალრიცხოვანი არმია, ტრადიციულად – მშვიდად და გაგებით გააცილეს.

## რუსი კრიმინალები ესპანეთში თანამემამულეებს არეკეტებდნენ

ესპანეთის პროვინცია ალიკანტეში პოლიციამ მსხვილი კრიმინალური დაჯგუფება დააკავა. დაჯგუფების წევრები, რუსეთის მოქალაქეები, ესპანეთში მცხოვრები საკუთარი თანამემამულეების გატაცებით, გამოძალვითა და დაშინებით იყვნენ დაკავებულნი.

ბოროტმოქმედებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილად ზღვისპირა საკურორტო ქალაქი ტორევიეხა ჰქონდათ შერჩეული. ამ ქალაქში, რომელიც ესპანეთის კრიმინალურ დედაქალაქადაა აღიარებული, რუსეთის ყველაზე მეტი, ესპანეთში სამუდამოდ გადაბარგებული, თუ დასასვენებლად ჩასული მოქალაქე იმყოფება.

დაკავებული დამნაშავეების კომპიუტერებში პოლიციამ აღმოაჩინა ტორევიეხასა და მის მიმდებარე ვეგა-ბახას ზონაში მცხოვრები, რუსეთის ათეულობით შეძლებული მოქალაქის შესახებ ინფორმაცია. ინფორმაცია ფულიანი თანამემამულეების საქმიანობის, შემოსავლების, საცხოვრებელი ადგილის, ოჯახური მდგომარეობისა და ოჯახის წევრების შესახებ, ცხადია, გამოძალვისთვის გამოიყენებოდა.

რეკეტიორების ყურადღების ცენტრში, უმეტესად, ის რუსები ექცეოდნენ, რომლებიც არა მარტო ცხოვრობდნენ ესპანეთში, არამედ იქ ბიზნესსაც ეწეოდნენ. დამნაშავეები მათ ფულს სთხოვდნენ და სხვა რუსი კრიმინალებისგან დაცვასაც ჰპირდებოდნენ.

ესპანელი სამართალდამცველების თქმით, ქვეყანაში ხშირია რუსი რეკეტიორების დაკავების შემთხვევები; რომლებიც, როგორც წესი, ფულს მხოლოდ საკუთარ თანამემამულეებს სძალავენ.

## რუსმა დიპლომატებმა Ericsson-ი გაქურდეს

შვედეთის ხელისუფლებამ ქვეყნიდან გააძევა ორი რუსი დიპლომატი, რომლებსაც, სავარაუდოდ, კავშირი აქვთ კომპანია Ericsson-თან დაკავშირებულ სკანდალთან.

გუშინ რუსეთის ელჩი შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს და მხოლოდ ამის შემდეგ გაკეთდა განცხადება დიპლომატების გაძევების შესახებ.

შვედეთის საგარეო საქმეთა წარმომადგენელი ადასტურებს, რომ პერსონა ნონ გრატად გამოცხადებული ორ პიროვნება დიპლომატის სტატუსით სარგებლობდა და მათი გაძევება Ericsson-ის ირგვლივ ატეხილ სკანდალს უკავშირდება. კერძოდ, გასულ სამშაბათს კომპანიის სამი თანამშრომელი დააკავეს, მათ შორის, ერთი - ყოფილი. სამივე მათგანი უცხო სახელმწიფოებისთვის საიდუმლო ინფორმაციის გადაცემაშია ეჭვმიტანილი. პარასკევს კი სამსახურიდან გაათავისუფლეს კომპანიის კიდევ ორი თანამშროემლი. ეჭვი აქვთ, რომ ისინი დამნაშავეთა თანამზრახველები არიან.

შვედეთის პრესა წერს იმის თაობაზე, რომ საიდუმლო დოკუმენტები შესაძლოა იმ რადიომოწყობილობებს და სარადარო დანადგარებს უკავშირდებოდეს, რომლებსაც Ericsson-ი ამუშავებს გამანადგურებელ JAS-39 Gripen-ზე მომუშავე ბრიტანულ-შვედური პროექტისთვის.

გაზეთები იმასაც წერენ, რომ სკანდალში რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობა, შესაძლოა, პირდაპირი პასუხი იყოს შვედეთის მიერ რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების შესახებ საიდუმლო ინფორმაციის შესყიდვაზე. ჟურნალისტების აზრით, ეს ინფორმაცია შვედ სამხედროებს, სავარაუდოდ, სწორედ JAS-39 Gripen-ზე მუშაობისთვის დასჭირდათ.

Ericsson-ისთვის თავდაცვით პროექტებზე მუშაობა ჩვეულებრივი ამბავია. ასეთ შეკვეთებზე კომპანიის 2 ათასამდე თანამშრომელი მუშაობს. თავდაცვის ამოცანებითაა დაკავებული აEricsson-ის შვილობილი კომპანია Ericsson Microwave Systems.

## ჩეჩნები კამიკაძე ბავშვებს ამზადებენ

### რუსეთის სპეცსამსახურები ამ ცნობას აგენტურულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ავრცელებენ

პირველი გვერდიდან

სანამ რუსი სამართალდამცველები თავისუფლად მოსეირნე ბარაევის მომხრეებს ეძებენ, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ასლან მასხადოვმა გულუხვად დააჯილდოვა რამდენიმე საველე მეთაური, რომელთა რაზმებიდანაც მოხდა მოსკოვში მძევლების აყვანის ოპერაციაში მონაწილეთა შერჩევა. ამ ცნობას აქვეყნებს ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის კონტრტერორისტული ოპერაციის ოპერატიული შტაბის წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ილია შაბალკინი. მისივე თქმით, ფულადი პრემიები მასხადოვმა ბანდფორმირებების ლიდერთა შეკრებაზე გაანაწილა. შეკრებას, რომელიც, შაბალკინის ინფორმაციით, ოქტომბრის ბოლოს ჩატარდა, შამილ ბასაევიც ესწრებოდა. აგენტურულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რუსი პოლკოვნიკი ირწმუნება, რომ სწორედ ამ შეკრებაზე თითქმის ერთსულოვნად გადაწყდა, რომ ბასაევი, თითქოს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, შეიარაღებული ფორმირების ხელმძღვანელობიდან ჩამოეშორებინათ. შაბალკინის თქმით, მასხადოვს სურს, რომ ჩეჩნეთის ყველა ბოევიკი მხოლოდ მას ემორჩილებოდეს, ამიტომ ბასაევში კონკურენტს ხედავს.

ამასთან, როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინათ, დანიაში, მასხადოვის წარმომადგენელმა ასმან ფირზულიმ გაავრცელა ცნობა, რომ მასხადოვმა მოსკოვის ტერაქტის ორგანიზებისთვის ბასაევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ამ ინფორმაციას სხვა წყაროები არ ადასტურებენ.

მსგავსი აგენტურული ინფორმაციების გავრცელებასთან ერთად, რუსეთის სამართალდამცველი ორგანოები ჩეჩნეთში მოსალოდნელ ტერაქტებზე საუბრობენ. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გროზნოში მოქმედი ბოევიკები ცდილობენ, რომ ახალი საზენიტო კომპლექსები შეიძინონ.

"იარაღისა და საბრძოლო მასალის შესაძენად 100 ათასამდე დოლარი გამოყო ეგრეთ წოდებულმა "გროზნოს ემირმა" - ჯამბულატ სამხადოვმა. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ეს თანხა, ძირითადად, გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსების (ПЗРК) შეძენას მოხმარდება", - იუწყება ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის შს სამინისტროს დროებითი შტაბი. რუსი სამხედროების ცნობით, სამხადოვის ბოევიკებს უკვე სამი ასეთი კომპლექსი აქვთ. რამდენიმე ასეთი დანადგარი გროზნოში მოქმედ სხვა დაჯგუფებებსაც მოეპოვებათ. როგორც ცნობილია, მარტო წელს ჩეჩნეთში ჩამოგდებული ფედერალური ძალების ათი ვერტმფრენიდან უმეტესობა სწორედ ასეთი კომპლექსების გამოყენებით იქნა განადგურებული.

მომავალი ტერაქტების საშიშროების შესახებ ლაპარაკობენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ფედერალური ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შტაბში.

"ბოევიკები აქტიურად ემზადებიან ტერაქტების მოსამზადებლად. მომავალი ტერაქტების განსახორციელებლად ისინი ტერორისტ-კამიკაძეებს ქალებსა და ბავშვებს შორის ეძებენ", - ამბობენ გაერთიანებული დაჯგუფების შტაბში და ტერაქტების საშიშროებას ჩეჩნეთის გარეთაც ხედავენ.

## ტერორისტი ქალის ტვინს მემკვიდრე ითხოვს

გერმანიაში ტერორისტი ქალის დაკარგულ ტვინს ეძებენ. 70-იან წლებში სახელგანთქმული ტერორისტული დაჯგუფება "ბაადერა-მაინჰოფის" ლიდერის ულრიკა მაინჰოფის ანგარიშზე არაერთი მკვლელობა, გატაცება და აფეთქება ირიცხებოდა. სამართალდამცველებმა ტერორისტ ქალს მიაგნეს, დააპატიმრეს და გაასამართლეს კიდეც. თავად ულრიკა მაინჰოფმა ჩადენილი დანაშაულები პროტესტის გამოხატულებად მონათლა. 1976 წელს კი მან ციხეში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ტერორისტის დაკრძალვამდე მეცნიერებმა მისი ტვინი ამოიღეს. ისინი ცდილობდნენ, რომ ტვინის ხვეულებში ულრიკას ექსტრემისტული მიდრეკილებების წინაპირობები მოეძებნათ. ახლა კი ტერორისტის ქალიშვილი ბეტინა როიელი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სამეცნიერო კვლევებისთვის დედამისის ტვინის მისაკუთრება უკანონოდ მოხდა. იგი ირწმუნება, რომ იუბინგენის კლინიკის მეცნიერები ტვინს ინახავდნენ ბანქოს კოლოფის მსგავს საცავში.

სხვათა შორის მაინჰოფის ტვინის კვლევამ გარკვეული შედეგები გამოიღო. პროფესორმა იურგენ პფაიფერმა ემოციურ რეაქციებზე პასუხისმგებლობის მქონე უბნებში გარკვეული ანომალიები აღმოაჩინა. ბეტინა როიელის თქმით, ეს აღმოჩენა ამტკიცებს, რომ დედამისი საკუთარ თავს სრულფასოვნად ვერ აკონტროლებდა და ამიტომაც ხელისუფლებამ კვლევის შედეგების გამოქვეყნებისგან თავი შეიკავა. უკვე 1997 წელს ტვინი მაგდენბურგის უნივერსიტეტში გადაიტანეს, სადაც სერიული მკვლელის ტვინს ადარებდნენ.

CNN-ის ცნობით, გამოძიება ამ უნივერსიტეტის საქმიანობით დაინტერესდა. გაზეთი Bild-ი კი ერთ-ერთი გამომძიებლის, ეკარდ მააკის, კომენტარს აქვეყნებს. მისი თქმით, "თუ ულრიკა მაინჰოფს ნებართვა არ ჰქონია მიცემული, რომ მისი სხეული სიკვდილის შემდეგ სამეცნიერო კვლევებისთვის გამოეყენებინათ, მისი ტვინი გაკვეთისთანავე უნდა გაენადგურებინათ".

ბეტინა როიელი ირწმუნება, რომ ტვინი არ გაუნადგურებიათ და მის გადაცემას ითხოვს, რათა ამდენი წლის შემდეგ მაინც შესაფერისად დაკრძალოს დედა.

"მკვდარი ტერორისტიც კი საჭიროებს ნორმალურ მოპყრობას და ადამიანურ დაკრძალვას", - ამბობს იგი. მაგდენბურგის უნივერსიტეტში კი როიელის ბრალდებებმა გაკვირვება გამოიწვია. ამ ინციდენტის შესახებ ისინი დღეს, ეთიკური კომისიის სახელდახელოდ მოწვეულ სხდომაზე იმსჯელებენ.

მოქალაქის უფლებები

## როგორ მოვითხოვოთ ინფორმაცია

საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, რომ მიმართოს ნებისმიერ სახელმწიფო უწყებას და მოითხოვოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი ინფორმაციის გამჭვირვალობის გარანტიას იძლევა.

საქართველოში საჯარო ინფორმაცია ღიაა და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს, მოითხოვოს საჯარო დაწესებულებაში დაცული ნებისმიერი დოკუმენტი, კანონით განსაზღვრული მცირედი გამონაკლისების გარდა. კანონი უფლებას აძლევს მოქალაქეს, დაესწროს ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს სხდომას. ადგილობრივი საკრებულოს, მერიისა თუ გამგეობის სხდომებს, მინისტრის დილის თათბირებს ან რომელიმე დეპარტამენტის კოლეგიას.

კანონი იძლევა საშუალებას, რათა მოქალაქემ საკუთარი რაიონის, ქალაქისა თუ სამხარეო ადმინისტრაციისგან მოითხოვოს დაწვრილებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რაში დაიხარჯა ბიუჯეტში შესული ფული ან მიიღოს ინფორმაცია სხვა მისთვის საინტერესო საკითხზე. თუ ინფორმაციას დაუყოვნებლივ ვერ მიიღებთ, შეგიძლიათ სასამართლოში უჩივლოთ იმ სამსახურს, რომელმაც ინფორმაცია დამალა.

კანონი თანამდებობის პირებისთვის ერთადერთ შეღავათს აწესებს: თუ საჯარო ინფორმაციაზე პასუხის გაცემა მოითხოვს დიდი რაოდენობით დოკუმენტების შესწავლას და დამუშავებას, ან ინფორმაციის მოძიება სხვა დასახლებულ პუნქტში უნდა მოხდეს, მაშინ თანამდებობის პირებს უფლება აქვთ, რომ ინფორმაცია დაუყოვნებლივ არ გასცენ. ასეთ შემთხვევაში მოქალაქემ პასუხი ათი დღის ვადაში უნდა მიიღოს. თუ სასურველ მასალას არ მისცემენ, უარის თქმა უნდა გასაჩივრდეს ზემდგომ თანამდებობის პირთან ან სასამართლოში. არსებული პრაქტიკით, ამგვარი სასამართლოები ყოველთვის მოსარჩელის გამარჯვებით მთავრდება.

ინფორმაციის გაცემა შეზღუდულია იმ შემთხვევაში, თუ საუბარია სახელმწიფო, პირად ან კომერციულ საიდუმლოებაზე.

სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მინიჭებას არეგულირებს კანონი "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ". ამიტომ, არც ერთ თანამდებობის პირს არა აქვს უფლება თავად გადაწყვიტოს, რომელი ინფორმაციაა სახელმწიფო საიდუმლოება.

რაც შეეხება პირად საიდუმლოებას, თანამდებობის პირის პირადი ცხოვრება, განსხვავებით რიგითი მოქალაქის პირადი ცხოვრებისგან, გამჭირვალე და საზოგადოებრივი კონტროლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. საჯარო პირები ანგარიშვალდებულნი არიან მოქალაქეების წინაშე.

კანონი კომერციული ინფორმაციის გავრცელებასაც კრძალავს. თუმცა, გამონაკლისი ამ შემთხვევაშიც არსებობს. დაუშვებელია ისეთი ინფორმაციის გასაიდუმლოება, როგორიცაა გარემოს მდგომარეობა ან საფრთხე, რომელიც შეიძლება დაემუქროს ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, რომ მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია საკუთარი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ. ნებისმიერი საფრთხე, რომელიც ექმნება მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, უნდა ეცნობოს საზოგადოებას.

საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის მოთხოვნისთვის უნდა დაიწეროს განცხადება პასუხისმგებელი პირის სახელზე; თუ ასეთი პირი არ არის დადგენილი, მაშინ ამ დაწესებულების ხელმძღვანელის სახელზე.

განცხადება უნდა გატარდეს კანცელარიაში, ხოლო პასუხი კანონით დადგენილ ვადებში უნდა მოვითხოვოთ.

თუ მოთხოვნილი ინფორმაციის შესახებ პასუხმა დაიგვიანა, ან ინფორმაციის გაცემაზე დაწესებულების ხელმძღვანელმა უარი განაცხადა, მოქალაქის ხელახალ განაცხადში კიდევ ერთხელ ზუსტად უნდა იყოს მითითებული, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მოთხოვნილი ინფორმაცია ღიაა და საჯარო დაწესებულება ვალდებულია, პასუხი დაუყოვნებლივ გასცეს მოქალაქეს მისაღები ფორმით.

მეტი გარანტიისთვის მოქალაქეს შეუძლია დაწესებულებაში მიიტანოს წერილის ორი ასლი, პასუხისმგებელ პირს ორივეზე დაარტყმევინოს ბეჭედი და ხელი მოაწერინოს. დამოწმებული წერილიდან ერთი უნდა დარჩეს შესაბამის უწყებაში, მეორე კი მოქალაქემ უნდა შეინახოს იმის დამადასტურებლად, რომ წერილის ასლი მან ნამდვილად ჩააბარა.

საბოლოოდ, თუ უწყება უარს იტყვის ინფორმაციის გაცემაზე, მან ამის შესახებ მოქალაქეს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით და კანონის საფუძველზე ისიც უნდა დაასაბუთოს, რატომ არ იძლევა ინფორმაციას.

მოქალაქემ მიღებული უარი უნდა გაასაჩივროს ჯერ ზემდგომ თანამდებობის პირთან, შემდეგ – სასამართლოში.

## მოკლედ

**თბილისი.** "პანკისის ხეობაში აღმოჩენილ იარაღთან დაკავშირებით, ამჟამად ექსპერტიზა ტარდება, კახეთის სამხარეო პოლიცია იმ მასალებს იკვლევს, რომლებიც გამოსაძიებლად შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეცემა," — განაცხადა კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ზურაბ ტუშურმა.

9 ნოემბერს სამართალდამცველებმა პანკისის ხეობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სოფლების - ჯოყოლოსა და ბირკიანის მიმდებარე ტყეში აღმოაჩინეს იარაღის არსენალი: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ყუმბარმტყორცნები, საზენიტო დანადგარები, ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები, ასაფეთქებელი ნივთიერება „ტროტილი" და სხვა. ზურაბ ტუშურის თქმით, სისხლის სამართლის საქმე იარაღის აღმოჩენის გამო აღიძვრება. იარაღის მფლობელობაში ეჭვმიტანილი, ჯერჯერობით, არ არსებობს. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

**თბილისი.** მე-5 იზოლატორში არასრულწლოვანი პატიმრების მონახულების შემდეგ დეპუტატი ელენე თევდორაძე აცხადებს, რომ ციხეში ახლა უფრო საშინელი და საგანგაშო მდგომარეობაა, ვიდრე 1994 წელს იყო. "არასრულწლოვანები იმ შენობაში იმყოფებიან, სადაც მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილები და ბრალდებულები არიან განთავსებულნი; ძირითადად, ე.წ ავტორიტეტები", - აცხადებს ელენე თევდორაძე და მიუთითებს იმ საშინელ ანტისანიტარიაზე, რასაც იქ აქვს ადგილი. დეპუტატის განცხადებით, ერთ მცირე საკანში 20-მდე არასრულწლოვანი პატიმარია, რომელთა დიდი ნაწილი ჭლექითაა დაავადებული. "კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სახელმწიფოს ბავშვებთან მიმართებაში არანაირი პროგრამა არ გააჩნია და ეს საკითხი ყურადღების მიღმაა დარჩენილი", - აღნიშნა მან. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის მიერ გამოვლენილია კანონსაწინააღმდეგო ქმედების 25 ფაქტი. ორ მათგანზე აღიძრა სისხლის სამართლის სქამე. გამოვლინდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული დარღვევის 18 შემთხვევა.

გადასახადისგან თავის არიდებისა და მკაცრი აღრიცხვის სასაქონლო ზედნადების გარეშე საქონლის გადაზიდვის ფაქტზე საგადასახადო ინსპექციაში 5 მასალა გადაიგზავნა. საბაჟო ტერმინალში წარდგენილია 7 ავტოსატრანსპორტო საშუალება. ამოღებულია აქციზური მარკის ნიშანდების გარეშე 3 ათასი კოლოფი სიგარეტი. ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხულმა თანხამ შეადგინა 26 ათასი ლარი.

დიდი ოდენობით გადასახადისგან თავის არიდების ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ინდივიდუალური მეწარმის ინდირა მაისურაძის მიმართ, რომელმაც თავი აარიდა ბიუჯეტში 18,2 ათასი ლარის ჩარიცხვას. სულ ბიუჯეტის სასარგებლოდ ჩაირიცხა 23,5 ათასი ლარი. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** ადამიანის მკვლელობისთვის ძებნილი, 1970 წელს დაბადებული ვახტანგ ბალაკი გორის პოლიციის სამმართველოში გამოცხადდა.

მან აღიარა, რომ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ურთიერთშელაპარაკების დროს, მასზე გაფორმებული პისტოლეტიდან გასროლით მოკლა 1972 წელს დაბადებული ნიკოლოზ ნასყიდაშვილი.

მკვლელობის იარაღია პისტოლეტი "ბაიკალი - 442". იგი ამოღებულია. გამოძიებას თბილისის პროკურატურა აწარმოებს. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხედრო ნაწილის რიგითის დაჭრისთვის პოლიციამ 1985 წელს დაბადებული მიხეილ ჯამბურიძე დააკავა. ჯამბურიძის დაკავება ისანი-სამგორის პოლიციის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე განახორციელეს.

დაკავებულს ბრალად ედება ურთიერთშელაპარაკებისას, დანით ფეხში გიორგი სალარიძის დაჭრა. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის ისანი-სამგორის რაიონული სამსახური. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** ახმეტის რაიონის პოლიციის განყოფილებას ადგილობრივმა გამგეობამ ავტომანქანა აჩუქა, რომელსაც პირველ ეტაპზე სამართალდამცველები პანკისის ხეობაში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციის დროს გამოიყენებენ.

ახმეტის რაიონის გამგებლის ნუკრი ალავიძის თქმით, "ფორდ-სიერას" მარკის ავტომანქანა შემდგომ საგზაო პოლიციას გადაეცემა. მისი თქმით, ახმეტის რაიონის საგზაო პოლიციის განყოფილებას ბოლო წლებში არც ერთი მსუბუქი ავტომანქანა არ ჰყავდა. "თუ კარგად იმუშავებენ, მომავალ წელს ერთ ავტომანქანას კიდევ ვაჩუქებთ", - აღნიშნა გამგებელმა. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ განსახილველად მიიღო ჩეჩენი პატიმრის, აბდულხამიტ ალიევის, განცხადება მისი ექსტრადიციის შეჩერების მოთხოვნით. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა სონღულაშვილის ცნობით, საქმის განხილვის ვადა უახლოეს დღეებში დაინიშნება.

რუსეთის მოქალაქე ალიევი ფოთში, წლეულს - 31 ივლისს დააკავეს. მას ბრალად ედება საზღვრის უკანონო გადმოკვეთა.

ალიევს რუსი სამართალდამცველები 1997 წელიდან ეძებდნენ. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ორი კვირის წინათ დააკმაყოფილა რუსული მხარის მოთხოვნა და მიიღო დადგენილება ალიევის ექსტრადიციის შესახებ, რაც ამ უკანასკნელმა სასამართლოში გაასაჩივრა. ალიევი აცხადებს, რომ მას რუსეთში დანაშაული არ ჩაუდენია და საქართველოში დარჩენას მოითხოვს.

სასამართლოს განცხადებით მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებისათვის", რომელშიც ეჭვია გამოთქმული, რომ რუსეთისთვის ალიევის გადაცემის შემთხვევაში დაირღვევა მისი უფლებები. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

**თბილისი.** ბრიტანელი ბიზნესმენი პიტერ შოუ და ბრიტანეთის ხელისუფლება მონაწილეობას მიიღებენ შოუს გამტაცებელთა წინააღმდეგ საქმის აღძვრასა და გატაცებასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოძიებაში. ამის შესახებ იუწყება ბრიტანეთის საელჩოს განცხადება.

ამასთან, განცხადებაში ნათქვამია, რომ შოუს მძევლობიდან გაქცევა საქართველოს მთავრობის მიერ ოთხნახევარი თვის მანძილზე წარმოებული თანმიმდევრული მუშაობის ფონზე მოხდა. საქართველოს ხელისუფლების შემწეობით ყოფილი მძევალი უვნებლად ჩამოიყვანეს თბილისში და 7 ნოემბერს გაამგზავრეს სამშობლოში.

როგორც საელჩოში აცხადებენ, შოუს რეპატრირება დიდ ბრიტანეთში საელჩომ პირველივე შესაძლებლობისთანავე მოახდინა. მძევლის გათავისუფლებისთანავე სამშობლოში დაბრუნება კი ბრიტანეთის საელჩოს წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა, ჯეკ სტრომ, გასულ ოთხშაბათს განცხადება გააკეთა, რომელშიც იგი ამ საშინელი განსაცდელის დასასრულით გამოწვეულ სიხარულს გამოხატავს. პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლეერმა სამადლობელი წერილი გამოუგზავნა პრეზიდენტ შევარდნაძეს იმ გაწეული შრომისთვის, "რომელმაც ხელი შეუწყო გატაცებით გამოწვეული ტანჯვის დასასრულს."

გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის აკაკი ბუდაღაშვილის თქმით, ბრიტანეთის ელჩი საქართველოში დებორა ბარნს ჯონსი გამოძიებას დაეხმარება.

"დახმარება ქართველ სამართალდამცავებს, ძირითადად, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში და პიტერ შოუს მხრიდან ჩვენებებისა და ინფორმაციების მიღებაში დასჭირდებათ. რაც შეეხება გამომძიებლებისა და ექსპერტების ჩამოსვლას, ამის აუცილებლობა, ჯერჯერობით, არ არსებობს," - განაცხადა ბუდაღაშვილმა. **"პრაიმ-ნიუსი".**

# 1973 წლის ეგვიპტე-სირია-ისრაელის სამხედრო კონფლიქტი და ნავთობის ემბარგო

1973 წლის ხუთ ოქტომბერს დაიწყო რიგით მეოთხე სამხედრო კონფლიქტი ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის, რომელშიც, სხვადასხვა ფორმით, მთელი განვითარებული სამყარო აღმოჩნდა ჩათრეული. ამ კონფლიქტის დროს არაბულმა სახელმწიფოებმა, დასავლეთის ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლის მიზნით, წარმატებით გამოიყენეს ნავთობის ემბარგო. ამ ომმა და ნავთობის ემბარგომ სათავე დაუდო პროცესებს, რომლებსაც ორივე დაპირისპირებული ბანაკისათვის დროში ხანგრძლივი და მძიმე შედეგები მოჰყვა.

ლიანა ჭერვალიძე



გოლდა მეიერი და რიჩარდ ნიქსონი




ჰენრი კისინჯერი

## პოლიტიკური ვითარება ახლო აღმოსავლეთში ომის წინ

მათ, ვინც თვალს ადევნებს ჩვენს რუბრიკას, ემახსოვრებათ, რომ ანტიდასავლურ ტენდენციებს ახლო აღმოსავლეთის ნავთობის მწარმოებელ არაბულ ქვეყნებში ასაზრდოებდა ორი ფაქტორი: დასავლეთის უპირობო მხარდაჭერა ისრაელის მიმართ ისრაელ-არაბულ სამხედრო კონფლიქტებში; და მოგების წილების განაწილების სისტემა მწარმოებელ ქვეყნებსა და საერთაშორისო ნავთობკომპანიებს შორის.

არაბული საზოგადოება ვერ ეგუებოდა ისრაელ-არაბულ სამხედრო კონფლიქტების დროს განცდილ მუდმივ მარცხს და გამოსავალს ეძებდა. ეგვიპტის ლიდერის გამალ აბდელ ნასერის დროს არ ხერხდებოდა ერთიანი არაბული ფრონტის შექმნა ნასერის პროსაბჭოური მემარცხენე პოზიციის გამო. ახლო აღმოსავლეთის ტრადიციულ-კონსერვატორული რეჟიმები ნასერის პოლიტიკურ ინიციატივებს დიდ საფრთხედ მიიჩნევდნენ თავისი ქვეყნებისათვის. ვერც დასავლეთის მიმართ პოლიტიკური ზეწოლის იარაღად ნავთობის გამოყენება ამართლებდა, ვინაიდან 70-იან წლებამდე არაბული ნავთობი გადამწყვეტ როლს არ თამაშობდა საერთაშორისო ბაზარზე.

1970 წელს გარდაიცვალა აბდელ ნასერი და მისი ადგილი მისმა ძველმა თანამებრძოლმა ანვარ სადათმა დაიკავა. სადათი ზომიერი ლიდერი იყო. მან აბდელ ნასერისაგან მემკვიდრეობად მიიღო 1967 წლის შვიდდღიანი ომის შედეგად ეკონომიკურად განადგურებული და მორალურად პარალიზებული ეგვიპტე. ნასერისაგან განსხვავებით, სადათი ატლანტიკის ოკეანიდან სპარსეთის ყურემდე გადაჭიმული ერთიანი პანარაბული სახელმწიფოს შექმნაზე ფუჭ ოცნებებს არ სდევდა და სრულიად კონკრეტული და მიღწევადი მიზანი ამოძრავებდა - 1967 წლის შვიდდღიანი მარცხის შემდეგ გაყინული ვითარება როგორღაც შეეცვალა და ეგვიპტის იმიჯი აღედგინა.

სადათს ესმოდა, რომ სანამ ისრაელი გამარჯვებულის პოზაში იყო და სუეცის არხის აღმოსავლეთ ნაპირს აკონტროლებდა, მას არანაირი სურვილი არ ექნებოდა, ეგვიპტისათვის წარუმატებელი ომის შედეგების გადასინჯვისათვის მოლაპარაკებებზე წასულიყო. ისრაელის და მისი დასავლელი პარტნიორების მოლაპარაკებათა მაგიდასთან დასაბრუნებლად ახალი ელვისებური და ეგვიპტისათვის გარანტირებულად წარმატებული სამხედრო კონფლიქტი იყო საჭირო.

სადათმა ჯერ შინაურ საქმეებს მიხედა, ქვეყნიდან დაითხოვა საბჭოთა სამხედრო ექსპერტები და ხელისუფლებას ჩამოაშორა ნასერისდროინდელი პანარაბული მემარცხენე იდეების მატარებელი პოლიტიკური ელიტა, რომელიც ტრადიციულ-კონსერვატორული რეგიონული სამეფო ოჯახების კარებს უხშობდა. ამის შემდეგ მან დაიწყო სრულიად საიდუმლო კონსულტაციები სირიის პრეზიდენტ ჰაფეზ ალ-ასადთან და საუდის არაბეთის მეფე ფეისალთან მომავალი სამხედრო კონფლიქტის მიზანშეწონილობისა და დროულობის შესახებ. ანვარ სადათი ძალზე ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო და დროულად დაიჭირა ორი მომენტი, რომელიც სწორად გამოყენების შემთხვევაში მას მეფე ფეისალის მხარდაჭერას მოუტანდა.

პირველი მომენტი იყო ერთგვარი ცვლილება, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტის ნიქსონის ადმინისტრაციის ახლო აღმოსავლეთის მიმართ პოლიტიკურ პრიორიტეტებში შეინიშნებოდა. 1971 წელს დიდი ბრიტანეთის შეზღუდული სამხედრო კონტინგენტის სპარსეთის ყურიდან გასვლის შემდეგ რეგიონში ძალური ვაკუუმი წარმოიქმნა, რომლის შევსებაზეც პრეტენზიას ირანის შაჰი რეზა ფეჰლევი აცხადებდა.

ნიქსონის ადმინისტრაციის რეგიონული დოქტრინის ქვაკუთხედს მეგობრულ რეგიონულ რეჟიმებზე დაყრდნობა წარმოადგენდა. აქამდე ახლო აღმოსავლეთში ასეთ რეჟიმად საუდის არაბეთის სამეფო ოჯახი ითვლებოდა. ნიქსონის ადმინისტრაციამ კი ორიენტაცია ირანის შაჰ რეზა ფეჰლევზე აიღო, რასაც არ შეიძლებოდა საუდის არაბეთის მეფე ფეისალი არ გაენაწყენებინა. ამას თან დაერთო აშშ დოლარის ორჯერადი დევალვაცია, რამაც როგორც საუდის არაბეთის, ისე დანარჩენის ექსპორტიორების სავალუტო რეზერვები და შემოსავლები გაანახევრა. ერთი სიტყვით, სახეზე იყო როგორც პოლიტიკური, ისე წმინდა ფინანსური ხასიათის ფარული დაპირისპირება საუდის არაბეთის სამეფო ოჯახსა და აშშ-ს ადმინისტრაციას შორის, რასაც ლოგიკურად ეგვიპტე-ისრაელის მოსალოდნელ სამხედრო კონფლიქტში ფეისალის მხარდაჭერა უნდა მოჰყოლოდა.

მეორე მომენტი იყო დასავლეთის ქვეყნების სრული დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთის ნავთობის იმპორტზე, რაც ნავთობის პოლიტიკური ზეწოლის იარაღად გამოყენების შესანიშნავ წინაპირობას ქმნიდა.

## მდგომარეობა ენერგორესურსების საერთაშორისო ბაზარზე 1973 წელს

70-იანი წლების დასაწყისში დასრულდა ნავთობის ჭარბი მიწოდების ეპოქა. ეს იყო დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნებისა და იაპონიის სწრაფი ეკონომიკური განვითარების ოცწლეული, რომელსაც ახლო აღმოსავლეთის იაფი რესურსები ასაზრდოებდა. ნავთობზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდებოდა. თუ 1960 წელს ნავთობზე მოთხოვნა 19 მილიონი ბარელი იყო დღეში, 1972 წელს ეს მაჩვენებელი გაორმაგდა და უფრო მეტიც - 44 მილიონი ბარელი/დღეში შეადგინა. ნავთობზე ფასების კატასტროფულად ზრდას ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, ბუნებისდაცვითი მოძრაობა, რომელიც ქვანახშირის ენერგობაზრიდან სრულ გამოძევებას მოითხოვდა, და, მეორე მხრივ, როგორც შენობებში, ისე მანქანებში ჰაერის კონდიცირების სისტემების დანერგვა.

უკვე 1971 წელს ნავთობი და გაზი ერთად იძლეოდა მსოფლიოში მოხმარებული ენერგიის ორ მესამედს. ქვანახშირიდან ნავთობზე სწრაფ გადასვლას ხელს უწყობდა ნავთობზე დაბალი ფასები, რომელიც 20 წელიწადს გრძელდებოდა

1973 წელს აშშ-ს შიდა ბაზარზე მოთხოვნის კატასტროფულად გაზრდის გამო აღარ ჰქონდა ზეწარმოების პოტენციალი. თუმცა, აშშ-ს შიდა წარმოება ასეთი მაღალი არასოდეს არ ყოფილა და 11.3 მილიონი ბარელი/დღეში შეადგინა.

ჯერ კიდევ 1968 წლის ნოემბერში სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა OECD-ის შეხვედრაზე პარიზში პარტნიორებს განუცხადა, რომ ამერიკის ნავთობწარმოება ზღვრულ მაჩვენებელს მიუახლოვდა და იგი ველარ შეძლებდა ექსტრემალურ ვითარებაში მიწოდების დაბალანსებას, როგორც ეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ხდებოდა.

ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის მიერ დაწესებული საიმპორტო ქვოტები ჯერ შემსუბუქდა და 1973 წლის აპრილში სულ გაუქმდა. ნავთობის იმპორტი აშშ-ს შიდა ბაზარზე 1967 წლის დღიური 2,2 მილიონი ბარელიდან 1973 წლის ივლისში 6,2 ბარელამდე/დღეში გაიზარდა. პროცენტულად ეს მაჩვენებელი მოხმარებული ენერგიის 36 პროცენტს შეადგენდა. ახლო აღმოსავლეთიდან იმპორტზე კიდევ უფრო მეტად იყვნენ დამოკიდებული დასავლეთ ევროპა და იაპონია. ნავთობზე გაზრდილი მოთხოვნის ორ მესამედს ახლო აღმოსავლეთი აკმაყოფილებდა. ზეწარმოების პოტენციალიც მხოლოდ საუდის არაბეთს ჰქონდა.

მართლაც, 1970-დან 1973 წლამდე პერიოდში საუდის არაბეთის წილი ექსპორტში 13 პროცენტიდან 21 პროცენტამდე გაიზარდა, აშშ-ს წილი კი ომისშემდგომი 64 პროცენტიდან 22 პროცენტამდე დაეცა. ასევე საუდის არაბეთის ნავთობწარმოება 1972 წლის 5,4 მილიონი ბარელიდან დღეში 1973 წლის ივლისში 8,4 ბარელამდე დღეში ანუ 62 პროცენტით გაიზარდა.

1973 წელს საერთაშორისო ბაზარზე არსებული ვითარება აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ ენერგორესურსებით მდიდარი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების თამაშის დრო დადგა.

## დიპლომატიური საომარი სამზადისი

ანვარ სადათს კარგად ესმოდა, რომ საერთაშორისო ბაზარზე შექმნილი ვითარება დასავლეთის ქვეყნებზე ნავთობის პოლიტიკური ზეწოლის იარაღად გამოყენების შესანიშნავ წინაპირობას ქმნიდა. საუდის არაბეთის მხარდაჭერის შემთხვევაში ეგვიპტეს შანსი ეძლეოდა რევანში აეღო და არაბული სამყაროს სანუკვარი ოცნება, ამოეშალათ ისრაელი ახლო აღმოსავლეთის რუკიდან, განეხორციელებინა.

თავდაპირველად საუდის არაბეთის მეფე ფეისალი იარაღად ნავთობის გამოყენების სასტიკი წინააღმდეგი იყო. მას კარგად ახსოვდა 1967 წლის შვიდდღიანი ომის გამოცდილება, როდესაც ექსპორტის შეზღუდვამ საუდის არაბეთს ბაზრის წილი დააკარგვინა და დიდი ფინანსური ზარალი მიაყენა. თანაც, მისი მონაცემებით, აშშ-ს ახლო აღმოსავლეთიდან ნავთობის მნიშვნელოვანი იმპორტი 1985 წლამდე არ უნდა დასჭირვებოდა.

ანვარ სადათი, გარდა დიპლომატიური აქტიურობისა, მეფე ფეისალის მხარდაჭერის მოპოვებას სხვა გზითაც ცდილობდა. კერძოდ, წინააღმდეგობის შემთხვევაში არსებობდა სერიოზული საფრთხე, რომ საუდის არაბეთის ნვთობსადენები და რეზერვუარები სირიისა და ლიბანის ტერიტორიაზე დარტყმის ქვეშ აღმოჩნდებოდა. მართლაც, 1973 წლის გაზაფხულზე უცნობმა პირებმა ააფეთქეს ტეპლაინის ნავთობსადენი და ნავთობის ერთი რეზერვუარი პორტ სიდონში, დანარჩენი კი დააზიანეს. რამდენიმე დღის შემდეგ დააზიანეს ნავთობსადენი უკვე თავად საუდის არაბეთის ტერიტორიაზე.

მეფე ფეისალი აშკარა შიდა დესტაბილიზაციის საფრთხის წინაშე იდგა. სადათისათვის პირობის მიცემისაგან მაინც თავს იკავებდა. იგი, თავის მხრივ, ცდილობდა დაერწმუნებინა ARAMCO-ს ხელმძღვანელობა, გავლენა მოეხდინა აშშ-ს ადმინისტრაციაზე, რათა მას შეეცვალა ისრაელისათვის უპირობო მხარდაჭერის პოლიტიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ველარ შეძლებდა პროდასავლური პოზიციის დიდხანს შენარჩუნებას თავად ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგობის გამო.

მართლაც, ახლო აღმოსავლეთში მოქმედი ამერიკული ნავთობკომპანიები ადმინისტრაციისაგან ისრაელისათვის მხარდაჭერაზე უარის თქმას მოითხოვდნენ. ამ დროს ადმინისტრაცია უოტერგეიტის სკანდალის მოწესრიგებით იყო დაკავებული და საგარეო პოლიტიკისათვის არც ეცალა. არადა, ნიქსონს პირველი გაფრთხილება ახლო აღმოსავლეთში ახალი ომისათვის მზადების შესახებ თავად ლეონიდ ბრეჟნევმა მისცა მის რანჩოზე კალიფორნიაში 1973 წლის ივნისში ყოფნის დროს. ნიქსონის ადმინისტრაციას ვერ დაეჯერებინა, რომ ახლო აღმოსავლეთში ახალი ომი მზადდებოდა, რომლის დროსაც არაბი მწარმოებლები ნავთობის იარაღად გამოყენებას აპირებდნენ. ამიტომ, არანაირი ნიშანი არ ჩანდა იმისა, რომ ნიქსონი მეფე ფეისალისა და საკუთარი ნავთობკომპანიების რჩევის გათვალისწინებას აპირებდა.

მეფე ფეისალმა 1973 წლის 23 აგვისტოს საუდის არაბეთში ანვარ სადათის ოფიციალური ვიზიტის დროს მას ისრაელის წინააღმდეგ ომში სრული მხარდაჭერა, ფინანსური დახმარება და ნავთობის პოლიტიკური ზეწოლის იარაღად გამოყენება აღუთქვა. მეფე ფეისალმა მხოლოდ ერთი პირობა წაუყენა სადათს, 1967 წლის შვიდდღიანი ომისაგან განსხვავებით, საომარი მოქმედებები უნდა გაგრძელებულიყო საკმაოდ დიდხანს, რომ არაბული სამყაროს სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის მობილიზება მოესწროთ.

საკვირველი ის იყო, რომ მთელი 1973 წლის განმავლობაში, ვიდრე ოქტომბრამდე, არაბული ქვეყნები გამალებულნი ემზადებოდნენ ისრაელის წინააღმდეგ ომისათვის, ისრაელის ხელისუფლებაში კი არანაირი მზადება არ შეინიშნებოდა. 1967 წლის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ არც ისრაელის ხელისუფლებას სჯეროდა, რომ ეკონომიკურად დანგრეული და მორალურად პარალიზებული ეგვიპტე კიდევ გაბედავდა სამხედრო ავანტურას. მათ ვერ გაითვალისწინეს ის, რაც მშვენივრად გათვალა ანვარ სადათმა, აშშ-ს ადმინისტრაცია უოტერგეიტის სკანდალით ფაქტიურად პარალიზებული იყო, საერთაშორისო ენერგობაზარი კი მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე.

არც აშშ-სა და არც ისრაელის ხელისუფლებას რეაგირება არ ჰქონიათ 5 ოქტომბერსაც, როდესაც საბჭოთა კავშირმა ეგვიპტიდან და სირიიდან დიპლომატთა ოჯახები გაიყვანა. იმავე დღეს ცსს-ს ანალიზი ახლო აღმოსავლეთის შესახებ იტყობინებოდა: "ისრაელის საზღვრებთან მიმდინარე ეგვიპტისა და სირიის სამხედრო ნაწილების კონცენტრაცია არ მიუთითებს იმაზე, რომ რომელიმე მხარეს საომარი მოქმედებების დაწყება აქვს განზრახული."

## 1973 წლის ომი და ნავთობის ემბარგო

6 ოქტომბერს, ებრაელთა რელიგიური დღესასწაულის დღეს გამთენიისას ეგვიპტე და სირია თავს დაესხა ისრაელს. ცსს-სა და მოსადის ისტორიაში, ალბათ, ძნელად მოიძებნება ისეთი სამარცხვინო ფურცელი, როგორიც იმ დღეს ჩაიწერა. ეგვიპტისა და სირიის არმიები ზედიზედ ამარცხებდნენ ისრაელის სამხედრო ნაწილებს და ქვეყნის შიგნით მიიწევდნენ.

იმავე დღეს, 6 ოქტომბერს, ვენაში შეიკრიბნენ OPEC-ის წევრი ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრები და მოგების განაწილების შესახებ დადებული ყველა შეთანხმება გაუქმებულად გამოაცხადეს. ამასთან ისინი ბარელ ნავთობზე ოფიციალური ფასების 100 პროცენტით გაზრდას მოითხოვდნენ. ნავთობკომპანიები ფასების ასეთი ზრდისათვის მზად არ იყვნენ. 14 ოქტომბერს მოლაპარაკებები ჩაიშალა.

16 ოქტომბერს არაბი ექსპორტიორებისა და ირანის წარმომადგენლები უკვე ბაღდადში შეიკრიბნენ და ფასების ცალმხრივად, 70 პროცენტით გაზრდა გამოაცხადეს. ბარელი ნავთობის ფასი 5 დოლარი და 11 ცენტი გახდა. ეს გაუგონარი ამბავი იყო. არც ნავთობკომპანიები, არც იმპორტიორი ქვეყნები ამისთვის მზად არ იყვნენ. სრული დაბნეულობა სუფევდა. ყველანი - ნავთობკომპანიები, არაბი ექსპორტიორები და, რაც მთავარია, ისრაელი, რომელიც მარცხს მარცხზე განიცდიდა, ნიქსონის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას უცდიდნენ.

მართლაც, 1973 წლის 16 ოქტომბერს, როგორც ამბობდნენ, ნიქსონს ორი დალუქული ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის პირადი წერილი ედო მაგიდაზე. პირველი წერილი ამერიკული კომპანიების Exxon, Mobil, Standard Oil of California ხელმძღვანელებს ეკუთვნოდა. ისინი წერდნენ: **"აშშ-ს მიერ ისრაელისათვის სამხედრო დახმარება გამოიწვევს ნავთობის კრიზისს.....ამას მოჰყვება აშშ-ს პოზიციების სერიოზული შესუსტება ახლო აღმოსავლეთში, მას ჩაანაცვლებენ იაპონია, ევროპა და, შესაძლოა რუსეთი, რაც ძლიერ დარტყმას მიაყენებს აშშ-ს როგორც ეკონომიკურ, ისე უსაფრთხოების ინტერესებს რეგიონში."**

მეორე წერილში სასოწარკვეთილი ისრაელის პრემიერ-მინისტრი გოლდა მეიერი ნიქსონს სამხედრო დახმარებას სთხოვდა. ისრაელის არმია იარაღის ნაკლებობის გამო აშშ-ს დახმარების გარეშე გარდუვალი სამხედრო მარცხის საფრთხის წინაშე იდგა.

19 ოქტომბერს ნიქსონმა გასცა განკარგულება ისრაელისათვის სამხედრო დახმარების სახით 2.2 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღისა და ტექნიკის მიწოდების შესახებ. იმავე დღეს არაბულმა ქვეყნებმა აშშ-ს ნავთობის ემბარგო გამოუცხადეს.

დახმარების მიღებისთანავე ისრაელმა განახორციელა კონტრშეტევა, დაამარცხა სირიის არმია და ეგვიპტის მესამე არმიას სინაისთან ალყა შემოარტყა. ეგვიპტე და სირია იძულებული გახდნენ ნასერისდროინდელი მოკავშირის, საბჭოთა კავშირისათვის დახმარება ეთხოვათ. ბრეჟნევისგანაც საგანგაშო სიგნალმა არ დააყოვნა. ახლა საბჭოთა კავშირიც აქტიურად ჩაერთო საქმის გარჩევაში. ბრეჟნევი, მიუხედავად მასსა და ნიქსონს შორის არსებული ურთიერთგაგებისა და დადებული შეთანხმებებისა, იძულებული იყო, ანგარიში გაეწია პოლიტბიუროს შიდა კონიუნქტურისათვის. იგი ისრაელის მიერ ეგვიპტის მესამე არმიის განადგურების შემთხვევაში ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრებოდა. მალე ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა ბირთვული იარაღი მზადყოფნაში იყო მოყვანილი, ბირთვული იარაღით აღჭურვილმა რამდენიმე სამხედრო გემმა კი თურქეთის სრუტეები გაიარა და გეზი გაურკვეველი მიმართულებით, სავარაუდოდ, ეგვიპტისაკენ აიღო.

დაუყოვნებლივ მზადყოფნაში იქნა მოყვანილი აშშ-ს ბირთვული არსენალიც. ისრაელ-ეგვიპტე-სირიის რიგით მეოთხე ომის გამო მსოფლიო ბირთვული იარაღის გამოყენების სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა. საბედნიეროდ, აშშ-მ და საბჭოთა კავშირმა კომპრომისი გამოძებნეს, 25 ოქტომბერს საომარი მოქმედებები შეწყდა. ეგვიპტემ აღიდგინა იმიჯი, მესამე არმია განადგურებას გადაურჩა. და, რაც მთავარია, ანვარ სადათმა მიზანს მიაღწია, ეგვიპტე იმ იზოლაციიდან გამოიყვანა, რომელშიც იმყოფებოდა აბდელ ნასერის ანტიდასავლური პოლიტიკის გამო. ისრაელი და მისი პარტნიორი აშშ მოლაპარაკებათა მაგიდას დაუბრუნდნენ.

კონფლიქტის ესკალაციის ერთი თვის განმავლობაში მოლაპარაკებებს როგორც ახლო აღმოსავლეთის ლიდერებთან, ისე საბჭოთა ხელისუფლებასთან აწარმოებდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო კონფლიქტის სამხედრო მხარის მოწესრიგება და ისრაელ-ეგვიპტის მოლაპარაკებათა მაგიდასთან დაბრუნება, თავიდან იქნა აცილებული ზესახელმწიფოთა ბირთვული კონფლიქტიც. მაგრამ საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა წინააღმდეგობა ნავთობის ექსპორტიორებს, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებსა და მათ ნავთობკომპანიებს შორის.

არაბული ქვეყნების მთავარი პოლიტიკური მიზანი - გაენადგურებინათ ისრაელი - სრული კრახით დასრულდა. სამაგიეროდ, მათ შეძლეს დიფერენცირებული მიდგომის საშუალებით გაერღვიათ დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისა და იაპონიის ერთიანი ბლოკი. საუდის არაბეთის ენერგეტიკის მინისტრს იამანის განუცხადებია იაპონიის წარმომადგენლისათვის: **"თუ თქვენ ჩვენი მოწინააღმდეგე ხართ, ვერ მიიღებთ ნავთობს; თუ ნეიტრალური ხართ, - მიიღებთ, მაგრამ არა იმდენს, რამდენსაც ილებდით; ხოლო თუ თქვენ მეგობარი ხართ, მიიღებთ იმდენს, რამდენსაც ილებდითო."** ეს ნამდვილი პოლიტიკური შანტაჟი იყო. ამგვარი ზეწოლის ქვეშ იყვნენ აშშ და მისი პარტნიორები 1974 წლის 18 მარტამდე, როდესაც დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები და ნავთობის ემბარგო მოიხსნა.

მანამდე კი არაბული ქვეყნები აიძულებდნენ მათ, ემბარგოს შემსუბუქების სანაცვლოდ ისრაელის საწინმააღმდეგო განცხადებები და გადაწყვეტილებები მიეღოთ. ისრაელი კი თავად იყო მათი არერთგზისი აგრესიის მსხვერპლი. მართლაც, 1973 წლის ნოემბერში ჯერ ევროპის თანამეგობრობამ, შემდგომ იაპონიამ დაგმეს ისრაელი.

1973 წლის ომი რიგით მეოთხე იყო ისრაელსა (და მის პარტნიორებს) და არაბული სამყაროს ქვეყნებს შორის. ამ ომზე განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება იმიტომ, რომ მას ორივე დაპირისპირებული ბანაკისათვის ყველაზე მძიმე და დროში ხანგრძლივი შედეგები მოჰყვა, რასაც შემდეგ სტატიაში შევეხებით.

WORLD პერსონა

# ორეულები

მელორ სტურუა
საქ. კორესპონდენტი. მინეაპოლისი



როგორც ცნობილია, ერაყის ორიდან ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა, ტახა იასიმ რამადანმა, ამერიკა-ერაყის კონფლიქტის გადაჭრისა და ორი ხალხის ომის საშინელებისგან ხსნისთვის, ძველი, რაინდული მეთოდი, "a tapo a tapo" (ხელდახელ), შემოგვთავაზა. ეს ორი ქვეყნის პრეზიდენტებსა და ვიცე-პრეზიდენტებს შორის დუელს ნიშნავს. რამადანმა შერკინების ადგილად ნეიტრალური ტერიტორია, ხოლო სეკუნდანტის როლში გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი აირჩია.

ამ გამოწვევას თეთრი სახლიდან ოფიციალური რეაქცია არ მოჰყოლია. არაოფიციალური, მაგრამ სარწმუნო წყაროსგან კი შევიტყვე: რამადანის წინადადება თეთრი სახლის "სიტუაციურ" კაბინეტში თვით პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის თავმჯდომარეობით განიხილეს და ერთსულოვნად უარყვეს. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველი ის იყო, რომ გამოწვევის ავტორმა, რამადანმა, არ დააკონკრეტა, თუ ერაყის რომელი ვიცე-პრეზიდენტი დადგებოდა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის პირისპირ - თვითონ თუ მახა მახიედინ მარუფი. მეორეც: ჩეინი დუელიანტობისთვის არ გამოდგება. მის გულში, ოთხი ინფარქტი რომ გადაიტანა, ჩაკერებულია "პიტსმეიკერი", რომელიც ამერიკის ვიცე-ს გულისცემას არეგულირებს. მისი დესტაბილიზაცია კი უბრალო, დისტანციური მართვის პულტითაც კი ადვილად შეიძლება. მეორე ვიცე-პრეზიდენტი აშშ-ს კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის. მესამე მიზეზი: მართალია, პრეზიდენტი ბუში სადამ ჰუსეინზე გაცილებით ახალგაზრდაა და ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია, მაგრამ მან მხოლოდ სირბილი იცის. სროლა და ფარიკაობა მისთვის უცხოა. მხოლოდ ერთხელ, ახალგაზრდობაში, ძლიერ ნაბახუსევზე ბუში უმცროსი, ბუშ უფროსს "a tapo a tapo" დაეტაკა იმისთვის, რომ მამამ ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან დაჯდომისთვის დატუქსა. მეოთხე მიზეზი: სეკუნდანტ კოფი ანანის ობიექტურობაში ძლიერ შეეპარათ ეჭვი.

თუმცა, რამადანის გამოწვევაზე უარის თქმის მთავარი მიზეზი ამ ოთხიდან არც ერთი არ ყოფილა. უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის გამჭრიახმა თანაშემწემ, კონდოლიზა რაისმა, რომელსაც ცსბ-ს კიდევ უფრო გამჭრიახი და ინფორმირებული დირექტორი ტენეტი უჭერდა მხარს, განაცხადა: " ჩვენს ბოსს დამკვრელურ დროშიც რომ შევასწავლოთ ფარიკაობა და სროლა, სად არის იმის გარანტია, რომ მისი მეტოქე ნამდვილი სადამ ჰუსეინი იქნება და არა მისი ორეული - გამოცდილი სნაიპერი და ფარიკაობაში - დარტანიანი?"

საქმე სულაც არ არის სახუმაროდ. ამერიკული დაზვერვის მონაცემებით, ნამდვილი სადამ ჰუსეინი, უკანასკნელად, 1998 წელს გამოჩნდა ხალხში. მას შემდეგ, სახალხოდ და ტელევიზიითაც, მის როლს მრავალრიცხოვანი ორეულები ასრულებენ. ამერიკელთა მონაცემებს გერმანელ პათანატომთა გამოკვლევებიც ადასტურებენ. ამ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა მათგანმა, დოქტორმა დიტერ ბუხმანმა, საარლანდში, ერაყელი დიქტატორის ასეულობით ფოტო და ვიდეომასალა გააანალიზა და დაასკვნა: "მიმოქცევაში, სადამ ჰუსეინის, სულ ცოტა, სამი ორეულია - ხალხში გამომსვლელი, იარაღიდან მსროლელი, ჰავანური სიგარის გამბოლებელი, ბავშვების მკოცნელი და ა.შ. სრული ავთენტიკურობისთვის სადამის ორეულები ჟესტების ენით საუბრობენ. საქმე ის არის, რომ ნამდვილი სადამი საუბრისას ჩლიფინებს. ამ ჩლიფინის იმიტაცია კი უაღრესად რთულია".









პოლიტიკური დევნილი-ემიგრანტები ასევე საუბრობენ სადამის ორეულებზე. იმაზე, რომ შექმნილია დიქტატორის მსგავსი ორეულების ძებნისა და შექმნის მთელი ინდუსტრია. მათ უკეთებენ პლასტიკურ ოპერაციებს, ასწავლიან ორიგინალის მანერებს, ისეთს, როგორიცაა, ვთქვათ, სიარული, ტიკები და ა.შ. რაღა თქმა უნდა, სრული მსგავსების მიღწევა შეუძლებელია. მაგრამ განსხვავება ორიგინალსა და ორეულს შორის ერთობ უმნიშვნელოა, ხანდახან კი, როგორც დოქტორი ბუხმანი ამბობს, "იოტისოდენა". მაგალითად, პირი რამდენამდე დაბლა, ან მაღლა აქვთ ორიგინალთან შედარებით.

"ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რისთვისაც სადამი ორეულებს იყენებს, სავსებით ცხადია: მასზე თავდასხმის საშიშროება," - ამბობს დინო ბრუგიონი, ცსბ-ს ფოტოგრაფიის ინტერპრეტაციის ნაციონალური ცენტრის ყოფილი თანამშრომელი და ავტორი წიგნისა "ფოტოების გაყალბება".

ცსბ-ს "გარეგნობის შეცვლის" ფილიალის ყოფილი დირექტორი და ავტორი წიგნისა "ჯაშუშის მტვერი", ანტონიო მენდესი - ხატოვნად ამბობს: "ჭეშმარიტება ყოველთვის საჭიროებს დაცვას, სახელად, - ტყუილი." თუმცა, ამ აფორიზმის ავტორი მენდესი არ არის. ავტორია ჩერჩილი, რომელსაც, სხვათა შორის, მეორე მსოფლიო ომის დროს, თავადაც ჰყავდა ორეულები. ამის შესახებ მხატვრული ფილმიც კი გადაიღეს. მსახიობი, რომელიც ჩერჩილის როლს მის სიცოცხლეში ასრულებდა, კინაღამ ფაშისტი ტერორისტების მსხვერპლი გახდა. ორეული ცნობილ ინგლისელ მხედართმთავარს, ფელდმარშალ ვიქტორ მონტგომერისაც ჰყავდა. როცა მონტგომერი ალჟირის კამპანიას იწყებდა, მოწინააღმდეგის კვალის ასარევად, მისი ორეული, გიბრალტარში მიმოდიოდა.

"დამნაშავეს ყოველთვის ეშინია", - ამბობდა დოსტოევსკი. ორეული მრავალ დიქტატორს ჰყავდა. იმასაც ამბობენ, რომ სტალინსაც ჰყავდა ორეული. თუმცა, დამაჯერებელი ფაქტებით ეს დადასტურებული არ არის. სამაგიეროდ, დადასტურებულია, რომ ორეულით მაო ძე დუნიც სარგებლობდა. ზემოხსენებულ წიგნში "ფოტოების გაყალბება" მოთხრობილია იმის შესახებ, თუ ცსბ-მ, ყურების აგებულების ანალიზით, როგორ ამოიცნო მაოს ორეული.

არასწორი იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ორეულების ყოლა დიქტატორთა განსაკუთრებული პრივილეგიაა. თუ გახსოვთ, ზემოთ მონტგომერი და ჩერჩილი მოვიხსენიე. სხვა "კაი ბიჭების" დასახელებაც შემიძლია. მაგალითად, აშშ-ს ორი დიდი პრეზიდენტი - ჯორჯ ვაშინგტონი და ფრანკლინ რუზველტი. "ორეულების ყოლა საყოველთაო თამაშია, რომელშიც კარგებიცა და ცუდებიც იღებენ მონაწილეობას, - ამბობს მენდესი, - ბილოკაციის, ანუ, ერთდროულად ორ ადგილზე ყოფნის იდეა, - გარკვეულ სიტუაციებში, უსაფრთხოების გასაღებია. ყველა სარგებლობს ამ მეთოდით".

თუმცა, ჩვენ ტირანებს დავუბრუნდეთ. დოქტორმა ბუხმანმა იდენტიფიცირება გაუკეთა ბაღდადის ქურდი-დიქტატორისა და მისი ორეულების დიგიტალურად გადიდებულ ფოტოებს. თმის, წარბებისა და ულვაშების თითოეული ღერის დიამეტრიც კი შეისწავლა. სკრუპულოზურად გაზომა, აგრეთვე, "სახის ნაკვთების სტაბილური ნაწილის ურთიერთდამოკიდებულება" და მივიდა დასკვნამდე: სადამს თავის ორეულებზე თამამად შეუძლია თქვას: "ისინი ბევრნი არიან, მე - ერთი"...

ცოტამ თუ იცის ერაყის ვიცე-პრეზიდენტის, რამადანის მიერ აშშ-ს პრეზიდენტის რაინდულ შერკინებაში გამოწვევის მიზეზი. ეს გახლდათ პასუხი პრეზიდენტ ბუშის პრეს-მდივნის, არი ფლეიშერის განცხადებაზე იმის თაობაზე, რომ ამერიკას ერაყის ომი მილიარდობით დოლარი კი არა, არამედ, "ერთი ტყვიის" ფასი დაუჯდება. ფლეიშერმა სულაც არაგრაციოზულად მიანიშნა სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტზე. ფლეიშერს თითქმის დაუყოვნებლივ მოუხდა ერაყთან ომის თანხობრივ "კალკულაციაზე" უარის თქმა. პრეზიდენტის პრეს-მდივანს გადაავიწყდა, რომ, ამერიკის კანონმდებლობით, აკრძალულია უცხოელ ლიდერებზე თავდასხმა და მათი მოკვლა. მაგრამ სიტყვა გაფრინდება და უკან ვერ მოაბრუნებ. ჰოდა, რამადანიც ამ სიტყვას ჩაებღაუჭა და მუხანათურ სროლას კეთილშობილი დუელი დაუპირისპირა.

განა შეიძლება ველოდეთ კეთილშობილებას ბაღდადელი ტირანისგან, ვისი მუხანათობაც საარაკო გამხდარა? ტირანისგან, რომელიც, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, მითოლოგიური იანუსივით ორსახოვანია? "არ შეიძლება!" - ერთხმად და სამართლიანად გადაწყვიტა ბუშის ტვინიკოსთა ტრესტმა. სწორედ ეს გარემოება აცამტვერებს "ერთი ტყვიის" სცენარს. ვინ განიგმირება ამ "ერთი ტყვიით?" - ერაყელი ტირანი თუ ვინმე მისი მრავალრიცხოვანი ორეულებიდან?

მართლაც, ხომ არ შეიძლება, მოსთხოვო სადამ ჰუსეინს, ახლოს მიუშვას აშშ-ს უშიშროების საბჭოს ექსპერტები, რათა ისინი მოსალოდნელი ტერორისტული აქტის წინ მის ავთენტიკურობაში დარწმუნდნენ?

თუმცა, მეორე მხრივ, ეს ულტიმატუმთა შორის ყველაზე მაგარი ულტიმატუმი იქნებოდა. ბუნებრივია, სადამ ჰუსეინი ამას არ მიიღებს და პრეზიდენტი ბუში მიიღებს იმას, რასაც ის ასე დაჟინებით ეძებს - casus belli - ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების საბაბი.



# კონკურსი გრან-პრის გარეშე

*თბილისის მუსიკალურ ცენტრში მორიგი მნიშვნელოვანი მუსიკალური მოვლენა დაგვირგვინდა. წარმატებული "შემოდგომის თბილისის" შემდეგ, ცენტრმა ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნულ კონკურს უმასპინძლა. გუშინ, ღონისძიების დახურვისა და დაჯილდოების ცერემონიალი შედგა. ისევე როგორც წინამორბედ I კონკურსზე, გრან-პრისა და 5 ათასი ლარის ბედნიერი მფლობელი წელსაც არ გამოვლინდა.*

მადი სერებრიაკოვა

ნოდარ გაბუნიას სახელობის კონკურსი თბილისში უკვე მეორედ ჩატარდა. პირველისაგან განსხვავებით, რომელიც საკმაოდ შეზღუდული ფინანსებით მოეწყო, მეორე უფრო პომპეზური გამოდგა. მრავალრიცხოვანი სპონსორების გარდა, რომელთაგან მთავარი "არტ-იმედი" იყო, კონკურსის ორგანიზებაში აქტიურ მონაწილეობას კულტურის სამინისტრო, სახელმწიფო კონსერვატორია და ლოიოლას უნივერსიტეტიც (ა.შ.შ) იღებდნენ. კონსერვატორიამ სპეციალური ფულადი პრემიაც დააწესა გამარჯვებულისთვის.

გარდა ტრადიციული დიპლომებისა და პრემიებისა, კონკურსზე კიდევ რამოდენიმე ორიგინალური პრიზი გაიცა: ახალგაზრდა პიანისტმა ნუცა კასრაძემ ეტიუდის საუკეთესო შესრულებისათვის პრიზი (გიო ხუციშვილის ფერწერული ტილო) უმცროს კოლეგას – ნატა აფციაურს გადასცა. თელავის მუსიკალურმა სასწავლებლმა კი მაყურებლის სიმპათიით დაჯილდოებულ ანა გოგავას, მისი თანატოლი ბავშვის მიერ შესრულებული ტილო "თუშეთის პეიზაჟი" გადასცა.

ჟიურის თავმჯდომარემ განსაკუთრებული აღფრთოვანებით ქართველი ახალგაზრდების მიერ პედაგოგებისადმი გამოვლენილი დამოკიდებულების შესახებ ისაუბრა. პედაგოგების დამსახურება EPTA-მაც (ფორტეპიანოს პედაგოგთა ევროპის ასოციაცია) აღნიშნა და ორი ლაურეატის მასწავლებელს, დოდო ცინცაძესა და ედიშერ რუსიშვილს სპეციალური დიპლომები და ფულადი ჯილდოები გადასცა.

მიუხედავად უხვად და უშურველად გაცემული პრემიების, დიპლომებისა და ფულადი ჯილდოებისა, საზოგადოების ყურადღება მაინც გრან-პრისკენ იყო მიმართული. მისი მფლობელის ვინაობა დაჯილდოების ცერემონიალზე უნდა გარკვეულიყო, საბოლოო ჯამში, კი ასეთი პატივი ამჯერადაც არავის არგუნეს.

"გრან-პრის გაცემა" – აღნიშნავს ფაინა აიზენბერგი – "ვარსკვლავის დაბადებას ნიშნავს, კონკურსი გამოავლენს საუკეთესო შემსრულებლებს, მაგრამ ვარსკვლავის დაბადებას ჩვენ ვერ დავგეგმავთ".

მიუხედავად "ვარსკვლავის" გარეშე დარჩენილი კონკურსისა, ღონისძიებამ მაინც სერიოზული გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიო მასშტაბით: კონკურსის საპატიო საორგანიზაციო კომიტეტის წევრები გახდნენ ისეთი მუსიკოსები, როგორიც მსტისლავ როსტროპოვიჩი, იური ბაშმეტი და გია ყანჩელი არიან. ვალერიან შიუკაშვილმა იმის შესაძლებლობაც დაუშვა, რომ შემდეგი კონკურსი უცხოეთში გაიმართოს. კონკურსის პერიოდულობა კი გაურკვეველია, სავარაუდოდ იგი 2 – 3 წელიწადში გაიმართება.

გუშინდელი დაჯილდოების ცერემონიალი მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ლაურეატების კონცერტმა დააგვირგვინა.



*ჭილდო, რომელიც არავის ერგო*

გარდა ჩვეულებრივი საკონკურსო პროგრამისა (კონკურსი სამ ტურად მიმდინარეობდა ორი ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდებისათვის), ღონისძიების ფარგლებში რამოდენიმე კონცერტი, მასტერკლასები, შეხვედრები მოეწყო. მათ შორის, უმთავრესი ნოდარ გაბუნიას ნაწარმოებების საღამო გახლდათ. პროფესიონალებისა და მუსიკის მოყვარულებისთვის საინტერესო იყო ასევე ჟიურის თავმჯდომარესთან, ბეერ-შევას (ისრაელი) კონსერვატორიის პროფესორთან ფაინა აიზენბერგთან შეხვედრა-კონცერტიც.

მუსიკალური (და საერთოდ, სახელოვნებო) კონკურსების შეფასება ყოველთვის გარკვეულ ამბივალენტურობას გულისხმობს. თავად ჟიურის თავმჯდომარემ ნახევრად ხუმრობით აღნიშნა: "მუსიკა მათემატიკა არ არის და ორჯერ ორი აქ ხშირად ოთხი სულაც არ გამოდის". ჟიურის სიმპათიები, აშკარად, უფრო მცირე ასაკობრივი კატეგორიისაკენ იხრებოდა. ამას პრიზების გადანაწილებაც ადასტურებს: სამივე საპრიზო ადგილი 15 წლამდე შემსრულებლებისათვის ექვსმა მონაწილემ გაინაწილა. მათ შორის განსაკუთრებით კონკურსის ყველაზე უმცროსი მონაწილე, 11 წლის ანა გოგავა აღინიშნა, რომელსაც აიზენბერგმა "კონკურსის აღმოჩენა" უწოდა.

პირველი პრემია უფროსი ასაკის კონკურსანტებისათვის საერთოდ არ გაიცა. მეორე პრემია ალექსანდრე ბერიძემ მიიღო. მასვე გადაეცა კონკურსის დამფუძნებლის, ახალგაზრა პიანისტის ვალერიან შიუკაშვილის მიერ დაწესებული პრიზი არტისტიზმისათვის.

## კალენდარი

## 12 ნოემბერი



"მხოლოდ სასჯელი აიძულებს ადამიანებს ერთმანეთს სიკეთე გაუკეთონ," – ამბობდა ოგიუსტ როდენი. ფრანგმა სკულპტორმა დიდი გაჭირვება გამოიარა, სანამ მის ნიჭს ჭეშმარიტი დამფასებელი არ გამოუჩნდა.

მე-20 საუკუნის ქანდაკების განვითარებაზე როდენმა უდიდესი გავლენა მოახდინა. მისი რეალისტური ნამუშევრები საოცარ ძალას ასხივებს. როდენი არ უარყოფდა ნეგატიურ ასპექტებს და მის ქანდაკებებში ისევე აისახებოდა ადამიანის შინაგანი სიცარიელე და მორალურ სისუსტე, როგორც მწველი ვნება და სილამაზე.

14 წლის ასაკში როდენი პარიზის დეკორატიული ხელოვნების სკოლაში Petite Ecole-ში შევიდა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მან სამჯერ სცადა სწავლის გაგრძელება Ecole des Beaux-Arts-ში, მაგრამ სამჯერვე უარით გაისტუმრეს. 1858 წელს მან ქვის დეკორატიულ დამუშავებს მიჰყო ხელი და ლუკმაპურს ასე შოულობდა... იყო დრო, როცა ღრმა დეპრესიაში ჩავარდა, დის სიკვდილმა მასზე ძალიან იმოქმედა და როდენი ერთ-ერთი რელიგიური ორდენის წევრი გახდა. წმინდა ორდენის მეთაურს არ გამოჰპარვია როდენის ნიჭიერება, პირიქით, შეაგულიანა კიდეც და ურჩია, რომ არავითარ შემთხვევაში არ ეღალატა ხელოვნებისთვის. ეს როდენისთვის დიდი სტიმული იყო. 1864 წელს ის შეხვდა მკერავ ქალს, როზ ბერეს, რომელიც მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. სწორედ ეს ქალი იყო როდენის ნამუშევრების დიდი ნაწილის მოდელიც. ამავე წელს შეიქმნა "მამაკაცი გატეხილი ცხვირით", რომელიც მოქანდაკემ პარიზის სალონში მოათავსა. თავიდან ეს ქანდაკება სალონში არ მიიღეს, მაგრამ მერე დათანხმდნენ, ოღონდ სკულპტურამ სახელი შეიცვალა და "რომაელის პორტრეტი" დაერქვა. როდენის პიროვნებასა და მის მთელ შემოქმედებაზე წარუშლელი შტაბეჭდილება დატოვა 1875 წლის მოგზაურობამ იტალიაში, განსაკუთრებით კი მიქელანჯელოს ნამუშევრების გაცნობამ. ამ მოგზაურობის შედეგი იყო "ბრინჯაოს ხანა", რომელიც 1877 წელს პარიზის სალონში დაიდგა და რომელმაც ლამის სკანდალური აჟიოტაჟი გამოიწვია - კრიტიკოსები არაფრის დიდებით არ იჯერებდნენ, რომ მოქანდაკემ ასეთი რეალისტური ნამუშევარი ცოცხალი მოდელის დახმარების გარეშე შექმნა... "ბრინჯაოს ხანა" როდენის "იოანე ნათლისმცემელთან" და "მწუხრთან" ერთად დღეს მსოფლიოში ცნობილი სკულპტურებია.

76 წლის ასაკში როდენმა მთელი თავისი კოლექცია საფრანგეთის მთავრობას დაუტოვა. ეს კოლექცია ამჟამად პარიზში, როდენის მუზეუმში, ინახება.

**ოგიუსტ როდენი** 1840 წლის 12 ნოემბერს დაიბადა.

# "სტუმარ-მასპინძელი" ვაშინგტონში

A1 გვერდიდან



*კახი კავსაძე "სტანისლავსკი"-ს სტუდიაში*

თეატრში შევდივართ, პატარა ფოიეა, ყველა მოსულს ადვილად შეამჩნევს თვალი: ქართველები, რუსები, ამერიკელები... ყველანი ერთნაირად ღელავენ, რადგან დღეს აქ, ამ თეატრის თაყვანისმცემლები, მეცენატები და გულშემატკივრები შეკრებილან. ბატონ გოგი მესხიშვილს ვუახლოვდები და სანამ მასთან საუბარს გადმოგცემთ სპექტაკლის შემოქმედებით ჯგუფს წარმოგიდგენთ.

პოემის სცენიური ადაპტაციის ავტორია როლანდ რიდი, ამერიკელი მწერალი და ჟურნალისტი, დამდგმელი რეჟისორი - პაატა ციქურიშვილი, მხატვარი და კოსტუმების ავტორი - გოგი ალექსი მესხიშვილი, ქორეოგრაფი — ირინა ციქურიშვილი, მხატვარ-გამნათებელი - კოლინ ბილსი, მხატვარ დეკორატორი - ჯესიკა ვეიდი, კომპოზიტორი ვახტანგ კახიძე, გამოყენებულია გია ყანჩელის 2 ნაწარმოები. როლებში: კახი კავსაძე (მუსა), პაატა ციქურუშვილი (ჯოყოლა), ირაკლი კავსაძე (ზვიადაური), ირინა ციქურიშვილი (აღაზა), ჯონათან ლევეკი (მულა), არმან სინდონი (ნადირა), ქეთრინ გასტა (ზვიადაურის ცოლი), გრეგ მარზულო (ებარი) ..

**- ბატონო გოგი, საჭირო იყო თუ არა რაიმე განსაკუთრებული მიდგომა, რაკი ვაჟა-ფშაველას ამერიკის სცენაზე დგამდით?**

- არა, *ჩვეულებრივი სამუშაო გახლდათ, როგორც შექსპირი, მოლიერი თუ გოცი. ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის რომ აქ, ამერიკის დედაქალაქში ქართული ნაწარმოები დაიდგა და მით უფრო სასიამოვნო, რომ ვაჟა-ფშაველა. ძალიან კარგი იქნება თუ აქაური მაყურებელი მიხვდება, რა ბუმბერაზ პოეზიასთან აქვს საქმე. ჩემი აზრით ძალიან თავისებური, საინტერესო ნამუშევარია და თანაც იმ საშუალებებით რაც ამათ აქვთ; მოგეხსენებათ ეს თეატრი შემოწირულობებით არსებობს, სანახაობრივადაა ძალიან საინტერესო; პრობლემაც აქტუალურია, თუმცა, მე სწორედ ის მომწონს რომ პოლიტიკური სპექტაკლი კი არაა, მხატვრული სანაახაობაა და თვითმყოფადი ფასი აქვს, ასე რომ ვისაც ეს ესმის, ვინც ამაში ერკვევა ის აუცილებლად დაინტერესდება.*

ცოტა ხანში დარბაზი, რომელშიც დაახლოებით 180 ადგილია, ხალხით იჭედება. სულ მალე საცნაური ხდება იმ უხილავი ძაფების თრთოლვა, რომელთა გაბმა სცენასა და მაყურებელს შორის მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებს ძალუძს. ყველაფერ ამას კი სრულყოფილ მხატვრულ სანახაობად მუსიკა და მსახიობთა ზედმიწევნით ზუსტი თამაში აქცევს. მაგრამ შეუძლებელი იყო თავად ყველაზე გამოუცდელ და თეატრალურ ხელოვნებაში გაუთვითცნობიერებელ მაყურებელსაც კი რომ არ შეეგრძნო ის გასაოცარი შთაბეჭდილება, რაც სცენაზე კახი კავსაძის შემოსვლას ახლდა. თითქოს და დარბაზი განათდა, გაივსო და ეპიზოდმა ძალიან დიდი დატვირთვა მიიღო. აშკარა იყო, სცენაზე ოსტატი იდგა, რომელსაც პირველივე რეპლიკიდან ყველა დაეჩრდილა. კახი კავსაძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მას ყველა ჟანრისა და გრძნობათა ბუნების გმირების განსხეულება ხელეწიფება და ერთნაირი სიძლიერით ფლობს გარადასახვისა თუ წარმოდგენის თეატრის მსახიობისათვის საჭირო ოსტატობას. და ბოლოს, ყველაზე უფრო გასაოცარი რამ...კახი კავსაძე უნაკლო ინგლისურით მეტყველებს სცენაზე და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ნიჭიერი ადამიანისათვის არ არსებობს დაბრკოლება.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ ბატონ კახის ერთ-ერთი მაყურებელი უახლოვდება, თავს აცნობს შექსპირის თეატრის მსახიობი ვარო და აღფრთოვანებული ელაპარაკება. ბატონი კახი ბოდიშს უხდის - ინგლისური არ ვიციო და საშველად ირაკლის უხმობს. გაოგნებული ამერიკელი მსახიობი ახლა ჩემსკენ ბრუნდება და მეუბნება, როგორ თუ არ ვიციო? ეს ქართული ხუმრობაა? კი მაგრამ, ახლახან სცენაზე ხომ შესანიშნავი ინგლისურით ლაპარაკობდა? არა, გამაგებინეთ", არ სჯერა ბატონ ჯიმს და მართალი გითხრათ, არც მე მჯერა...

**- ბატონო კახი, რა სირთულეები ახლდა თქვენს აქ, ამ როლზე მუშაობას?**

*- ახლა რომ მითხრან ეს სპექტაკლი საქართველოში უნდა წავიღოთ გასტროლზეო...აჰ, არა, არავითარ შემთხვევაში... მე ვერასოდეს ვითამაშებ რუსთაველის თეატრის სცენაზე ან თუნდაც სხვა სცენაზე საქართველოში ინგლისურად, ჩემს მაყურებელთან, რომლის წინაშეც რამოდენიმე ათასჯერ გამოვსულვარ. აჰ...არა, აქ კი ეს პირობითობა დავუშვი. აბა როგორ შემიძლია მე იქ საქართველოში ვთქვა "იუ ჰევ გან კრეიზი ჯოყოლა!" ეს ხომ ჩემთვის უცხო ენაზე ნათქვამი სიტყვებია და არავითარ ინფორმაციას არ ატარებს!!*

**- ინგლისური მართლა არ იცით?**

*- არც ერთი სიტყვა!!!*

**-??????**

*- ჰო, პიესის ტექსტი ვიცი, ვისწავლე, თბილისში დავიზეპირე. თავიდან ეს იყო ჩემთვის სიტყვების გუნდი, მერე მუსიკალურად დავაწყვე რომ დაზეპირება არ გამჭირვებოდა და რომ ჩამოვედი აღმოჩნდა, რომ აქ სულ სხვანაირი, ამერიკული ინგლისურით უნდა წარმოვთქვა ეს დაზეპირებული ტექსტი.*

**- ვინმე სპეციალურად გამეცადინებდათ ინგლისურში?**

*- ქეთრინი და ჯონათანი, აქაური მსახიობები მისწორებდნენ ხოლმე, მაგრამ მერე სხვებიც მოდიოდნენ დასახმარებლად და ერთი რომ ა-ს ამბობდა, მეორე იგივე სიტყვის წარმოთქმისას ა-ს მაგივრად ო-ს ამბობდა და მესამე ე-ს, კინაღამ გავგიჟდი კაცი. ყველაზე მთავარი და დიდი პრობლემაო, მკითხე", აი რა იყო..ინგლისურად ნათქვამი "აუა ბლად ენემი" ვერ მაძლევს იმ შინაგან მუხტს რასაც იგივე, ქართულად ნათქვამი—ჩვენი მოსისხლე მტერი.. აბა რა ინფორმაცია უნდა მომაწოდოს ამ ბგერების ერთობლიობამ "ბლაად"—სულ ქართული სიტყვა "დაბლაყუნებს" მახსენდებოდა (იცინის). მერე ნელ-ნელა ჩემს ტვინში ჩავტენე რომ ეს სიტყვები ჩემთვის ამას და ამას ნიშნავს და ამან უნდა ამაღელვოს!!..როცა პარტნიორს ვუსმენ კი ვიცი რასაც მეუბნება იმ სიტყვების შინაარსი მაგარამ მაინც ძნელია. თავდაპირველად ვუსმენდი პარტნიორს, გონებაში ვთარგმნიდი მის სიტყვებს, მერე შესაბამისი შეფასება მიჩნდებოდა და მერე ამ ჩემს ქართულ შეფასებას ინგლისურად ვთარგმნიდი და ვპასუხობდი. ამას კი დრო სჭირდება და მთელი სირთულე იმაში იყო, რომ ეს პროცესი სწრაფად უნდა მომხდარიყო ჩემს ტვინში. აი ხომ გახსოვს გურამ პატარაიას რეკორდში, თუ არ შეაგინებს ის კაცი, ვეღარ ისვრის იმ სიშორეზე, რეკორდს ვეღარ ამყარებს, ის სიტყვა, ის გამღიზიანებელი სჭირდება მის ქმედებას. მოკლედ, ვცდილობდი ეს ერთდროული პროცესი თარგმნა-შეფასების შემემჭიდროებინა დროში. ჯერ კიდევ ვერ ვიტყვი - ეს სირთულე ბოლომდე გადალახული მაქვს-თქო და როცა ვისწავლი ინგლისურს, ჩემს ასაკში აბა როგორ ვისწავლი? (იცინის) შეიძლება "საყველპურო ინგლისური" კი ვისწავლო".*

ბატონ კახისთან ვაშინგტონში მცხოვრები ქართველების მთელი ჯგუფი შემოდის მოსალოცად და მეც ახლა ირინასაკენ ვინაცვლებ.

**- დაღლილი ჩანხართ.**

*- დაღლილობა რა მოსატანია ამხელა სიხარულთან, დაღლილები ალბათ მართლა ვართ ყველანი, რადაგან ბოლო 2 თვეა ძალიან გვიან ღამემდე გვქონდა რეპეტიციები, მოგეხსენებათ აქ სპექტაკლის დადგმის ვადა მაქსიმუმ 1-1,5 თვეა.*

**- ისეთი თავგანწირვით და ზედმიწევნით ქართული სულით გაჟღენთილი იყო მასიურ სცენებში დაკავებული ახალგაზრდა ამერიკელი მსახიობების თამაში და პლასტიკა, გაოგნებული ვართ ყველანი, ქართველები, ეს ალბათ თქვენი დამსახურებაა პირველ რიგში, თქვენ ხომ ამ სპექტაკლის ქორეოგრაფიც, პლასტიკის პედადოგიც და რეპეტიტორიც ხართ ერთდროულად, თანაც აღაზასაც თამაშობთ... ალბათ მხოლოდ თეატრის ცხოვრებით ცხოვრობთ?**

*- დიახ ასეა, უმცროსი შვილი მე და პაატას ბოლო 2 თვეა თითქმის არ გვინახავს, ამასწინათ პაატას ჰკითხა შენ ვინ ხარო? მაგრამ აქ სხვანაირად არც ხერხდება. თუ მთელი არსებით არ უძღვნი მთელ დროს და ენერგიას შენს საქმეს, წარმატებას ვერ მიაღწევ და როცა მიაღწევ, მერე კიდევ უფრო გემატება პასუხიმგებლობა. ამ სპექტაკლზე მუშაობისას გაათმაგებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით ყველანი, ჩვენ ხომ ამჯერად ქართულ მასალაზე ვმუშაობდით და თანაც როგორ მასალაზე - ვაჟა-ფშაველაზე. ამას ისიც ემატებოდა, რომ ამერიკაში ქართული ნაწარმოები პირველად იდგმებოდა. პაატა უკვე რამოდენიმე წელია ოცნებობდა "სტუმარ-მასპინძლის" დადგმაზე და შარშან 11 სექტემბერს იმ საშინელი დღის ბოლოს მითხრა, ახლავე უნდა დავიწყო ვაჟა-ფშაველას დადგმა, ჰამლეტი უნდა შევაჩეროო, მაშინ ჰამლეტის რეპეტიციები გვქონდა დაწყებული. მხოლოდ იმიტომ ვერ გააკეთა ეს რომ ჰამლეტზე დასასწრები ბილეთები და აბონემენტები უკვე მთლიანად გაყიდული იყო.*

ირინა ციქურიშვილი, პაატას მეუღლე გახლავთ, და ამერიკაში უკვე საკმაოდ ცნობილი ქორეოგრაფი და მსახიობია. ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული თეატრალური პრემიის, ჰელენ ჰეის სახელობის პრემიის ორგზის მფლობელი. ამერიკის ისტორიაში ამ პრემიით ზედიზედ 2 წლის განმავლობაში დაჯილდოვებული არავინ ყოფილა. ეს პატივი მხოლოდ ირინა ციქურიშვილს ხვდა წილად სპექტაკლების "ფაუსტისა" და "იდიოტის" ქორეოგრაფიისათვის.

ახლა კი ირაკლი კავსაძეს მინდა შევახვედრო მკითხველი, ანუ მაყურებელი რომელსაც თავისი საყვარელი ახალგაზრდა მსახიობი აგერ უკვე მეორე სეზონია რუსთაველის თეატრის სსპექტაკლებში აღარ უნახავს",

*- სამი წლის წინ პირველად ჩამოვედი ამერიკაში, რამოდენიმე კვირით. აეროპორტში კინორეჟისორი გიო მგელაძე დამხვდა. ერთმანეთის მოკითხვის მერე პირველი, რაც მითხრა ეს იყო, იცი აქ ვინ არის? პაატა ციქურიშვილიო...იცოდა, რომ პაატა ჩემი სტუდენტობის დროინდელი მეგობარი იყო და რომ მე ის ისევ გერმანიაში მეგულებოდა. აი მაშინ შევხვდით ერთმანეთს და მაშინ შემომთავაზა პაატამ ამ თეატრში მეთამაშა. შემდეგ ისევ თბილისში დავბრუნდი და 1 წლის მერე აქ ჩამოვედი.*

მასიურ სცენებში მონაწილე ახალგაზრდები საუბარს გვაწყვეტინებენ და კიდევ ერთხელ ულოცავენ ირაკლის, ის კი თავის მხრივ მადლობას უხდის და ემშვიდობება.

*- იცი გასაოცარი ენთუზიზმი გამოიჩინეს ამ სპექტაკლზე მუშაობისას, წარმოიდგინე მასიურ სცენებში არიან დაკავებულნი, გასამრჯელოც ძალიან ცოტა აქვთ და ჩვენსავით გვიან ღამემდე თავგანწირულად კი მუშაობდნენ ხოლმე, ძალიან მოსწონთ ქართული ცეკვა და მუსიკა.*

და აი, როგორც იქნა ამ დღესასწაულის მთავარი "გმირი" თავად პაატაც გათავისუფლდა მეგობრებისა და გულშემატკივარების მილოცვებისა და შეკითხვებისაგან და ჩვენთვისაც მოიცალა. და სანამ პაატას დავუთმობ ასპარეზს მის შესახებ ცოტას მოგიყვებით.

დაამთავრა თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი, ამირან შალიკაშვილის ჯგუფი. მუშაობდა პანტომიმის თეატრში. 1991 წლიდან გერმანიის ქალქ საარბრუკენის მიმოდრამის თეატრის თანადამაარსებელი და მსახიობია. არაერთი საქებარი სტყვებით გამოხმაურებია მის შემოქმედებას გერმანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის თუ რუსეთის პრესა, არაერთი ჯილდოს მფლობელია, მათ შორისაა მიმოდრამის საუკეთესო მსახიობის ტიტული 1986 წელს. 1996 წლის ბოლოდან უკვე ამერიკაშია. 1997 წელს ანდრეი მალაევ-აბელთან ერთად ვაშინგტონში სტანისლავსკის სახელობის სტუდიას აარსებს. იგი მალაევთან ერთად დგამს და თამაშობს მთავარ როლებს "პატარა ტრაგედიებში", "ფაუსტში", "კაშტანკაში", "დონ კიხოტში", "იდიოტში", "ძალად ექიმში", "ჩრდილში". თავის მეუღლესთან ერთად აარსებს სინთეზის თეატრს და დგამს "ჰამლეტს", რომელიც ამერიკის ყველაზე მკაცრი კრიტიკოსებისა და პრესტიჟული გაზეთების აღტაცებულ რეცენზიებს იმსახურებს.

*- ირინას მშობლები უკვე აქ ცხოვრობდნენ, როცა ჩვენ გერმანიიდან გადმოვედით. მართალი გითხრა, ვცადე მეფიქრა სხვა პროფესიაზე, მაგრამ ვერ შევძელი, და ვაგრძელებდი ოცნებას თეატრზე. ვმუშაობდი კი ერთ-ერთ რუსულ რესტორანში, ვირჯინიაში. ერთხელ, როცა მე და ირინა იქ ნომერს ვასრულებდით, ჩემთან რუსეთიდან ემიგრირებული მსახიობი მოვიდა და მკითხა, ჩვენთან, ვირჯინიის თეატრში ხომ არ ითამაშებდიო. მე მაშინვე დავთანხმდი და ასე მოვხვდი თეატრში. იქ მერე "კაშტანკას" დადგმა შემომთავაზეს და მეც დავდგი, სწორედ იქ გავიცანი ანდრეი მალაევ-ბაბელი. ისიც თავისი თეატრის შექმნაზე ოცნებობდა. მერე ეს თეატრი - სტანისლავსკის სახელობის სტუდია დავაარსეთ. თავიდან ერთად ვდგამდით, ახლა კი გავიყავით. ბევრს ვჩხუბობდით, ვკამათობდით, ძალიან ძნელია ორი რეჟისორი ერთად, მაგარამ რეპეტიციის გარეთ კარგი ურთიერთობა გვაქვს. ახლა მე სინთეზის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვარ და სპექტაკლებსაც დამოუკიდებლად ვდგამ. ჩვენი თეატრი არაკომერციული, არამომგებიანი ორგანიზაციაა, როგორც აქ ეძახიან ასეთ თეატრებს. იგი შემოწირულობებისა და გრანტების ხარჯზე არსებობს. მას 15 კაცისაგან შემდგარი დირექტორთა საბჭო განაგებს, ამ საბჭოს თავმჯდომარე ჯიმ პიკაკი თავად არის ჩვენი თეატრის ერთ-ერთი სპონსორი და თეატრისათვის შემოწირულობებისა და გრანტების მომპოვებელი. მას თავისი ბიზნესი, თავისი ვებ-გვერდი აქვს ინტერნეტში და მისთვის ძალიან პრესტიჟულია ჩვენი თეატრის მეცენატი იყოს, მისი გადასახადები ზუსტად იმდენივე თანხით მცირდება რამდენითაც თეატრს ეხმარება ხოლმე და რაც ყველაზე მთავარია, იგი დიდი თეატრალია. მას შემდეგ რაც ჯილდოები მივიღეთ კიდევ უფრო მეტი სტიმული გაუჩნდა და აზარტში შევიდა. სულ ასე გვეუბნება, თეატრები აქ წლობით მუშაობენ და არათუ პრემიის მოპოვებას, ნომინაციაზე გასვლასაც ვერ ახერხებენ, თქვენ კიდევ პირველივე სპექტაკლით ნომინაციაზე გახვედით და სულ მალე პრემიაც მოიპოვეთო. შარშან, როცა 11 სექტემბრის შემდეგ თეატრი 2 კვირით გაჩერდა, ეს კი უზარმაზარი გარღვევა იყო ჩვენ ბიუჯეტში, ბატონი პიკაკი თეატრს 15 ათასი დოლარით დაეხმარა და დირექტორთა საბჭოს მოუწოდა სასწრაფოდ მოეზიდათ ფონდები. ბევრი გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი გვყავს უკვე. ისე არ გავა კვირა რომ კარებში შემოგდებული ერთი წერილი მაინც არ იყოს ამდაგვარი - "წარმატებებს გისურვებთ, მე თქვენ მიყვარხართ" და ბარათთან ერთად ხან 100, ხან 200 თუ 300 დოლარიანი ჩეკი დევს ხოლმე. ხშირად ხელს არც აწერენ ასეთ ბარათებს. ახლახან ასეთი ფაქტიც მოხდა, წერილი მივიღეთ, "თეატრის დიდი მოყვარული ვარ — წერდა ავტორი, მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ და ბევრი სპექტაკლი მინახავს მაგრამ თქვენი "ჰამლეტის" მსგავსი არსად არაფერი მინახავსო. ახლა მხოლოდ 1000 დოლარი შემიძლია თეატრს მივცე. გთხოვთ ნება დამრთოთ, თქვენი თეატრისათვის ფონდების მოზიდვის საბჭო დავაარსოო. ამ წერილის ავტორი ბატონი ჰაუ მალვიჩი დღესდღეობით ჩვენი თეატრის განვითარების კომიტეტს ხელმძღვანელობს. დიდი ხანია ვოცნებობდი "სტუმარ-მასპინძლის" დადგმაზე და სულ იმას ვფიქრობდი, ნეტა ვინ შესძლებს ამ პოემის ინგლისურად თარგმნას-თქო. თბილისშიც დავურეკე ახლობლებს, ბატონ კახისაც ვკითხე რჩევა. ერთ დღეს მოდის ანდრეი თეატრში და შორიდან მეუბნება შენთვის სიურპრიზი მაქვსო და წიგნს მიჩვენებს, მაშინვე გულმა რეჩხი მიყო და გავძახე, ეგ რა ვაჟა-ფშაველაა ინგლისურადთქო? თავი დამიქნია და მეც სიხარულისაგან ყვირილი დავიწყე, ვაშინგტონის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა. დევიდ რაიფილდს უთარგმნია რამოდენიმე ათეული წლის წინ. თუ გახსოვთ "სტუმარ-მასპინძელი" ჩემმა პედაგოგმა ამირან შალიკაშვილმა დადგა ბრწყინვალედ, მეც ვთამაშობდი, ოღონდ ეს გახლდათ პანტომიმის ჟანრში. ის თავის საქმეში მსოფლიო მასშტაბის მეტრია და მე სწორედ მას უნდა ვუმადლოდე თუკი რამეს მივაღწიე ამ სფეროში. ძალიან დიდი სკოლაა ჩემთვის რობერტ სტურუას სპექტაკლები.*

ჩვენი საუბარი წყდება, რადგან პაატას კვლავ ეძახიან, მის გარეშე ხომ თეატრში არაფერი წყდება.

ვაშინგტონის სტანისლავსკის სახელობის სტუდიის "სინეტიკ თეატრში" "სტუმარ-მასპინძელს" 22 დეკემბრამდე ითამაშებენ. მერე ანდრეი მალაევ-ბაბელი ჩეხოვის "თოლიას" დადგამს, რის შემდეგაც პაატა ციქურიშვილი ოსკარ უაილდის "სალომეს" განახორციელებს. თეატრის სამომავლო გეგმაში "ვეფხისტყაოსანიცაა"

თეატრი ვაშინგტონის ცენტრში, მე-18 და მე-19 ქუჩებს შორის, ეკლესიის ქუჩაზე მდებარეობს, პატარა მყუდრო დარბაზით და ასევე პატარა ფოიეთი, რომლის ერთ კუთხეში იმ დღეს კიდევ ერთი ქართველი ხელოვანის, ქეთი გაბუნის "პრემიერა" შედგა. აქ მისი გაკეთებული ყელსაბამები იყო გამოფენილი.

უჩვეულოდ ლამაზი, ორიგინალური, სრულიად სხვადასხვა მასალით შესრულებული ყელსაბამები არც ქალბატონებს და არც ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ტოვებდა გულგრილს. სპექტაკლის დაწყებამდე ერთი საათით ადრე შეკრებილი საზოგადოება ხელოვნების ამ ნიმუშებით ტკბებოდა და ყველა მაშინვე ავტორს კითხულობდა. ქეთი გაბუნია უკვე 10 წელია რაც ამერიკაში ცხოვრობს, იგი რადიოსადგურ ამერიკის ხმის მენეჯერი გახლავთ. მისი მეუღლე, მამა მიქაელი (მიხეილ ფოფხაძე) ვაშინგტონის მართლმადიდებლური ეკლესიის ქართული მრევლის საყრდენი და ნუგეშია.

ყველანი სასიამოვნოდ დაღლილები ვართ, პრემიერის შემდეგ გამართული ქართული ღვინით დამშვენებული მილებაც დამთავრდა. გვიანი ღამეა, თეატრში ქართველები შემოვრჩით და აი ბატონი გოგი მესხიშვილი კიდევ ერთხელ უახლოვდება ქეთის ნამუშევრებს, დიდი ინტერესით ათვალიერებს, "მართლა ძალიან მომწონს" - ამბობს ის, მაგრამ ახლა უკვე უნდა წავიდე, ხვალ ადრიანად მივფრინავ მოსკოვში. იგი თავისი შემდეგი ნამუშევრის პრემიერაზე დასასწრებად მიემგზავრება მოსკოვში. რობერტ სტურუას ახალი სპექტაკლის, "კრეპის უკანასკნელი ფირის" პრემიერა ორ დღეში გაიმართება კალიაგინის თეატრ "ეტ სეტერაში". ბატონებთან სტურუასთან და კალიაგინთან ჩემ გადაღებულ ფოტოებს ვატან და ვემშვიდობები. ქართველების სიძეს, მაიკლ ბარნაბას მანქანაში ვუსხდებით. ის მადლობას გვიხდის სპექტაკლით მიღებული სიამოვნებისათვის და ახლა მოსკოვში რას დგამენ ქართველებიო, ამით ინტერესდება" და ჩვენც ქართული თეატრალური ხელოვნების წარსულ თუ მომავალ გამარჯვებებზე ვყვებით.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

ხალხის პირისპირ

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?






# ჩვენი მეკავშირე

## ამერიკელი "ისლამის მხედარი" რუს ჯარისკაცებს თავებს აჭრიდა და თან გფბ-ს ემსახურებოდა

ევგენი ბაი, ვაშინგტონი
გაზეთი „იზვესტია"

**"ეს კაცი საშიშია. ის ტრაბახობს იმით, რომ ჩეჩნეთში რუსებს კლავდა,- გამაფრთხილეს ამერიკელმა კოლეგებმა - თუ მასთან შესახვედრად წახვალ, თან ვინმე წაიყვანე, ეცადე, შეხვედრა ხალხმრავალ ადგილას შედგეს."** დიდი მცდელობის შემდეგ მისი ბალტიმორის სახლის ტელეფონი გავიგე. ჩემთან ლაპარაკი არ ისურვა .

ადამიანს, ვისთან დაკავშირებასაც ვცდილობდი, *აუკეი კოლინზი* ჰქვია. ის აშშ-ს მოქალაქეა და დაბადებულია ჰავაიზე. 28 წლისაა, 8 წელი გაატარა ავღანეთში, ქაბულში, კოსოვოში და ბოლოს ჩეჩნეთში. კოლინზი პროფესიონალი "ისლამის მებრძოლია", ჩეჩნეთში მას აბუ მუჯაჰედის სახელით იცნობდნენ.

### მისი ჯიჰადი

15 წლის ასაკში კოლინზი, სან-დიეგოს ქუჩური ბანდის წევრი, წარუმატებელი ძარცვის შემდეგ არასრულწლოვანთა ციხეში მოხვდა. იქ მან ყურანი წაიკითხა. იგი წიგნმა მოხიბლა, ისლამი მიიღო, დღეში ხუთჯერ ლოცულობდა, მიატოვა სიგარეტის მოწევა და სმა. გათავისუფლების შემდეგ მეჩეთშიც დაიწყო სიარული, მაგრამ "მუსულმან პაციფისტებზე" გული მალე აუცრუვდა. მას ისლამის იდეალებისთვის შეიარაღებული ბრძოლა სურდა, რომლის უმაღლესი გამოვლინება იყო ჯიჰადი. 1993 წელს პაკისტანში გაემგზავრა და მოჯაჰედებს შეუერთდა. მათ ის ჯერ ქაშმირის სამხედროთა ბანაკში გააგზავნეს, შემდეგ კი - ავღანეთში, სადაც ოსამა ბინ ლადენის ხელქვეითის *ხალიდ ბინ ვხალიდის რაზმში მოხვდა*

ახლადგამომცხვარი "ისლამის მებრძოლი" ავღანეთიდან კოსოვოში, სერბებთან საომრად მიდის, შემდეგ კი ჩეჩნეთში.

როდესაც ნათელი გახდა, რომ ის რუს ჟურნალისტებთან არ ილაპარაკებდა, დასახმარებლად ერთ კოლეგას მივმართე, რომელიც უაქცენტოდ ლაპარაკობს. საუბარი დიდხანს გრძელდებოდა - მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს გთავაზობთ:

***- რომელ ჩეჩენ საველე მეთაურთან იბრძოდით?***

- მე ვიბრძოდი ხატაბის მეთაურობით, რომელიც უცხოელ მოხალისეებს ხელმძღვანელობდა; ვიცნობდი ბასაევს, შევხვედრივარ სხვა საველე მეთაურებსაც. მასხადოვს არ შევხვედრივარ, ის ყოველთვის სადღაც იყო. ვფიქრობ, ის სიტუაციას არ აკონტროლებს.

***- ვინ აკონტროლებს?***

- საველე მეთაურები. ბასაევს დიდი გავლენა აქვს. იმ დროს იქ სხვა გავლენიანი მეთაურიც იყო - ალაუდინი. ის წყვეტდა, სად ჩაეტარებინათ ოპერაცია და როგორ გაეგრძელებინათ ომი.

***- რამდენად დიდი იყო ხატაბის ჯგუფი?***

- 1995-1996 წლებში 40-მდე არაბისგან შედგებოდა, ისინი მან თან მოიყვანა; იყვნენ სხვა ქვეყნებიდანაც - რამდენიმე ჩინელი - მუსულმანური პროვინციებიდან, რამდენიმე ევროპელი, გერმანელები, ბრიტანელები. სულ, დაახლოებით, 200 კაცამდე. ყველა ხატაბს ემორჩილებოდა, ხატაბი კი - ბასაევს.

***- როგორი საბრძოლო დავალებები გქონდათ?***

- მე მონადირე-მკვლელთა ჯგუფის წევრი ვიყავი, სადაც 15 კაცზე მეტი არასდროს იყო. მთელ დროს სამიზნეს ძებნაში ვატარებდით, არ გვჭირდებოდა განსაკუთრებული ორგანიზება, იმისთვის, რომ რუსებისთვის ზიანი მიგვეყენებინა.

***- გინდათ ჩეჩნეთში ისევ დაბრუნება?***

- მე იქ სექტემბრის ბოლოს ვაპირებდი გამგზავრებას, მაგრამ სიტუაცია დაიძაბა. ზოგი ჟურნალისტი ჩეჩნეთში ჩრდილოეთიდან იპარება- რუსეთის ტერიტორიიდან. მე, გარკვეული მიზეზების გამო, ასე ვერ მოვიქცევი. ეს გზა უსაფრთხო არც საქართველოდანაა.

კოლინზი ამ ინტერვიუს დროს გულდასმით არჩევდა სიტყვებს. თავის წიგნში ***"ჩემი ჯიჰადი",*** რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გამოქვეყნდა, ის უფრო გახსნილად მსჯელობს. ეს, ალბათ, ამერიკელი რედაქტორების დამსახურებაცაა, რომლებიც ხვდებოდნენ, რომ ბოევიკის აღსარება ბესტსელერი გახდებოდა. წიგნში კოლინზი იხსენებს ერთ-ერთ რეიდს, როდესაც "მონადირე მკვლელთა" ჯგუფი თავს დაესხა რუსი ჯარისკაცების ყაზარმას. **"იქ მე ერთი ხანშიშესული, ნაღვლიანი ჯარისკაცი ვნახე,** - წერს ავტორი - **მის ირგვლივ სიგარეტის ნამწვავები, არყის ცარიელი ბოთლები და საჭმლის ნარჩენები ეყარა, ლოგინიდან ადგომაც ვერ მოასწრო - თავი გადავუწიე , თვალებში ჩავხედე და ყელი გამოვჭერი".**

### ისლამის მებრძოლი გფბ-დან

#### (ისტორიის მეორე ნაწილი)

ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე ტერორისტული თავდასხმიდან ცოტა ხანში, დაახლოებით, გასული წლის ბოლოს ამერიკული პრესა წერდა , რომ გფბ-ს აგენტი, არიზონას შტატის ქალაქ ფენიქსიდან, ტრაგედიამდე ორი თვით ადრე იძლეოდა გაფრთხილებას, რომ მუსულმანი ექსტრემისტები სამოქალაქო ლაინერებთან დაკავშირებით რაღაც აქციას ამზადებენ. გაზეთები წერდნენ: სპეცსამსახურები სერიოზულად არ მოეკიდნენ ამ აგენტის მიერ გადაცემულ იმ ინფორმაციასაც, რომ ბევრი მუსულმანი აქტივისტი ამერიკის საზაფხულო სკოლაში გადიოდა მომზადებას. ეს მონაცემები პასუხისმგებელ პირებს დროულად რომ მიეღოთ, შესაძლებელი იქნებოდა11 სექტემბრის ტრაგედიის თავიდან აცილება .

ამ აგენტის სახელი დიდ ხანს იყო გასაიდუმლოებული. ახლახანღა გაირკვა, რომ ეს იყო *აუკეი კოლინზი.*

დიახ, ასე აღმოჩნდა - პირველ და მეორე ჩეჩნურ ომში მონაწილეობისას (1995-1996 და 1999 წლებში) პროფესიონალი "ბოევიკი" ცსს-ს და გფბ-ს უმნიშვნელოვანესი აგენტი ყოფილა. სწორედ, მათი ბრძანებით შევიდა იგი არიზონას შტატში რამდენიმე ისლამურ რადიკალურ ორგანიზაციაში . მანვე შეატყობინა პირველმა აშშ-ს სპეცსამსახურებს ვინმე *ჰანი ჰენჟურის* სახელი, რომელიც 11 სექტემბერს ერთ-ერთი თვითმფრინავის შტურვალთან იჯდა.

ცსს-სა და გფბ-თვის "ისლამის მეომარი" ფასეული აგენტი იყო. ის დაახლოებული იყო *შეიხ აჰმედ ომარ საიდთან,* ოსამა ბინ ლადენის ერთ-ერთ ხელქვეითთან (ამერიკული გაზეთის "უოლსტრიტ ჯორნელის" რეპორტიორის - დენიელ პერლის მკვლელი). კოლინზს ურთიერთობა ჰქონდა ბინ ლადენის სხვა თანაშემწესთან - აბუ *ამინთანაც* .

იმის შესახებ, თუ რატომ დაიწყო სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა, კოლინზი სიტყვაძუნწობას იჩენს. მხოლოდ იმას ამბობს, რომ ბინ ლადენმა და მისმა მომხრეებმა იმედი გაუცრუეს. **"მშიშრები არიან, თვითონ არც ერთი წუთი არ უომიათ, სამოქალაქო პირებს ებრძვიან და ამას ჯიჰადს ეძახიან,"-** ამბობს კოლინზი. შესაძლოა, მიზეზი უფრო პროზაულიც იყოს - გფბ თავის ინფორმატორს თვეში 2500 დოლარს დაჰპირდა- არცთუ ცუდი ხელფასია საეჭვო წარსულის მქონე მებრძოლისთვის, რომელიც ჩეჩნეთის ომის შემდეგ დაინვალიდდა - ნაღმზე აფეთქებისას მარჯვენა ფეხი დაკარგა.

თუმცა, კოლინზი სპეცსამსახურებთან თანამშომლობამაც გააწბილა. მისი თქმით, მათ უყურადღებოდ დატოვეს ფენიქსში ისლამისტების საქმიანობის შესახებ მისგან გადაცემული ინფორმაცია; ცსს-მ ბენ ლადენთან მის შეგზავნაზეც უარი განაცხადა. კოლინზი ამერიკელ ოფიცრებს ჯამბაზებს და ზარმაც იდიოტებს უწოდებს. მისი სიტყვებით, ის ტერორისტად და ფსიქოპატად მონათლეს, და ახლა სასამართლოში ჩივილს აპირებს.

### ბოლოთქმის ნაცვლად

უცნაური ამბავია - აშშ-ში ვიღაც ისლამისტებს უბრალო ეჭვის საფუძველზე ციხეში სვამენ, ამ დროს კი კონკრეტული მებრძოლი ღიად აცხადებს თავს ჯიჰადის მეომრად. ამერიკა რუსეთს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში პარტნიორობას სთავაზობს (ტერორისტთა სიებში ჩეჩნური ორგანიზაციების შეტანას აპირებს), ხოლო აშშ-ს მოქალაქე ღიად ტრაბახობს, რომ ტერორისტი ბასაევის მეთაურობით ჩეჩნეთში რუს სამხედროებს კლავდა. შესაძლოა, მას ცსს-თან და გფბ-თან თანამშრომლობის გამო ინდულგენციაც მისცეს.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ჩემი მიმართვა უპასუხოდ დატოვა. პირად საუბარში კი ერთმა ამერიკელმა დიპლომატმა მითხრა, რომ **მისი უწყება არასდროს აკეთებს კომენტარს იმ პირთა შესახებ, ვინც როდესმე სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა.** კომენტარზე ცსს-ს დსა გფბ-ს წარმომადგენლებმაც უარი თქვეს , თუმცა მანამდე გფბ-მ კოლინზის ფასიანი აგენტობა აღიარა. **"ეს გფბ-ს ჩვეულებრივი პრაქტიკაა, -** მითხრა ამ სამსახურის ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა ოფიცერმა,- **თუ ბიუროს სჭირდება აგენტურული მონაცემები, ფულით ნებისმიერი დამნაშავის მოსყიდვა შეუძლია . შემდეგ, როდესაც ის საშიში ხდება, "შავ სიაში" შეჰყავთ და სანაგვეზე აგდებენ. ანგარიშსწორება მხოლოდ ნაღდი ფულით ხდება - არავინაა არავის წინაშე ვალდებული, თამაში დამთავრებულია. ასე იყო და ასე იქნება,"-** დასძინა მან.

# სსრკ-ს და რუსეთის სპეცსამსახურები

## სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი К Г Б

*მკითხველის დიდი ინტერესის გათვალისწინებით, გაზეთ "24 საათის" რუბრიკა "სპეცსამსახურები" იწყებს მასალების გამოქვეყნებას მსოფლიოს ერთ–ერთი ყველაზე ცნობილი და სახელგანთქმული უწყების - ყოფილი სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და მისი სამართალმემკვიდრე ქვეყნის - რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სპეცსამსახურების შესახებ. აღნიშნულ თემატიკაზე "24 საათის" რამდენიმე ნომერში გამოქვეყნდება მასალები.*

### სსრკ–ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განვითარების ისტორიული ეტაპები

***სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია (ВЧК)***

1917 წლის 20 დეკემბერს რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან ბრძოლის მიზნით, საბჭოთა რუსეთში შეიქმნა **სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია**. კომისიის ხელმძღვანელად დაინიშნა ფ.ე. ძერჟინსკი. მან ამ თანამდებობაზე 1922 წლის 6 თებერვლამდე დაჰყო. 1918 წლის ივლის-აგვისტოში ძერჟინსკის მოვალეობას დროებით ასრულებდა ი.ხ. პეტერსი.

***სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო (ГПУ)/ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო – (ОГП)***

1922 წლის 6 თებერვალს მიღებულ იქნა დადგენილება **სრულიად რუსეთის საგანგები კომისიის** გაუქმების და მის ადგილზე **სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს** შექმნის შესახებ, ხოლო 1923 წელს სსრკ-ს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, ამ სტრუქტურის პარალელურად, შექმნა **გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო.** ორივე სტრუქტურას სიცოცხლის ბოლომდე (1926 წლის 20 ივლისამდე) ფელიქს ძერჟინსკი ხელმძღვანელობდა. მისი მემკვიდრე გახდა **ვ.რ. მენჟინსკი,** რომელიც ამ თანამდებობაზე 1934 წლამდე იყო.

***შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (НКВД)***

1934 წლის ივლისში სსრკ-ს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოები შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში შევიდნენ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გახდა **გ.გ. იაგოდა,** რომელიც ამ სტრუქტურას 1936 წლამდე მეთაურობდა. 1936-38 წლებში ამ თანამდებობაზე იყო **ნ. ი. ეჟოვი,** ხოლო 1938-1945 წლებში კი შინაგან საქმეთა სახლხო კომისარიატს **ლ.პ. ბერია** ედგა სათავეში.

***სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი (НКГБ)***

1941 წლის თებერვალში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გაიყო ორ დამოუკიდებელ სტრუქტურად: სსრკ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატად და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატად. შინაგან საქმეთა კომისრად დარჩა ლ.პ. ბერია, ხოლო სახელმწიფო უშიშროების კომისარიატს სათავეში ჩაუდგა **ვ.ნ. მერკულოვი.** 1941 წლის ივლისში ეს ორი სტრუქტურა კვლავ გაერთიანდა შინაგან საქმეთა კომსირიატის სახელით. 1943 წელს ისევ გაიყო და უშიშროების კომისარიატს კვლავ მერკულოვი ჩაუდგა სათავეში.

***სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო (МГБ)***

1946 წ. სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდ გარდაიქმნა. მინისტრად დაინიშნა **ვ.ს. აბაკუმოვი.** 1951-53 სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძვანელი იყო **ს.დ. იგნატიევი.** 1953 წლის მარტში შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები გაერთიანდა. ერთიან უწყებას სსრკ-ს შინაგან საქმეთა სამინისტრო ეწოდა. მის ხელმძღვანელად **ს.ნ. კრუგლოვი** დაინიშნა.

***სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (КГБ)***

1954 წლის 13 მარტს სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს დაექვემდებარა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. 1954-58 წლებში კომიტეტის თავმჯდომარე იყო **ი.ა. სეროვი.** 1958-61 წწ. - **ა.ნ. შელეპინი.** 1961-67 წწ. – **ვ.ე. სემიჩასტნი,** ხოლო 1967-82 წწ. - **ი.ვ. ანდროპოვი.**

1982 წლის მაისიდან დეკემბრამდე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს ხელმძღვანელობდა **ვ.ვ. ფიოდორჩუკი,** 1982-88 წწ. - **ვ.მ. ჩებრიკოვი,** 1988 წლიდან 1991 წლის აგვისტომდე - **ვ.ა. კრუჩკოვი,** 1991 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე კი - **ვ.ვ. ბაკატინი.**

1991 წლის 3 დეკემბერს სსრკ-ს პრეზიდენტმა მ.ს. გორბაჩოვმა ხელი მოაწერა კანონს, "სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ." კანონის შებამისად, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი გაუქმდა და მის ბაზაზე შეიქმნა რესპუბლიკათაშორისი უშიშროების სამსახური და სსრკ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახური (დღევანდელი საგარეო დაზვერვის სამსახური - **СВР)**

***რსფსრ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (КГБ РСФСР)***

1991 წლის 6 მაისს რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბ.ნ. ელცინმა და სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ კრუჩკოვმა ხელი მოაწერეს პროტოკოლს რუსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შექმნის შესახებ, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა **ვ.ვ. ივანენკო.**

***ფედერალური უშიშროების სააგენტო (АФБ)***

1991 წლის 26 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბ.ნ. ელცინმა ხელი მოაწერა კანონს რსფსრ-ს უშიშროების კომიტეტის გარდაქმნის და მის ნაცვლად ფედერალური უშიშროების სააგენტოს შექმნის თაობაზე. სააგენტოს სათავეში ჩაუდგა - **ვ.ვ. ივანენკო.**

***უშიშროების სამინისტრო (МБ)***

1992 წლის 24 იანვარს უშიშროების ფედერალუირი სააგენტოს ბაზაზე შეიქმნა რისეთის ფედერაციის უშიშროების სამინიტრო. მინისტრად კი **ვ.პ. ბარანიკოვი** დაინიშნა. 1993 წლის ივნისიდან დეკემბრამდე ამ სტრუქტურას **ნ.მ გოლუშკო** ხელმძღვანელობდა.



*სუკ-ის შტაბბინა მოსკოვში, ლიუბიანკაზე*

***კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახური (ФСК)***

1993 წლის დეკემბერში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბ. ელცინმა გააუქმა უშიშროების სამინიტრო და მის ნაცვლად კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახური შექმნა. სამსახურის დირექტორად დაინიშნა ნ.მ. გოლუშკო, ხოლო 1994 წელს მისი ადგილი **ს.ვ. სტეპაშინმა** დაიკავა.

***ფედერალური უშიშროების სამსახური (ФСБ)***

1995 წლის 3 აპრილს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ. ელცინის ბრძანებულებით, კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის ნაცვლად შეიქმნა ფედერალური უშიშროების სამსახური, რომლის დირექტორებიც იყვნენ: 1995-96 წწ. - **მ.ი. ბარსუკოვი,** 1996-98 წწ - **ნ.დ. კოვალიოვი,** 1998-99 წწ. **ვ.ვ. პუტინი,** ხოლო 1999 წლიდან დღემდე - **ნ.პ. პატრუშევი.**

### სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სტრუქტურა

*(ბრიტანეთის დაზვერვის მხარეზე გადასული პოლკოვნიკ გორდიევსკის მონაცემებით)*

***მთავარი სამმართველოები***

პირველი (დაზვერვა)
მეორე (შიდა უსაფრთხოება და კონტრდაზვერვა)
სასაზღვრო ჯარები
მერვე (კავშირის და შიფრების სამსახური)

***სამმართველოები***

მესამე (სამხედრო კონტრდაზვერვა)
მეხუთე (პოლიტიკური საკითხები და იდეოლოგია)
მეექვსე (ეკონომიკური კონტრდაზვერვა და სამრეწველო უსაფრთხოება)
მეშვიდე (გარე მეთვალყურეობა)
მეცხრე (სამთავრობო დაცვა)
ოპერატიულ-ტექნიკური (ოტუ)
მეთხუთმეტე (სახელმწიფო ობიექტების დაცვა)
მეთექვსმეტე (რადიოგადაჭერა და ელექტრონული დაზვერვა)
სამხედრო ობიექტების მშენებლობა

***განყოფილებები და სამსახურები***

საგამოძიებო განყოფილება
სამთავრობო კავშირი
უშიშროების კომიტეტის უმაღლესი სკოლა
მეექვსე განყოფილება (გადაჭერა და კორესპონდენციების ლუსტრაცია)
მეთორმეტე განყოფილება (მოსმენები)

### სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი მთავარი სამმართველოს სტრუქტურა

საგარეო დაზვერვა უშიშროების კომიტეტის არსებობის დროსაც, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ ორგანიზაციას წარმოადგენდა და ეს უწყება სხვა ადგილას იყო განთავსებული. ***იასენევო*** - ასე ჰქვია იმ ადგილს, სადაც პირველი მთავარი სამმართველოს და დღევანდელი საგარეო დაზვერვის სამსახურის შტაბ-ბინაა განლაგებული. მზვერავები კი ამ ადგილს, უბრალოდ - "ტყეს" უწოდებენ. ითვლებოდა, რომ დაზვერვის ოფიცრები უშიშროების დანარჩენი თანამშრომლებისგან მაღალი ინტელექტით და არსებული პოლიტიკური წყობისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ.

***სამმართველოები და სამსახურები***

– სამმართველო "რ" (ოპერატიული დაგეგმვა და ანალიზი);
– სამმართველო "კ" (საგარეო კონტრდაზვერვა);
– სამმართველო "ს" (არალეგალები);
– სამმართველო "ტ" (სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვა);
– სადაზვერვო ინფორმაციის სამმართველო (შეფასება და ანალიზი);
– სამმართველო "რტ" (სსრკ-ს ტერიტორიებზე ოპერაციების ჩატარება);
– სამმართველო "ოტ" (ოპერატიულ-ტექნიკური სამსახური);
– სამმართველო "ი" (კომპიუტერული სამსახური);
– სამსახური "ა" (დეზინფორმაცია, საიდუმლო ოპერაციები);
– სამსახური "რ" (რადიოკავშირი);
– სამსახური "ა" მერვე სამმართველო (შიფრები);
– ელექტრონული დაზვერვა;

***განყოფილებები***

– აშშ, კანადა;
– ლათინური ამერიკა;
– დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, აფრიკა, ახალი ზელანდია, სკანდინავია;
– აღმ. გერმანია, დას. გერმანია, ავსტრია;
– ბენილუქსის ქვეყნები, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, შვეიცარია, საბერძნეთი, იტალია, იუგოსლავია, ალბანეთი, რუმინეთი;
– ჩინეთი, ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა, ჩრდ. კორეა;
– ტაილანდი, ინდონეზია, იაპონია, მალაიზია, სინგაპური, ფილიპინები;
– ახლო აღმოსავლეთის არაარაბული ქვეყნები, ავღანეთი, ირანი" ისრაელი, თურქეთი;
– აფრიკის ფრანგულენოვანი ქვეყნები;
– სოციალისტურ ქვეყნებთან კონტაქტები;
– რეგისტრაცია და არქივი;
– ელექტრონული ინფორმაციის დაჭერა და ოპერაციები დასავლეთის ქვეყნების შიფრსამსახურების წინააღმდეგ;
– ინდოეთი, შრი-ლანკა, პაკისტანი, ნეპალი, ბანგლადეში, ბირმა;
– ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნები და ეგვიპტე;
– ემიგრაცია;
– კონტაქტები განვითარებულ ქვეყნებთან;

### სუკი-ს იმ ოფიცრების სია, ვინც უცხოეთის მხარეზე გადავიდა

***ფინეთში საბჭოთა დაზვერვის თანამშრომელი ა. სმირნოვი -*** 1922 წლის დასაწყისში ერთ-ერთი პირველი საბჭოთა არალეგალი უცხოეთში . "სამსახურის" დროს შეიტყო, რომ მისი უმცროსი ძმა იმის გამო დახვრიტეს, რომ ის ორგანიზაცია "ეკონომიკური მავნებლების" წევრი იყო. მისი დედა და მეორე ძმა კი ბრაზილიაში გაიქცნენ. ამის შემდეგ მან ფინეთის მთავრობას მიმართა და ფინეთში ყველა მისთვის ცნობილი აგენტის ვინაობა გაცახადა. საბჭოთა სასამართლომ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, ფინეთის ხელისუფლებამ კი 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასჯელის მოხდის შემდეგ ის ბრაზილიაში გაემგზავრა ნათესავებთან.

***მშიფრავი ა. მილერი.*** 1927 წლის მაისში ინგლისელებმა კომერციულ ორგანიზაციაში აღწერა ჩაატარეს, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, საბჭოთა დაზვერვის "საფარი" იყო. ჩხრეკის დროს გაქრა დოკუმენტების ნაწილი და მშიფრავი. ერთ-ერთი ინგლისური მემარცხენე გაზეთის მეპატრონემ პარლამენტს მილერის თაობაზე მოთხოვნა გაუგზავნა, რაზეც უპასუხეს, რომ ამ საკითხის კვლავ წამოჭრა დიდი ბრიტანეთისთვის არასასურველია. ჩხრეკის შემდეგ გაშიფრული საბჭოთა დიპლომატიური მიმოწერის ნაწილი გადაგზავნილ იქნა, საბჭოთა რუსეთთან კი კავშირი განწყვიტეს. საბჭოთა კავშირმა დიდი ხარჯი გაიღო, რათა ინგლისში მთელი სადაზვერვო სისტემა შეეცვალა.

***სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საიდუმლო აგენტი ა. ბირგერი (მაქსიმოვი).*** სამოქალაქო ომის დროს არმიის სამეურნეო ნაწილის უფროსი იყო. ის ქონების მიტაცების გამო გაათავისუფლეს. ცოტა ხანში მისმა ბიძაშვილმა ბლიუმკინმა შემდეგ მოაწყო სამუშაოდ პოლიტიკურ სამმართველოში. მაქსიმოვი მიმაგრებული იყო სტალინის მდივან ბ. ბაჟანოვზე სათვალთვალოდ. მაგრამ ამის სანაცვლოდ, მან მასთან ერთად სპარსეთში გაქცევა არჩია. რაც 1928 წლის იანვარში განახორციელეს. უნდოდათ მათი მოკვლა, მაგრამ საფრანგეთში გაასწრეს. დაიღუპა 1935 წელს უცნაურ ვითარებაში - გადმოვარდა ეიფელის კოშკიდან.

***უცხოეთის განყოფილების რეზიდენტი ახლო აღმოსავლეთში ი. ბლიუმკინი.*** წარუმატებელი ესერული შეთქმულების შემდეგ, გამართლებულ იქნა ჩეკისტების მიერ. მას დაავალეს საერთაშორისო ჯაშუშობასთან მებრძოლი განყოფილების ხელმძღვანელობა. 1922 წლიდან მუშაობდა ტროცკის სამდივნოში. ბლიუმკინი ტროცკისთან კავშირს მისი შვილის მეშვეობით ინარჩუნებდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ბლიუმკინი ტროცკის აწოდებდა პოლიტიკური სამმართველოს სტამბულის რეზიდენტურის საიდუმლო მასალებს. დააპატიმრეს 1929 წელს და დახვრიტეს "პროლეტარული რევოლუციის ხელმეორედ ღალატისთვის."

***ნკვდ-ს არალეგალი ახლო აღმოსავლეთში გ. აგაბეკოვი.*** 1930 წლის იანვრის ბოლოს აგაბეკოვმა ინგლისის მთავრობას სტამბულში პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა, დაასახელა თავისი ნამდვილი სახელი, თანამდებობა და დაპირდა საიდუმლო ინფორმაციების გადაცემას. მისი დახმარებით 1930 წელს მხოლოდ ირანში დააპატიმრეს 400-ზე მეტი ადამიანი, მათგან 4 დახვრიტეს. აგაბეკოვმა გასცა მისთვის ცნობილი მთელი აგენტურული ქსელი, არა მხოლოდ ირანში, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში. მასზე ნადირობა 9 წელი გრძელდებოდა და 1938 წელს დასრულდა. მისი სიკვდილის ვითარება დღემდე უცნობია. დასავლეთში გავრცელებული ერთ-ერთი ვერსიით, ის საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე გადაჩეხეს უფსკრულში.

***რ. სვიტცი.*** მუშაობდა გენერალური შტაბის დაზვერვის მთავარ სამმართველოში (გრუ) 20-იანი წლების დასაწყისში. 1930 წელს იყო არალეგალი აშშ-ში. ამერიკელებს გადასცა საბჭოთა დაზვერვის ქსელი საფრანგეთში. სვიტციმ გამყიდველობა გამომჟღავნდა 1938 წელს, როდესაც ერთმა საბჭოთა არალეგალმა საფრანგეთში მიიღო ნებართვა ფრანგული დაზვერვის საიდუმლო დოსიეზე.

***ნკვდ-ს ხელმძღვანელი შორეულ აღმოსავლეთში, სახელმწიფო უსაფრთხოების III რანგის კომისარი გ. ლუშკოვი.*** იყო მაღალჩინოსანი ჩეკისტი, რომელსაც "წმენდის" შეეშინდა და გაიქცა საზღვარგარეთ. გადალახა სსრკ-ს სახელმწიფო საზღვარი და ჩაბარდა იაპონელებს. მან იაპონიის დაზვერვას გადასცა მონაცემები შორეული აღმოსავლეთის არმიაზე, მანჯურიაში აგენტურულ ქსელზე, რაიონების ეკონომიურ მდგომარეობაზე. იაპონელებმა გაავრცელეს ჭორები მისი ევროპაში გადასვლის შესახებ. ლუშკოვი გახდა იაპონიის მოქალაქე ***იამოგუჩი ტოსიკაძუ.*** როდესაც საბჭოთა სამხედროები მანჯურიის ტერიტორიაზე შევიდნენ, იაპონელებმა ლუშკოვს შესთავაზეს საკუთარი ნებით ეთქვათ უარი სიცოცხლეზე, მაგრამ მან უარი განაცხადა. ლუშკოვი მოკლული იქნა, ხოლო გვამი კრემირებული.

***გრუ-ს ოფიცერი ი. ახმედოვი.*** ერთ-ერთი მათგანი, ვინც დაზვერვის სამმართველოს უცხოურ რეზიდენტურებში წმენდას ატარებდა. 1940 წლის შემდეგ გახდა რეზიდენტი თურქეთში, ხოლო 1942 წლის მაისში მოულოდნელად გამოცხადდა თურქეთის პოლიციაში. განაცხადა, რომ სურს ჩაბარება, რადგან აღშფოთებულია სსრკ-ში ყირიმელი თათრებს მიმართ რეპრესიებით. ის თურქეთის პოლიციას მოუყვა ყველაფერს, რაც კი იცოდა გრუ-ს და ნკვდ-ს რეზიდენტურების შესახებ ანკარასა და სტამბულში. მოსკოვმა მისი გადაცემა მოითხოვა. მაგრამ თურქეთმა ახმედოვი გაგზავნა მარმარილოს ზღვაზე, პრინცის კუნძულებზე. ომის დასრულების შემდეგ მან მიიღო ისლამი. 1948 წელს კი აშშ-ში აღმოჩნდა. მუშაობდა ცსს-ს დაზვერვის სკოლაში კონსულტანტად. დაწერა წიგნი "თათრის გაქცევა წითელია დაზვერვიდან".

***ჯგუფ "წითელი კაპელას" აგენტი. რ. ბარტი (ბეკი).*** ბერლინური აგენტურული ქსელი "წითელი კაპელა" 30-იან წლებში ჩამოყალიბდა. 1942 წლის აგვისტოში მზვერავებმა მიიღეს შიფროგრამა ცენტრიდან, სადაც მითითებული იყო აგენტთა ზუსტი მისამართები. "კაპელას" რამდენიმე წევრი დაპატიმრებულ იქნა. მათ შორის ბეკიც. მან ვერ გაუძლო გესტაპოს წამებას და ღალატზე წავიდა. ბეკი აგრძელებდა გერმანელებზე მუშაობას ოკუპირებულ დასავლეთ ევროპაში. 1945 წლის გაზაფხულზე ის ამერიკელებთან მოხვდა, მათ კი ის ნკვდ-ს გადასცეს. 1945 წელს სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით ბეკი დახვრიტეს.

***გრუ-ს მშიფრავი ი. გუზენკო.*** პირველი ოფიცერი, რომელიც გერმანიის მხარეზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადავიდა. ის გააგზავნეს სამუშაოდ კანადაში. 1945 წლის აგვისტოში დააპირეს მისი გამოხმობა, მაგრამ ის არ წავიდა, მიმართა კანადური გაზეთის რედაქციას წინადადებით, მოეთხრო საბჭოთა ჯაშუშებზე კანადაში. მან გასცა ყველა საბჭოთა აგენტი. კანადის მთავრობამ მისთვის სპეციალური სამეფო პრემია დააწესა. სპეციალურად შექმნილმა კომისიამ კი გამოავლინა 14 ადამიანი, რომლებიც გრუ-ს აგენტურულ ქსელში შედიოდნენ. 9 მათგანი გაასამართლეს, მოსკოვი ცდილობდა, დაერწმუნებინა კანადა გუზენკოს გადაცემის აუცილებლობაში, მაგრამ ის კრემლს არ გადასცეს. 1982 წელს გუზენკო თავისი სიკვდილით გარდაიცვალა.

***გრუ-ს ოფიცერი ვ. შელაპეტინი*** დაიბადა თეატრის მსახიობის ოჯახში, სწავლობდა უცხო ენების სამხედრო ინსტიტუტში. ინსტიტუტში მიიღო მეტსახელი ***"ვასკა შელაპეტინი-ავანტიურისტი".***

1948 წელს დაასრულა სწავლა და პირველი მივლინებით ავსტრიაში გაემგზავრა. მას ავსტრია ისე მოეწონა, რომ დარჩენა გადაწყვიტა. 1949 წელს დაუკავშირდა ამერიკულ დაზვერვას, რომელსაც მისთვის ცნობილი აგენტების გვარები გადასცა. საბჭოთა კავშირში მას დაუსწრებლად გამოუტანეს დახვრეტის განაჩენი. 50-იანი წლების ბოლოს დაიწყო მუშაობა ინგლისური დაზვერვისთვის. 1952 წლის დეკემბერში მიიღო ინგლისის მოქალაქეობა და დოკუმენტები ვიქტორ გრეგორის სახელზე, გადავიდა ლონდონში და მიიღო სამსახური რადიო ბი-ბი-სი-ს რუსულ რედაქციაში, შემდეგ კი რადიო "თავისუფლებაში". 90-იანი წლების პენსიაზე გავიდა და ირლანდიაში დასახლდა.

***გრუ-ს პოდპოლკოვნიკი პ. პოპოვი.*** 1953 წელს დაიწყო თანამშრომლობა ცსს-სთან. იყო ცსს-ს პირველი აგენტი – "თხუნელა" სსრკ-ს სპეცსამსახურებში. 1951 წელს პოპოვი ვენაში მუშაობდა და ავსტრიელი ქალი შეუყვარდა. ეს სიყვარული მას, მატერიალური თვალსაზრისით, ძალიან ძვირი უჯდებოდა და გადაწყვიტა, ცსს-თან ეთანამშრომლა. პოპოვი ცსს-თვის მუშაობდა 1958 წლამდე. ამ ხნის მანძილზე ამერიკელებს გადასცა ინფორმაცია - გრუ-ს ავსტრიის აგენტურულ ქსელზე, ასევე საბჭოთა პოლიტიკაზე ავსტრიასა და აღმოსავლეთ გერმანიაში. 1958 წლის დეკემბერში საბჭოთა სპეცსამსახურებმა პოპოვი დააპატიმრეს. იგი აიძულეს ცსს-თან კონტაქტი აღედგინა, მაგრამ პოპოვმა ამერიკელების გაფრთხილება მოასწრო. 1960 წლის იანვარში ის გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს. დასავლეთის პრესა წერდა, რომ გრუ-ს სხვა თანამშრომლებთან ერთად, ის ცოცხლად დაწვეს კრემატორიუმის ღუმელში.

***არალეგალი, რადისტი პოდპოლკოვნიკი რ. რეინჰანენ (ჰაიჰა).*** 1951 წლიდან მუშაობდა ფინეთში, შემდეგ - აშშ-ში. დაწინდა 5000 დოლარი და საფრანგეთში მომდევნო მივლინების დროს ადგილობრივ ამერიკის საელჩოს ჩაბარდა. ამის შესახებ მან საბჭოთა აგენტ აბელს (ფიშერი) უამბო. იგი 1964 წელს გარდაიცვალა უცნაურ ვითარებაში. ცსს-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ის საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა.

***სამხედრო დაზვერვის არალეგალი მ. ფედორენკო (მოსტრო)*** მუშაობდა მექსიკაში, სადაც დაიწყო თანამშრომლობა ცსს-სთან - აშშ-ს საბჭოთა კოსმოსური პროგრამების მონაცემები გადასცა. ცსს-ს ფედორენკოს განსაკუთრებულად ფასეულ აგენტად თვლიდა. 1958 წელს ის მოსკოვში გაიწვიეს. ამბობენ, რომ ისიც კრემატორიუმის ღუმელში დაწვეს ცოცხლად.

***სამხედრო დაზვერვის თანამშრომელი პოლკოვნიკი ოლეგ პენკოვსკი*** 60-იან წლებში ინდოეთში მივლინებაში არ გაუშვეს, რადგან მამამისის თეთრგვარდიელობაზე კავშირი დამალა. პენკოვსკის თქმით, სწორედ ამან უბიძგა მას დასავლური დაზვერვის ორგანოებთან თანამშრომლობისკენ. 1961 წელს მან ხელშეკრულება დადო ამერიკის და ინგლისის მთავრობებთან თანამშრომლობაზე. ოფიციალური მონაცემებით, 1962 წლისთვის მან დასავლეთს 5 ათასი ფოტო და 7,5 ათასი ფურცელი საიდუმლო მასალა გადასცა. ეს იყო ინფორმაცია სსრკ-ს ბირთვული პროგრამის, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ხრუშჩოვის საგარეო პოლიტიკის გეგმების შესახებ. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, მესამე მსოფლიო ომი, სწორედ პენკოვსკის წყალობით არ დაიწყო. კარიბის კრიზისის დროს კენედიმ ყველა ის მონაცემი, რის შესახებაც არ გასცა ბრძანება, რადგან ზუსტად იცოდა, რომ სსრკ-ს პოტენციალი და არ სურს ომის დაწყება. 1962 წლის ოქტომბერში პენკოვსკი დააპატიმრეს და გაასამართლეს. ისიც კრემატორიუმში დაწვეს.

***სამხედრო დაზვერვის თანამშრომელი დიმიტრი პოლიაკოვი.*** მისი გადაბირების მიზეზი დღემდე უცნობია. თავად ამბობდა, რომ რისკი უყვარდა. 20 წლის მანძილზე მან გასცა 19 საბჭოთა არალეგალი მზვერავი, 150 უცხოელი აგენტი და, დაახლოებით, 1500 გრუ-ს და სუკ-ის ოფიცერი რუსეთში. მან გადასცა ინფორმაცია ჩინეთ-სსრკ-ს უთანხმოების შესახებ და ამერიკელებს საშუალება მისცა, ჩინეთთან ურთიერთობები გაეუმჯობესებინათ. მან ამერიკელებს გადასცა მასალები ახალი საბჭოთა შეიარაღების თაობაზე, რაც ამერიკელებს ერაყის სამხედრო ძალის შეფასებაში დაეხმარა, როდესაც ის 1991 წელს ერაყმა გამოიყენა. 1985 წელს პოლიაკოვი ცნობილმა ამერიკელმა "თხუნელამ" - ოლდრიჩ ეიმსმა გასცა. იგი 1986 წელს დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1988 წელს. მხოლოდ გორბაჩოვთან შეხვედრისას რონალდ რეიგანი შეეცადა, პოლიაკოვისთვის შეემსუბუქებინა განაჩენი, მაგრამ გორბაჩოვმა უპასუხა, რომ მისი "პროცესი" უკვე შემდგარა.

***გრუ-ს ოპერატიული ფოტოგრაფი და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების ფოტოგრაფიის მოხელე ნიკოლაი ჩერნოვი.*** სამხედრო დაზვერვის 1 სპეცგანყოფილების ფოტოლაბორატორიის თანამშრომელმა 1963 წლიდან ამერიკელებს ათასობით ფოტოდოკუმენტი გადასცა საბჭოთა რეზიდენტურების შესახებ აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გფრ-ში, საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში; აწვდიდა ინფორმაციას სამხედრო სადაზვერვო სამსახურების ორგანიზაციებზე და მათი მუშაობის შედეგებზე. მისი წყალობით, აშშ-სა და ინგლისში დააპატიმრეს საუკეთესო საბჭოთა აგენტები. ღალატისთვის მან 20 ათასი საბჭოთა მანეთი მიიღო. 1972 წელს ჩერნოვი ლოთობისთვის გრუ-დან გააძევეს. მან თავის მოკვლა სცადა, რის შემდეგაც ის სამხედრო დაზვერვამ აღრიცხვაზე აიყვანა. 1990 წელს იგი დააპატიმრეს. 1991 წელს მიუსაჯეს 8 წელი, მაგრამ ნახევარ წელიწადში შეიწყალეს. მალე კუჭის კიბოთი გარდაიცვალა.

***სუკ-ის თანამშრომელი ი. ნოსენკო.*** 1962 წელს შვეიცარიაში დარჩა, 1964 წელს მუშაობდა აშშ-სთვის. გასცა რამდენიმე მსხვილი ორმაგი აგენტი, ასევე დაადასტურა ინფორმაცია ამერიკის საელჩოში მოსასმენი აპარატურის არსებობის შესახებ. 1963 წელს ცსს-ს თანამშრომლებმა ის გერმანიაში გადაიყვანეს, ხოლო სსრკ-ში მას დაუსწრებლად მიუსაჯეს სიკვდილი. 80-იანი წლების ბოლომდე ცსს-ს კონსულტანტად მუშაობდა, შემდეგ კი პენსიაზე გავიდა.

***საგარეო დაზვერვის ნიუ-იორკის რეზიდენტურის თანამშრომელი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. კულაკი.***

მან თავად შესთავაზა საკუთარი სამსახური გამოძიების ფედერალურ ბიუროს (გფბ). 1962 წელს მუშაობდა აშშ-ის სასარგებლოდ. 1962–1970 წლებში გადასცა გფბ-ს სუკის თანამშრომელთა სია ნიუ-იორკში, ასევე აცნობა მათ სუკის დაინტერესების სფეროები სამეცნიერო – ტექნიკურ და იარაღის წარმოების სფეროში. ამბობენ, რომ მან ამისათვის, დაახლოებით, 100 ათასი დოლარი მიიღო. 1977 წელს ის მოსკოვში დაბრუნდა, ხოლო 80-იან წლებში, როდესაც ის უკვე პენსიაზე იყო, მისი საქმის ჩუმი გამოძიება დაიწყო, მაგრამ ვერაფრის დამტკიცება ვერ მოახერხდა. 1983 წელს კულაკი კიბოთი გარდაიცვალა, 1985 წელს კი მისი გამყიდველობის შესახებ სუკ-ს ოლდრიჩ ეიმსმა ამცნო.

***საგარეო დაზვევის კაპიტანი ო. ლიალინი.***

1971 წელს დაიწყო ბრიტანულ კონტრდაზვერვის - მი-5-თვის მუშაობა. ინგლისელებს გადასცა ლონდონში საბჭოთა დივერსიების გეგმები , სრულიად გახსნა აგენტურული ქსელი ინგლისში, ხოლო სხვა ქვეყნებში, ლიალინის მონაცემებით, დანარჩენი არლეგალების ძებნა დაიწყო. სსრკ-ში მას დახვრეტა მიუსაჯეს. 23 წელი ცოლთან ერთად ინგლისში ცხოვრობდა და 1995 წელს გარდაიცვალა.

***საგარეო დაზვერვის პოლკოვნიკი ო. გორდიევსკი.***

საბჭოთა დაზვერვის წინააღმდეგ დანიაში დაიწყო მუშაობა. ბრიტანეთის "ინტელიჯენს სერვისს" სუკ-ის მიერ დაგეგმილი ტერაქტების მონაცემები გადასცა და აშშ-ში ადამიანთა უფლებების დარღვევის თაობაზე მოსამზადებელი კამპანიის შესახებ აცნობა. 1980 წელს ის მოსკოვში გაიწვიეს. მას დაევალა, გასცნობოდა პირველი მთავარი სამმართველოს (პგუ) ოპერაციების ისტორიებს ინგლისში, სკანდინავიის ქვეყნებსა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონებში, რამაც მას პგუ-ს საიდუმლო არქივებთან მუშაობის საშუალება მისცა. ბრიტანეთის დაზვერვას აწვდიდა ინფორმაციებს გორბაჩოვის გეგმების შესახებ. გორდიევსკის გადაცემულ ცნობებს პრემიერ-მინისტრი ტეტჩერი პირადად ეცნობოდა. 1985 გორდიევსკი ეიმსმა გასცა. ამის შემდეგ ის, ფაქტობრივად, შინა პატიმრობაში იმყოფებოდა. მას შემმოწმებელი ორგანოების უმკაცრესი მეთვალყურეობა დაუწესეს, თუმცა გორდიევსკიმ დილის გარბენის დროს, ტრუსებით და ცელოფნის პარკით ხელში, გაქცევა მოახერხა . ამჟამად ლონდონში ცხოვრობს და, საკუთარი წიგნების წყალობით, ძალიან პოპულარული გახდა.

***სამხედრო დაზვერვის პოლკოვნიკი ს. ბოხანი.*** 1976 წელს მუშაობდა ცსს-თვის. ცსს-ს აშშ-ში სუკი-ს აგენტის უილიამ კამპალაისის შესახებ აცნობა. 1985 წელს ისიც ეიმსმა გათქვა. საბერძნეთში მივლინებით მყოფი ბოხანი მიხვდა, რომ უთვალთვალებდნენ და, ცსს-ს დახმარებით, აშშ-ში გაიქცა, სადაც დღემდე ცხოვრობს.

***სამხედრო დაზვერვის თანამშრომელი ვ. რეზუნი (სუვოროვი).***

1974 წელს ჟენევაში რეზიდენტი იყო. 1978 წელს, ცოლთან და პატარა ვაჟთან ერთად, სახლიდან გაქრა . მალე ცნობილი გახდა, რომ მთელი ამ დროის მანძილზე იგი ცსს-თვის მუშაობდა. ის არასდროს სარგებლობდა იდეოლოგიური მოტივებით. დღეს რეზუნი ცნობილია, როგორც მწერალი - ისტორიკოსი ვიქტორ სუვოროვი. ის გახმაურებული წიგნების - "ყინულმჭრელი", "აკვარიუმი" და სხვ. - ავტორია. არც ერთი მნიშვნელოვანი მონაცემი არ გაუცია.

## ვიქტორ სუვოროვი

*გთავაზობთ 1999 წლის მაისში ჟურნალ "ეხო პლანეტი"-ში გამოქვეყნებულ ინტერვიუს ვიქტორ სუვოროვთან.*

***იმ საღამოს ჩემთან იმყოფებოდა მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ოფიცერი. ის დასავლეთში 21 წლის წინ გაიქცა. ჩვენ ერთმანეთი გავიცანით წიგნის ბაზრობაზე, რომელიც ვარშავის მეცნიერების და კულტურის სასახლეში იმართებოდა. ომის შემდეგ ეს სასახლე, სტალინის ბრძანებით, პოლონელებს აუშენეს საჩუქრად. 1989 წელს, როდესაც კომუნისტებმა არენა დატოვეს, ამ შენობის დანგრევა უნდოდათ, მაგრამ დროულად მოეგნენ გონს და კომერციული ორგანიზაციებისათვის ოთახების მიქირავება დაიწყეს.***

***სუვოროვი ინტერვიუზე დამთანხმდა და, მოულოდნელად, მეუღლე ტატიანასთან ერთად , სახლში მომადგა .***

***– ვიქტორ, როგორ მოგმართოთ?***

– სუვოროვი - სასაცილო მეტსახელია. მე ვლადიმირ ბოგდანის ძე რეზუნი ვარ. ეს ყველამ იცის ჩემი წიგნებიდან. დავიბადე 1947 წლის 20 აპრილს. 1958 წლიდან საბჭოთა არმიაში ვმსახურობდი, სუვოროვის სასწავლებლის ჩათვლით. შემდეგ დავამთავრე კიევის ფრუნზეს სახელობის უმაღლესი საერთო სამხედრო სამეთაურო სასწავლებელი. კიევის სასწავლებელი არმიის ტაქტიკურ მზვერავებს ამზადებდა .

მყავდა მეგობარი ვიცა, რომელიც შესაშური სისწრაფით იქმნიდა კარიერას. სად არის ვიცა? - როტას მეთაურობს, ცოტა ხანში ბატალიონის მეთაურია, შემდეგ პოლკის, ბრიგადის, ოდესის ოლქის; შემდეგ უკრაინის თავდაცვის მინისტრი გახდა , არმიის მინისტრი. მისი გვარია რადეცკი. თუმცა, მინისტრის პოსტი დიდხანს ვერ შეინარჩუნა.

თავად მე 2 წლის მუშაობის შემდეგ კუიბიშევის ოლქში მოვხვდი. ეს ქალაქი ჩემს წიგნებში ლვოვად აღვწერე . "აკვარიუმში" სახელები და გვარებიც შევცვალე.

***– როგორი ვირაჟი დაგჭირდათ, სამხედრო მზვერავი რომ გამხდარიყავით?***

– ამისთვის უნდა დამემთავრებინა სამხედრო დიპლომატიური აკადემია, რომელიც მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვში არ შედის. მისი დამთავრების შემდეგ გავემგზავრე ჟენევაში - ჯაშუშობის ევროპულ ცენტრში. იქ 4 წელიწადს ვიყავი გაერო-ს სსრკ-ს განყოფილებაში. წიგნებში ჟენევა ვენად შევცვალე.

***– და თქვენი პოლიტიკური და იდეოლოგიური გამოფხიზლება ამ "ჯაშუშურ ბუდეში" მოხდა?***

-არა, მეომარი არასდროს ვყოფილვარ,უბრალოდ,სისტემამ მაიძულა.

***– იქნებ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ...***

– იმდენი ინტრიგა ჩაიხლართა, რომ გამიჭირდება მათი უცბად აღწერა. მყავდა ძლიერი რეზიდენტი - ნამდვილი მგელი, კარგი გაგებით. გენერალი გახლდათ. ის ახალი რეზიდენტით შეცვალეს - მის ნაცვლად ბრეჟნევის ერთ-ერთი თანაშემწის - ალექსანდროვის ძმა დანიშნეს. ეს იყო სამხედრო კარიერისტი, რომლისთვისაც მნიშვნელობა არ ჰქონდა, კრეისერს ხელმძღვანელობდა თუ დაზვერვას. მანამდე მას უცხოეთში არ უმუშავია.

ვერ აგიხსნით, იქ რა ხდებოდა. რეზიდენტმა ერთ-ერთ საფრთხილო საქმეში უხეშად იმოქმედა. ვგრძნობდი, რომ მალე მოსკოვში გამიწვევდნენ. მერე გავიგე, რომ შაბათობით დანიშნულ, ჩვეულებრივ რეისს ახალი რეისი დაუმატეს. სახლში დავბრუნდი, ყოველივე ავწონ-დავწონე და ოჯახთან ერთად ბრიტანეთის საელჩოს მივაშურე. ეს იყო 1978 წლის 10 ივნისი. შემდეგ ჩვენ ინგლისში გადაგვიყვანეს. ეს როგორ მოხდა, ამის თქმის უფლება არ მაქვს. ალექსანდროვი მალე მოაშორეს. ვისთანაც მე ვმუშაობდი, ყველა უკან დააბრუნეს. გარკვეული დროის შემდეგ, ნელ-ნელა ყველა ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. დიახ, მე არც გამყიდველი ვარ და არც პოლკოვნიკი. მაშინ 30 წლის ვიყავი, ვმსახურობდი დიპლომატიურ ატაშედ, რაც კაპიტნის ჩინის ტოლფასი იყო. გამგზავრების წინ მე-3 მოადგილის რანგი მომანიჭეს, რომელსაც მაიორის წოდება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ეს ბრძანება მე უკვე აღარ მინახავს.

"ულირსი საქციელისთვის - სამშობლოს ღალატისთვის" უმაღლესი სასჯელი მომისაჯეს, მაგრამ ქონების კონფისკაციის გარეშე - არაგანდობისათვის - და მე ამით ვამაყობ, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი სამსახურიდან კაპიკი არ ამიღია.

***ჩემი თანამოსაუბრის აზრით, ეს 20 წელი ერთი გაელვება იყო. მან 11 წიგნი დაწერა , წერს მე-12-ს , რომლის სავარაუდო სახელია "თვითმკვლელი".***

– ეს წიგნი ჰიტლერზეა. მინდა, დავწერო ყველაფერი, რისი მოგროვებაც ბრიტანულ არქივებსა და ბიბლიოთეკებში შევძელი. ვარშავაში პოლონურ ენაზე გამოიცა ჩემი წიგნი - "განწმენდა". წიგნში წითელი არმიის მეთაურებზეა მოთხრობილი. როგორც ცნობილია, სტალინმა სამი მარშალი "მოიშორა" და ორი დატოვა. მე ვკითხე ისტორიკოსებს - გადამდგარ სამხედროებს, - სტალინს ის ორიც რომ მოეშორებინა, უკეთესი იქნებოდა თუ უარესი მეთქი ? მიპასუხეს, უკეთესი იქნებოდაო. გამოდის, რომ სამი ცუდია, ხუთი კი - უკეთესი. პარადოქსია, რომლებითაც სავსეა ჩვენი ისტორია.

***სუვოროვის თქმით, წიგნებზე მუშაობა დიდ დროს მოითხოვს. იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა - ბრიტანეთის სამხედრო აკადემიაში ასწავლის .***

***– ბრიტანეთის დაზვერვა სარგებლობს თქვენი სამსახურით?***

– დაზვერვის სკოლებში არ ვასწავლი, თუმცა ამას კატეგორიულად ვერ უარვყოფ. ზოგჯერ კონსულტაციებს ვიძლევი, თუმცა გამოცდილება ცოტა მაქვს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ - "ჩემიანი" არასდროს გამიცია.

***– უცდიათ თუ არა თქვენი გადაბირება, ან ,უბრალოდ , თქვენთან თანამშრომლობა ბრიტანეთის სპეცსამსახურებს?***

– მე მათ თავიდანვე განვუცხადე, რომ თუ დამეხმარებოდნენ, ამას ავანაზღაურებდი და მივახვედრე, რომ გადახდას შევძლებ ჩემი წიგნების, ჰონორარების, შრომის ფასად. მე მათ ვუთხარი, რომ კომუნიზმის საწინააღმდეგოდ ყველაფერს მოვყვები, მაგრამ არის საზღვარი, რომელსაც არ გადავალ და თუ დამჭირდა, ხიდიდან გადავხტები. მათ შემახსენეს, რომ ინგლისში უმუშევრობაა. მე კი მზად ვიყავი, საკუთარი თავისუფლების სანაცვლოდ, მათი ტუალეტები მეწმინდა.

ასეთ სიტუაციაში მთავარია, საკუთარი პირობები წააყენო, რაც ბევრმა "ყოფილმა"ვერ გაიგო და ბევრი მათგანი პენსიაზე გასვლის შემდეგ ლოთდება. რასაც მე ვწერ, ინგლისში, აშშ-ში და გერმანიაში არ გამოდის. მათ ბევრი რამ არ მოსწონთ - როგორ აღვწერ ომს, სტალინი ჩერჩილს და რუზველტს ბიჭუნებივით რომ ექცეოდა. "ყინულმჭრელის" შემდეგ მე ინგლისის და აშშ-ს შავ სიაში მოვხვდი და აღარ მაქვეყნებენ.

***– როგორ აღიქვეს თქვენი გაქცევა ახლობლებმა - დედამ, მამამ ?***

– მამამ ბოლომდე არ მაპატია, სატკივარი საფლავში ჩაიტანა. იგი სამხედრო იყო, ომგამოვლილი - სხვა შეხედულებები ჰქონდა. ორჯერ შევხვდით ერთმანეთს ლონდონში. ჩემს წიგნებს მაინც კითხულობდა . არ მაპატია. მამაჩემის ბედი აღვწერე მოთხრობაში - "დღე N". დედა უკრაინაში ცხოვრობს, ჩერკასში. მთელი ოჯახი უკრაინელები ვართ. მეუღლე - ტატიანა წარმოშობით ზაპოროჟიედან არის.

***– რუსეთში დაბრუნებას არ აპირებთ?***

– (იცინის) მოგიყვებით, არ დამიჯერებთ. რუსეთში "სახრჩობელა" მელოდება, მაგრამ - ძალიან უცნაური. მოსკოვში ცხოვრობს ერთი კინორეჟისორი, გვარად სინელნიკოვი, რომელმაც ჩემზე დოკუმენტური ფილმის გადაღება გადაწყვიტა.

წარმოიდგინეთ, მიდის სინელნიკოვი სამხედრო პროკურატურაში და თხოულობს რეზუნის საქმეს. მას პასუხობენ, რომ ასეთი საქმე არ არსებობს, მაშინ თხოულობს განაჩენს, პასუხი იგივეა. ეს მან თვითონ მიამბო ლონდონში. უბრალოდ, საწყენია, 15 დღე მაინც მოეცათ გაქცევისთვის. სერიოზულად კი, როგორც მოსკოვში ჩავალ, საქმეც გამოჩნდება. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ საქმე ნამდვილად არ იყოს ჩემზე აღძრული. იქ ისეთი ამბები დატრიალდა, იმ ჭუჭყის ამოქექვა აღარავის უნდა .

***ჩემი თანამოსაუბრე მოსკოვში დაბრუნებას არ აპირებს. ჩვენებურ რეფორმებს აკრიტიკებს ; მთელ რუსეთს, ბერეზოვსკის, ლისოვსკის და რამოდენიმე ადამიანის გარდა, მათხოვარს ეძახის ; მისი აზრით, რუსეთში თავისუფალი ვერ იქნები, თუმცა, დემოკრატიული ცვლილებების არდანახვა არ შეიძლება.***

***– როგორ აფასებთ "ყინულმჭრელი სუვოროვის" მიერ განცდილს და გადატანილს?***

– აი, მკითხველთა წერილები - 17 ფუთია, ტანია ტყუილის თქმის უფლებას არ მომცემს - მწერენ არა მხოლოდ რუსეთიდან, არამედ უკრაინელები, ბელორუსები, გერმანელები, ბალტიისპირელებიც. მე ჩემს ჰიმნს რუსეთს ვუძღვნი.

***– იმ პრეს-კონფერენციის შესახებ გაკეთებულ განაცხადზე რას იტყვით, სადაც ნატოს-ს და პოლონეთის წინააღმდეგ რუსეთის დაზვერვის საქმიანობაზე უნდა მოგეთხროთ?***

– ამის შესახებ არაფერი მსმენია. ჩემი მგზავრობის ორგანიზატორებმა ჟურნალისტებთან ჩვეულებრივ შეხვედრაზე მიმიწვიეს, მე ეს არ დამიწერია (მაგიდაზე აგდებს მოსაწვევ ბარათს). ეს ბოდვაა, ჩემი ალაპარაკება უნდათ. მე ვილაპარაკებ კოსოვოს სიგიჟეებზე, იუგოსლავიის დაბომბვის სიბრიყვეზე. უახლეს წარსულამდე არ მჯეროდა, რომ ნატო დაბომბვაზე წავიდოდა. თუ იარაღს რუსეთის წინააღმდეგ მიმართავენ, მე დავბრუნდები რუსეთში, პატიებას ვითხოვ და ჩემს სამშობლოს დავიცავ.

### *სუვოროვ-რეზუნი და მითი*

როდესაც მზვერავი მოწინააღმდეგის მხარეს გადადის, ეს ღალატად ითვლება. განურჩევლად იმისა, მშვიდობიან დროს ხდება ეს თუ არა. შემდეგ ყოფილი მზვერავი მთელი სიცოცხლის მანძილზე ამტკიცებს, რომ სამშობლოსთვის არ უღალატია, რომ მას სერიოზული, დასაბუთებული მოტივები ჰქონდა.

ყველა ეს მოსაზრება ძალიან უხდება რეზუნ-სუვოროვს. სხვებისგან ის იმით განსხვავდება, რომ მან ფართო გამოხმაურება მოიპოვა თავისი წიგნების, ძირითადად, "ყინულმჭრელის" წყალობით. მისი თეზისი იმ მოსაზრებას ეფუძნება , რომ დიდი სამამულო ომის დროს საბჭოთა კავშირი იყო არა მსხვერპლი, არამედ მთავარი დამნაშავე. რეზუნის მიხედვით, სტალინი ამზადებდა მოულოდნელ თავდასხმას გერმანიაზე 1941 წლის ივნისში. ასე რომ, ჰიტლერს არაფერი რჩებოდა იმის გარდა, რომ სტალინისთვის დაესწრო. სერიოზული წყაროები ამ მოსაზრებას სულელურს უწოდებენ, რომლის უარყოფაზე დროის დახარჯვა არც ღირს. მაგალითად, ისრაელის მეორე მსოფლიო ომის ისტორიის სპეციალისტი პროფესორი გოროდეცკი, აღნიშნავს, რომ რეზუნის თეორია მომდინარეობს დაუმტკიცებელი ვარაუდებიდან, რაც ჰიტლერმა თავის გენერლებს 1941 წლის 22 ივნისს წარუდგინა.



ვიქტორ სუვოროვი

## „ჰეზბოლა„ აშშ-ში გადადის

საერთაშორისო ტერორიზმის საკითხებში ცსს-ს ექსპერტების მტკიცებით, აშშ-ს ტერიტორიაზე იმყოფებიან და აქტიურ მოღვაწეობას ეწევიან "ჰეზბოლას", "ჰამასის" და ზოგიერთი სხვა ტერორისტული დაჯგუფების წევრები. ამ ადამიანებმა ნებისმიერ დროს შეიძლება მიიღონ ბრძანება ამერიკელ მოქალაქეთა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების წინააღმდეგ თავდასხმების განხორციელებაზე. გარდა ამისა, ისინი აქტიურად ეძებენ დაფინანსების წყაროს თავიანთი ორგანიზაციებისთვის.

ცსს-ს ანალიტიკოსთა პარალელურად, გფბ-ს ექსპერტებიც მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი მსხვილი ტერორისტული დაჯგუფების წევრები კვლავ აშშ-ში იმალებიან. მათი აზრით, ამ ადამიანებს ტერორისტები საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ, როდესაც აშშ-ს ტეროტორიაზე მორიგი აქციის განხორციელებას დააპირებენ.

თუმცა, ხსენებულ ორგანიზაციებს ტერორისტები აშშ-ს ტერიტორიაზე სხვა მიზნებისთვისაც შეიძლება დასჭირდეთ. ზოგი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ აშშ-ში მცხოვრები "ჰეზბოლას" წევრები სჭირდებათ არა ტერაქტებში მონაწილეობისთვის, არამედ - ფულის საშოვნელად.

ექსტრემისტთა მოღვაწეობის შესახებ მონაცემები გადაეცა აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს და სენატის დაზვერვის კომიტეტს.

როგორც სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, გფბ-მ მათ ინფორმაცია მიაწოდა აშშ-ს ტერიტორიაზე ტერორისტების არსებობის და მათგან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

ექსპერტების მტკიცებით, განსაკუთრებით საშიშად ითვლება "ჰეზბოლა". შესაძლოა, ამ ორგანიზაციის რამდენიმე წევრმა უკვე მიიღო ინსტრუქცია და ახლა თავდასხმის ობიექტებს არჩევენ. შესაძლებელია, ეს ერთგვარი გამოცდაც იყოს "ჰეზბოლას" ამერიკელი წევრებისთვის.

აღსანიშნავია, რომ აქამდე "ჰეზბოლას" არასდროს შეუტევია აშშ-სთვის. ისე კი, 1983 წელს ბეირუთში ამერიკელი საზღვაო ქვეითების ყაზარმების აფეთქების ფაქტი მას მიეწერება. მაშინ აშშ-ს 241 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. გარდა ამისა, ლიბანში მყოფი "ჰეზბოლას" მეომრები განუწყვეტლივ ახორციელებენ იერიშებს ისრაელზე.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე და ექსპერტთა დასკვნის თანახმად, აშშ-ს ტერიტორიაზე ტერორისტთა საფრთხე კვლავ აქტუალურია.



ჰეზბოლას აქტივისტები

## გერმანიის დაზვერვა: „ალ-ქაიდას„ ტერაქტებს ამზადებს.

ტერორისტული დაჯგუფება "ალ-ქაიდა" ამზადებს ახალ ტერორისტულ აქტს . ამ აზრისაა გერმანიის ფედერალური დაზვერვის სამსახურის უფროსი ავგუსტ ჰანინგი.

გერმანიის საზოგადოებრივი ტელევიზიის მეორე არხთან ინტერვიუში მან განაცხადა, რომ "ალ-ქაიდას" მიერ განხორციელებული ტერაქტების ანალიზი იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ " ნომერ პირველი ტერორისტის" ორგანიზაცია აშკარად ამზადებს "ფართო მასშტაბის დარტყმას" საკუთარი არსებობის შესახსენებლად. ავგუსტ ჰანინგის თქმით, უსამა ბენ ლადენი ცოცხალია და მან ავღანეთიდან ცოცხლად გაღწევა მოახერხა. **"მას მრავალრიცხვოვანი მომხრეები ჰყავს, ის ძნელად მისადგომ რაიონებში იმალება და არასდროს ჩერდება ერთ ადგილას დიდხანს",-** განაცხად ფედერალური დაზვერვის სამსახურის შეფმა. მისი აზრით, ეს გარემოება სეიოზულად აძნელებს ტერორისტის პოვნას.

ახლა ამერიკელი გამომძიებლები ცნობილი პაკისტანელი ექიმი-ორთოპედის - ამირ აზიზის დაკითხვას აწარმოებენ. აზიზი სამედიცინო დახმარებას უწევდა ოსამა ბენ ლადენს, მის მიერ ავღანეთის საზღვრების დატოვების შემდეგ. "ვაშინგტონ თაიმსი" აცხადებს, რომ 46 წლის აზიზს შეუძლია, პასუხი გასცეს კითხვას, ცოცხალია თუ არა ოსამა ბენ ლადენი.

პაკისტანის სამხედრო დაზვერვის და ამერიკის გფბ-ს თანამშრომლებმა ექიმი ლახორში (პაკისტანი) სამი კვირის წინ დააპატიმრეს, მას შემდეგ, რაც აშშ-ს სამხედრო ბაზაზე - გუანტანამოში (კუბა) "ალ -ქაიდას" დაპატიმრებულმა წევრებმა დაკითხვისას მისი სახელი ახსენეს. აღმოჩნდა, რომ წარსულში ექიმს ხშირი კონტაქტები და მჭიდრო კავშირი ჰქონდა მეზობელ ავღანეთთან და "თალიბანის" ხელმძღვანელობასთან. აზიზმა ბენ ლადენს პირველად ორი წლის წინ გაუკეთა ოპერაცია. უკანასკნელი მონაცემები ბენ ლადენზე და მის ოჯახზე ირანიდან მოდიოდა. თეირანმა უარყო განცხადება ბენ ლადენის ერთ-ერთი ვაჟის დაპატიმრების შესახებ. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჰამიდ რეზა ასეფიმ განაცხადა, რომ ეს ადამიანი, შესაძლოა, გადმოსული ყოფილიყო ავღანეთიდან ან პაკისტანიდან. ირანში აღნიშნავენ, რომ ორი თვის წინ ქვეყანაში არალეგალურად შემოვიდა ოცამდე ადამიანი, რომლებიც დააპატიმრეს, რადგან მათ დოკუმენტები არ აღმოაჩნდათ. ისინი ქვეყნიდან გააძევეს. შესაძლოა, "ალ-ქაიდას" მეთაურის ვაჟიც მათ რიცხვში ყოფილიყო.

## ცსს-მ იემენში „ალ-ქაიდას„ წევრები რაკეტით გაანადგურა

ვაშინგტონიდან მიღებული შეტყობინების თანახმად, იემენში მანქანის აფეთქებაში, რის შედეგადაც 6 ადამიანი დაიღუპა, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელი ურევია. დაღუპულებზე ეჭვობდნენ, რომ ისინი "ალ-ქაიდას " დაჯგუფების წევრები იყვნენ.

ოფიციალურმა პირებმა, ანონიმურობის პირობით, განაცხადეს, რომ მანქანაში მყოფები დაიღუპნენ მას შემდეგ, რაც მანქანას აშშ-ს კუთვნილი უპილოტო საფრენი აპარატი დაეჯახა. დაღუპულთა ვინაობას არ ასახელებენ, თუმცა, ოფიციალურ პირთა თქმით, მათ შორისაა ალი სენიანი ალ-ხარეთია, რომელიც, ცსს-ს მონაცემებით, ადენის პორტში 2000 წლის ოქტომბერში ავიამზიდ "კოულის" თავდასხმაში მონაწილეობდა.

ბი-ბი-სის კორესპონდენტი იტყობინება, რომ, დასავლეთის სპეცსამსახურების აზრით, მანქანაში მყოფები ახალ აქციას გეგმავდნენ .

აფეთქება მოხდა დედაქალაქიდან 160 კმ-ს მოშორებით, ჩრდილოეთ იემენურ პროვინცია მარიბში. იემენის ხელისუფლების თავდაპირველი აზრით, რაკეტა გაშვებული იყო ვერტმფრენიდან, მაგრამ ვისი იყო ვერტმფრენი-იემენის თუ ამერიკის - ვერ ამბობდნენ. იემენის ხელისუფლების წყაროებით,ბი-ბი-სი-სთვის ცნობილი გახდა, რომ მანქანაში ასაფეთქებლის და რადიოკავშირის ნაკვალევი აღმოაჩინეს. აშშ-ს თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი არც ადასტურებს და არც უარყოფს აფეთქებასთან ცსს-ს კავშირს. თუმცა, კმაყოფილება გამოთქვა ალ-ხარეთის შესაძლო სიკვდილის გამო. **"ძალიან კარგი, თუ ის თამაშიდან გავიდა",-** განუცხადა მან ჟურნალისტებს, ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე.

თავად ცსს კი მომხდარს უკომენტაროდ ტოვებს. ცნობილია, რომ უპილოტო საფრენი აპარატები ფართოდ გამოიყენებოდა ავღანეთში.

აღსანიშნავია, რომ აშშ უპილოტო საფრენ აპარატებს ავღანეთის საზღვრებს გარეთ არ იყენებდა. ბი-ბი-სის ვაშინგტონელი კორესპონდენტის თქმით, ამ ინციდენტის მიმართ ინტერესს აღძრავს ისიც, რომ ვაშინგტონმა არაერთხელ გააკრიტიკა ისრაელის არმია მანქანებზე საჰაერო იერიშების გამო.

ალ-ხარეთი მთელი წლის მანძილზე გაქცეული იყო. იემენის პოლიცია მას და "კოულის" საქმეში კიდევ ერთ ეჭვმიტანილს - მოჰამედ ჰამდი ალ-ახდალას ეძებდა. ეჭვმიტანილები ხშირად იცვლიდნენ ადგილს და კარგად შეიარაღებულ დაჯგუფებებს ეკედლებოდნენ. გასული წლის დეკემბერში ხელისუფლების სურვილი - ალ-ხაეთის მოსაძებნად მარიბის ერთი სოფელი შეემოწმებინათ, უშედეგოდ დასრულდა - სამხედრო რაზმი იძულებული გახდა, უკან დაეხია. დაიღუპა 18 ჯარისკაცი და სოფლის 3 მაცხოვრებელი. ალ-ხარეთი სოფელში ვერ იპოვეს.

იემენის ხელისუფლება საერთაშორისო ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან საკუთარი ბრძოლის დემონსტრირებას ცდილობს. ახალახან გაკეთდა განცხადება "ალ-ქაიდას" 85 მებრძოლის დაკავების შესახებ. თუმცა, ხელისუფლებას კვლავ უჭირს სიტუაციის გაკონტროლება.

აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწის კონდოლიზა რაისის მიერ გუშინ გაკეთებული განცხადების თანახმად, იემენში ჩატარებული ცსს-ს ოპერაცია თავად პრეზიდენტის მიერ იყო სანქცირებული.

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3 ოთახიანი სტანდარტული ბინა. მაღალი ჭერით, დიდი აივნით. მეტრო დელისთან. ბუნებრივი აირით, გოგირდიანი წყლით. ტელეფონით. ფასი: 25 000$
ტელ: 39-80-48

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, 132 კვ.მ ბინა ჩიქოვანის 18-ში, V კორპ., ბინა 34, I სართ. ფას: 18000$. ტელ: 98-40-41.

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 1,5-იანი ბინა გადაკეთებული ორიანად, 3(16), ტელეფონით, რკინის კარებით, ბაკით. 96 17 35, 33 03 43, 8(99) 16 11 03

იყიდება 3-ოთახიანი, 100 კვ.მ. 6(16) ტელეფონით, ავტოფარეხით, სარდაფით, ევრორემონტით. ფასი 13 500 $. ავტოფარეხის გარეშე - 12 500 $. ნუცუბიძის პლატო, IV მკრ. 30 05 17 (ღამით), 25 12 65 (დღისით).

იყიდება 1,5-ოთახიანი, გადაკეთებული ორიანად, მეტრო "ვარკეთილის" ეზოში. რკინის კარებით, ტელეფონით. 9-სართულიანის მე-4 სართულზე. 33 29 29

იყიდება ერთოთახიანი სუფთა ბინა დოლიძის ქუჩის ცენტრში, ხედით ფუნიკულიორისკენ. შემინული ლოჯით, მეტლახის ფილები, კაფელი. 33 29 29

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 901729

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა
39-53-41 მარინა
877 495-490

იყიდება 1,5 ოთახიანი ბინა - სახელსნო კავსაძის 4-ში მე-2 სართულზე, რკინის კარით, გისოსებით. ფასი 12 800.
ტელ: 37-45-14 (21 სთ-შემდე)

იყიდება არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა ორთაჭალაში, ბაგრატიონის ძეგლთან. 23 02 09

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

## ბინები

### ქირა, გირაო

სასწრაფოდ ვიგირავებ 2-ოთახიან ბინას 3000$-ად საბურთალოზე.
ტელ: 78-21-80 (საღამოს საათებში)

**ქირავდება!**
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

ვიქირავებ 1-ოთახიან გარემონტებულ, კომფორტულ ბინას მ. დელისის მახლობლად.
ტელ: 899 51 99 83

ქირავდება დიდი ფართის 2-ოთახიანი გარემონტებული ბინა 2 აივნით, ტელეფონით, 5(6). ფასი 350 $. 96 17 35, 8(99) 16 11 03

## კომერციული ფართი

**სასწრაფოდ!**
იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

**ქირავდება!**

**კომერციული ფართი ვერაზე**

საუკეთესო საოფისე (კომერციული) ფართი 1 სართულზე, ქუჩიდან იზოლირებული შესასვლელით, საერთო ფართი 110 კვ.მ.

მისამართი: ქიაჩელის ქ. 10 (რესპუბლიკის მოედანთან)

ტელ: 94-01-96, მობ. 899 518007

## მანქანები

იყიდება "ოპელ-ომეგა", "CD ბრილიანტი" 1990 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2200-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!). ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

**იყიდება!**
AUDI 90 Coupe GT. 1998 წ. ძრავი 2,3, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. ფასი 1650$. ტელ: 8 (99) 162868.

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

## სწავლება

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Excell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69

## სხვადასხვა

საშუამავლო ფირმა "კახი-98" გთავაზობთ ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავება-დაგირავებას. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

საშუამავლო ფირმა "კახი-98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს ბინის მყარი გარანტიით. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

გთავაზობთ დივნებისა და სავარძლების რესტავრაცია-გადაკვრას. აგრეთვე წვრილმან სანტექნიკურ სამუშაოებს. 76 60 25 საშა

პოლიგრაფიული ნაწარმი, სავიზიტო ბარათები, ბლანკები, კონვერტები. 96 17 35, 8(99) 16 11 03

იყიდება ახალი, თურქული, ქარხნული საკონდიტრო გაზის ღუმელი, მინის კარებით (1,10X1,20 სმ). 98 24 64, 8(99) 51 98 73

შეგასწავლით კომპიუტერის საოფისე პროგრამებს (Windows, Word, Internet). მოგიძებნით ინტერნეტში ინფორმაციას, მათ შორის საზღვარგარეთ საქმიან (სამეცნიერო) პარტნიორებს. დაგეხმარებით საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლაში. შეგიქმნით Web - გვერდს.
ტელ: 63-37-40 (საღამო), 33-17-59, 893 304942

ფირმების რეგისტრაცია ერთ დღეში, ბეჭდები, შტამპები.
ტელ: 69-17-35, 8(99) 161103

გთავაზობთ წიგნების, ჟურნალების, ბროშურების აკრეფვა-დაკაბადონებას, გაფორმებას, სავიზიტო ბარათების, ბლანკების დამზადებას, სხვადასხვა პოლიგრაფიულ მომსახურეობას.
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908.
Tel/Fax: 25-35-48, 23-53-69

**დაიკარგა!**
გლდანის მეორე მკ./რ-ში "ბოქსიორის" ჯიშის ძაღლი. ფერი ე. წ. "ტიგროვი", თეთრი გულით, შუბლით და თათებით. მპოვნელი დასაჩუქრდება.
ტელ: 77-13-82; 877 788033

**საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების საყურადღებოდ**

საქართველოს პარლამენტის აპარატის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 1 ნოემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2003 წლის ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შეიდგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის მიხედვით.

მადლობელი დაგრჩებით, თუ მასმედიის ხელმძღვანელები, განაცხადთან ერთად, ცალკე ფურცელზე მოგვაწვდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართს, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის ნომრებს, აგრეთვე, აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატებს.

განცხადების მიღება დასრულდება ა.წ. 1 დეკემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ ნომრებზე: 99 00 00, 99 99 62

**განცხადება**

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:** ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:** მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.




## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

### საგამოფენო დარბაზები

**ძველი გალერეა**
ლილი მზექალაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
ვაჟა მელიქიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**TMS**
დიმიტრი ერისთავის ნამუშევრების პერონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**
ირაკლი ცაბაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**N გალერეა**
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**გალერეა „ვერნისაჟი„**
ალექსანდრე გრიცაევის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"სკუპი დუ"
დას: 13:00, 15:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"ბორნის საიდუმლო", მთავარ როლში მედ დეიმონი
დას: 17:00, 19:00, 21:00 სთ, ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი„**
"პატარა სტიუარტი"
დას: 15:00; 17;00 სთ; ფასი 5 ლარი
"ნიშნები", რეჟ. ნაით შამალანი; მთავარ როლში, მელ გიბსონი
დას: 19:00; 21:00 სთ; ფასი 7 ლარი

## სკანდინავიური კროსვორდი





# ვინ აუნაზღაურებს ზარალს ფეხბურთის ფედერაციას?

*ამ დღეებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია დაბრუნდა შვეიცარიიდან, სადაც შეხვდა უეფა-ს მაღალჩინოსნებს. ვიზიტის მთავარი მიზანი საქართველოსა და რუსეთის ეროვნული ნაკრები გუნდების ჩაშლილი შეხვედრის გადათამაშების თარიღის დადგენა იყო. მერაბ ჟორდანია ამ და სხვა თემებზე ესაუბრა "24 საათს".*

მიხეილ აბაიშვილი

მოგეხსენებათ, გადათამაშების ისევ თბილისში დანიშვნას გარკვეული ძალები ხელს უშლიდნენ. იმ მიზნით, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა დაჩქარებულიყო, ჯერ მოსკოვში გავემგზავრე, ხოლო შემდეგ - ციურიხში. თქვენს გაზეთს ადრეც განვუცხადე და ახლაც ვიმეორებ: რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა, ვიაჩესლავ კოლოსკოვმა, არავითარი დაბრკოლება არ შეგვიქმნა ამ საქმეში. პირიქით, მან მოკავშირის პოზიცია დაიკავა და დაეთანხმა ჩვენს წინადადებებს თბილისში გადათამაშების დანიშვნასა და ვადის შერჩევაზე. ახლა უკვე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: მატჩი 30 აპრილს თბილისში გაიმართება. ეს თარიღი უკვე შეტანილია უეფა-ს კალენდარში და აღარაფერი შეიცვლება. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ სფფ-ს სერიოზული ფინანსური ზარალი ემუქრება. მართალია, უეფა-ს არავითარი საჯარიმო სანქცია არ დაუწესებია, მაგრამ 30 აპრილის თამაშის ყველა საორგანიზაციო, მათ შორის, რუსეთის ნაკრების მგზავრობისა და მასპინძლობის ხარჯი, ქართულმა მხარემ უნდა გაიღოს. ეს, დაახლოებით, 300 ათასი დოლარია. ამჟამად "ლოკომოტივის" სტადიონზე მატჩის დროს ელექტროენერგიის გათიშვასთან დაკავშირებულ საქმეს იძიებს უშიშროების სამინისტროს შესაბამისი სამსახური. მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გაირკვევა, ვინ არის დამნაშავე, ზემოხსენებული ფინანსური პასუხისმგებლობა მას დაეკისრება. თუ ეს საკითხი მოლაპარაკების გზით არ გადაწყდება, მაშინ სასამართლოს მივმართავთ.

**- საქართველოს ეროვნული ნაკრები კვიპროსის ოთხთა ტურნირში მონაწილეობას გეგმავდა. ცნობილი გახდა, რომ ეს ვარიანტი გამოირიცხა და ოფიციალურ შესარჩევ თამაშებამდე ჩვენი ეროვნული გუნდი მხოლოდ ესტონეთის ნაკრებთან გამართავს სპარინგ-მატჩს...**

- კვიპროსის ტურნირზე რუსეთის ნაკრებიც არის მიწვეული. ამ გუნდთან


მერაბ ჟორდანია

კი, მოგეხსენებათ, შესარჩევი მატჩები უნდა გავმართოთ. ასე რომ, საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობის სურვილი, შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე რუსეთის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრების დონეზე არ ჰქონდეს ურთიერთობა, სრულიად ლოგიკურია. ხოლო ის, რომ მხოლოდ ესტონეთის ნაკრებს ვეთამაშებით, საქმეში ჩახედულთათვის არ უნდა იყოს გაუგებარი. მომავალ წელს, შესარჩევი ტურნირის ეგიდით, საქართველოს ნაკრებს ექვსი მატჩი აქვს ჩასატარებელი. უეფა-ს წესებით, ლეგიონერთა გამოძახება მხოლოდ შვიდჯერ შეიძლება. შესაბამისად, ლიმიტი უკვე შევსებულია. თუმცა, სსფ აგრძელებს მუშაობას ნაკრებისთვის ამხანაგური თამაშების დაგეგმვის მიმართულებით. მართალია, ლეგიონერებს ვერ გამოვიძახებთ, მაგრამ ნაკრების მწვრთნელებს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ეროვნული გუნდის კანდიდატების შემოწმების საშუალება მიეცემათ. ასეთთა რიცხვი კი დღითიდღე იზრდება, რაც სასიხარულოა.

**- გაჩნდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე რეზო არველაძის დანიშვნაა მოსალოდნელი. რას იტყვით ამის თაობაზე?**

- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რეზო არველაძეს ყოველმხრივ ხელი შეუწყო, რომ სამწვრთნელო კვალიფიკაცია აემაღლებინა. რეზომ წარმატებით გაიარა კიოლნის უმაღლესი სამწვრთნელო აკადემიის კურსი და შესაბამისი ლიცენზიაც მიიღო. მოვლენების ფორსირება მაინც არ არის საჭირო. ჩემს მოსაზრებას სფფ-ს გენერალურ მდივანს და ვიცე-პრეზიდენტებს გავაცნობ, ხოლო შემდეგ კანდიდატურას წარვუდგენთ აღმასრულებელ კომიტეტს. თუ აღმასკომი გაიზიარებს ამ აზრს, არველაძეს ახალგაზრდულ ნაკრებს ჩავაბარებთ. რაც შეეხება ახალგაზრდულის ამჟამინდელ მწვრთნელს, ვახტანგ კოპალეიშვილს, იგი ძალიან კარგი სპეციალისტია და უსაქმოდ ნამდვილად არ დავტოვებთ.

**- როდის იგეგმება აღმასკომის სხდომა?**

- ზუსტ რიცხვს ვერ გეტყვით, თუმცა, შემიძლია, განვაცხადო, რომ ნოემბრის ბოლომდე ერთ სხდომას აუცილებლად გავმართავთ. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის საკითხის გარდა, სხვა მნიშვნელოვანი თემებიც უნდა განვიხილოთ. ამ სხდომაზე გადავწყვეტთ სფფ-ს ყრილობის ჩატარების თარიღს, ვიმსჯელებთ კლუბების ლიცენზირების საკითხებზეც, რომელიც 2005 წლამდე უნდა დასრულდეს. ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის შემდეგ დაზღვეულები ვიქნებით ისეთი სამწუხარო შემთხვევებისგან, როგორიც გუშინ ზესტაფონის "მეტალურგთან" დაკავშირებით მოხდა. რაც შეეხება ყრილობას, იგი მომავალი წლის თებერვალში გაიმართება. უფრო კონკრეტულ თარიღს აღმასკომი დაადგენს. ამ ყრილობაზე მივიღებთ სფფ-ს ახალ წესდებას, რომელშიც აუცილებლად გავითვალისწინებთ უეფა-ს რეკომენდაციებს.

# ევროფეხბურთი: "რეალის", "ბაიერნისა" და "არსენალის" წარუმატებლობა დასრულდა

## საინტერესოა, რამდენი ხნით?

აკა ტონია

**ესპანეთი, IX ტური**

*9 ნოემბერი:*

| | |
|---|---|
| მალაგა - ოსასუნა | 1:0 |
| რაიო ვალეკანო – რეალი | 2:3 |
| სოსიედადი – დეპორტივო | 1:1 |
| ბარსელონა – ვილიარეალი | 1:0 |
| ვალენსია – ბეტისი | 1:1 |
| *10 ნოემბერი:* | |
| სელტა – ესპანიოლი | 1:0 |
| მაიორკა – ალავესი | 3:1 |
| რეკრეატივო – ვალიადოლიდი | 1:3 |
| სევილია – რასინგი | 1:0 |
| ატლეტიკო – ბილბაო | 3:3 |

| გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 9 | 6 | 3 | 0 | 21:10 | 21 |
| ვალენსია | 9 | 5 | 3 | 1 | 18:8 | 18 |
| მაიორკა | 9 | 6 | 0 | 3 | 14:11 | 18 |
| სელტა | 9 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 17 |
| რეალი | 9 | 4 | 4 | 1 | 17:10 | 16 |
| ბარსელონა | 9 | 4 | 3 | 2 | 17:11 | 15 |
| მალაგა | 9 | 4 | 3 | 2 | 17:18 | 15 |
| ბეტისი | 9 | 3 | 5 | 1 | 17:10 | 14 |
| დეპორტივო | 9 | 4 | 2 | 3 | 12:13 | 14 |
| ვალიადოლიდი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:12 | 13 |

გასულ შაბათს მადრიდის "რეალისა" და მისი ბრაზილიელი ვარსკვლავის, რონალდოს კრიზისი ერთდროულად დასრულდა: "სამეფო კლუბმა" მადრიდულ დერბიში "რაიო ვალეკანოს" 3:2 სძლია და, ოთხი წარუმატებელი მატჩის შემდეგ, პირველად შეძლო 3 ქულის მოპოვება. ერთი თვის მანძილზე პირველად, მას შემდეგ, რაც თავის სადებიუტო მატჩში რონალდომ "ალავესის" კარში 2 ბურთი გაიტანა, ბრაზილიელმა თავდამსხმელმა კვლავ შეძლო გოლის გატანა. მე-16 წუთზე ანგარიში გახსნა – 1:0. 12 წუთში ხორხე აცკოიტიამ წონასწორობა აღადგინა. მე-5 წუთზე რობერტო კარლოსმა "რეალი" კვლავ წინ გაიყვანა, მაგრამ 75-ე წუთზე მადრიდელთა კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. ხულიო ალვარესმა ზუსტად დაარტყა – 2:2. თითქოს მატჩი ასეც უნდა დამთავრებულიყო, რომ არა უკანასკნელ წუთებზე ლუიშ ფიგუს მიერ შესრულებული შესანიშნავი საჯარიმო დარტყმა. გამარჯვების მიუხედავად, "რეალმა" უაღრესად უსუსური შთაბეჭდილება დატოვა. "უსუსტესმა "რეალმა" საუკეთესო შედეგს მიაღწია", - წერდა გაზეთი "El Pais". მწვრთნელმა დელ ბოსკემ კი განაცხადა: "ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ წარუმატებელი სერია დავასრულეთ". მარტის შემდეგ "რეალისთვის" ეს პირველი გასვლითი გამარჯვებაა ესპანეთის ჩემპიონატში. მისი წყალობით, მადრიდელებმა გათამაშების ლიდერთან სხვაობა 5 ქულამდე შეამცირეს და 16 ქულით მე-5 ადგილზე არიან.

ჩემპიონატს კი, კვლავინდებურად, სან-სებასტიანის "რეალ სოსიედადი" ლიდერობს (21 ქულა). გასულ შაბათს ბასკებმა "დეპორტივოს" უმასპინძლეს და ფრედ - 1:1 ეთამაშნენ. მატჩის 28-ე წუთზე იუგოსლავიელმა დარკო კოვაჩევიჩმა მასპინძლები დააწინაურა. ეს მისი მეშვიდე გოლი იყო წლევანდელ სეზონში. თუმცა, დეპორტივოელმა ალბერტ ლიუკემ პირველივე ტაიმში, მე-40 წუთზე აღადგინა წონასწორობა. "სოსიედადი" წლევანდელ ჩემპიონატში კვლავინდებურად დაუმარცხებელია.

ცხრილის სათავეში მოქცევის კარგი შანსი გაუშვა ხელიდან ესპანეთის ჩემპიონმა: შაბათს "ვალენსიამ" სევილიის "ბეტისს" უმასპინძლა და ფრეს დასჯერდა. მარკუს ასუნსაოს 70-ე წუთზე გატანილი გოლით სტუმრები იგებდნენ კიდეც, თუმცა, 81-ე წუთზე პაბლო აიმარმა წონასწორობა აღადგინა და "ვალენსიას" ქულა შეუნარჩუნა.

შინ, "ვილარეალთან" 1:0 გამარჯვების შემდეგ, 15 ქულა დაუგროვდა "ბარსელონას". მატჩის 75-ე წუთზე ერთადერთი გოლი ხუან რამონ რიკელმემ თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაიტანა. კატალონიელები "რეალს" 1 ქულით ჩამორჩებიან და ცხრილის მე-6 საფეხურზე იმყოფებიან.

**იტალია, X ტური**

*9 ნოემბერი:*

| | |
|---|---|
| ინტერი – უდინეზე | 1:2 |
| პიაჩენცა – რომა | 1:1 |
| *10 ნოემბერი:* | |
| ბოლონია – კომო | 1:0 |
| ბრეშა – ემპოლი | 0:2 |
| კიევო – ატალანტა | 4:1 |
| ლაციო – პარმა | 0:0 |
| პერუჯა – ტორინო | 2:1 |
| რეჯინა – მოდენა | 0:1 |
| იუვენტუსი – მილანი | 2:1 |

| გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 9 | 7 | 1 | 1 | 19:9 | 22 |
| იუვენტუსი | 9 | 6 | 3 | 0 | 14:5 | 21 |
| მილანი | 9 | 6 | 1 | 2 | 23:7 | 19 |
| კიევო | 9 | 6 | 0 | 3 | 18:10 | 18 |
| ლაციო | 9 | 5 | 3 | 1 | 15:7 | 18 |
| რომა | 9 | 4 | 3 | 2 | 18:14 | 15 |
| ბოლონია | 9 | 4 | 3 | 2 | 10:7 | 15 |
| მოდენა | 9 | 5 | 0 | 4 | 10:12 | 15 |
| პარმა | 9 | 3 | 4 | 2 | 14:12 | 13 |
| ემპოლი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:13 | 13 |

სერია A-ს მეათე ტურის მთავარ "მსხვერპლად" მილანის "ინტერი" შეიძლება ჩავთვალოთ. შაბათს "ნერაძური" საკუთარ "სან სიროზე" დამარცხდა "უდინეზესთან" – 1:2. ეს იყო "ინტერის" პირველი საშინაო მარცხი 7 აპრილის შემდეგ (1:2 "ატალანტასთან"). "წაგებას არ ვიმსახურებდით. მეორე ტაიმში კი განსაკუთრებით კარგად ვითამაშეთ", - ამბობდა მწვრთნელი ჰექტორ კუპერი მატჩის შემდეგ. კუპერს მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ. მატჩის მე-3 წუთზე კრისტიან ვიერის მიერ გატანილ გოლს "უდინეზეს" გააქტიურება მოჰყვა. 25-ე წუთზე მარტინ იორგენსენმა, სრულიად ლოგიკურად, წონასწორობა აღადგინა. სერია A-ში თავისი უკანასკნელი გოლი დანიელმა ათი თვის წინათ გაიტანა – მაშინაც "სან სიროზე" ("მილანის" კარში). "ამ სტადიონს ჩემთვის ბედნიერება მოაქვს", - განაცხადა იორგენსენმა, - "იქნებ "ინტერზე" უკეთ არც გვითამაშია, მაგრამ გაგვიღიმა ბედმა, რომელიც უკანასკნელ მატჩებში არ გვწყალობდა". გაშვებული გოლის შემდეგ მილანელები განუწყვეტლივ უტევდნენ, შედეგად კი მეორე ბურთი მიიღეს საკუთარ კარში: 55-ე წუთზე რობერტო მუციმ "ინტერს" მეორე გოლი გაუტანა. "ძალიან დასანანია. მეტი რაღა უნდა გვექნა, მაგრამ ბურთს არაფრით არ უნდოდა მოწინააღმდეგის კარში შეგორება. ახლა ჩემპიონთა ლიგის მატჩი გველის ამსტერდამში. კიდევ ერთი წაგების უფლება არა გვაქვს", - ამბობდა "ინტერის" კაპიტანი ძანეტი.

კარგი შედეგით ვერც "რომა" დაიკვეხნის: ფაბიო კაპელოს გუნდი პიაჩენცას ეწვია და მხოლოდ ქულას დასჯერდა – 1:1. სტადიონი "გარილი" რომაელთათვის, კვლავინდებურად, აუღებელ ციხესიმაგრედ რჩება: "რომას" აქ არასოდეს მოუგია.

ტურის ცენტრალური და ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მატჩი კვირას, ტურინში გაიმართა: კახი კალაძის "მილანი" "იუვენტუსს" ესტუმრა და დამსახურებულად დამარცხდა. არადა, მილანელებს, "ინტერის" დამარცხების შემდეგ, ცხრილის სათავეში დაბრუნების კარგი შანსი ჰქონდათ, თუმცა, ეს მხოლოდ მაშინ მოხერხდებოდა, თუ ისინი "იუვენტუსთან" გაიმარჯვებდნენ, მაგრამ...

ორივე გუნდმა მატჩი შეტევებით დაიწყო. მასპინძელთა თავდასხმა უფრო აგრესიულად გამოიყურებოდა, ვიდრე "მილანისა". მე-10 წუთზე სტუმართა ნახევარდაცვამ უხეში შეცდომა დაუშვა, რასაც ნედვედი-დელ პიეროდი ვაიოს შესანიშნავი კომბინაცია მოჰყვა – 1:0. 11 წუთის შემდეგ ტიურამმა "მილანს" მეორე გოლი გაუტანა. 31-ე წუთზე ანდრეა პირლომ თერთმეტმეტრიანი დარტყმით ერთი ბურთი გაქვითა, თუმცა, "როსონერიმ" მეტი ველარ მოახერხა. ვერც ინძაგიმ გამოიჩინა თავი. მაინცდამაინც არ ბრწყინავდა კახა კალაძე, რომელიც მეორე ტაიმში კოსტაკურტამ შეცვალა.

ამ მატჩის შემდეგ "მილანს" უკვე "იუვენტუსმაც" გადაუსწრო (21 ქულა). ანჩელოტის გუნდი 19 ქულით მესამე საფეხურზეა.



"რეალი" კვლავ იმარჯვებს

REUTERS

**ინგლისი, XIII ტური**

*9 ნოემბერი:*

| | |
|---|---|
| მან. სიტი – მან. იუნაიტედი | 3:1 |
| არსენალი – ნიუკასლი | 1:0 |
| ასტონ ვილა - ფულემი | 3:1 |
| ბოლტონი – ვესტ ბრონვიჩი | 1:1 |
| ჩელსი – ბირმინგემი | 3:0 |
| ევერტონი – ჩარლტონი | 1:0 |
| მიდლსბრო – ლივერპული | 1:0 |
| საუთჰემპტონი – ბლექბერნი | 1:1 |
| *10 ნოემბერი:* | |
| ვესტ ჰემი – ლიდსი | 3:4 |
| სანდერლენდი – ტოტენჰემი | 2:0 |

| გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 13 | 9 | 3 | 1 | 24:10 | 30 |
| არსენალი | 13 | 8 | 2 | 3 | 28:13 | 26 |
| ჩელსი | 13 | 6 | 5 | 2 | 23:12 | 23 |
| ევერტონი | 13 | 7 | 2 | 4 | 16:15 | 23 |
| მანჩესტერი | 13 | 6 | 4 | 3 | 17:12 | 22 |
| მიდლსბრო | 13 | 6 | 3 | 4 | 16:10 | 21 |
| ბლექბერნი | 13 | 5 | 5 | 3 | 19:14 | 20 |
| ტოტენჰემი | 13 | 6 | 2 | 5 | 17:18 | 20 |
| ნიუკასლი | 12 | 6 | 1 | 5 | 18:18 | 19 |
| ლიდსი | 13 | 5 | 2 | 6 | 17:18 | 17 |

ახლა უკვე "მანჩესტერ იუნაიტედის" კრიზისზეც შეიძლება საუბარი: შაბათს ალექს ფერგიუსონის ბიჭებმა თანაქალაქელ "სიტისთან", ანგარიშით 1:3, პირწმინდად წააგეს. არადა, ცოტა ხნის წინ ითვლებოდა, რომ "მანჩესტერი" პრემიერ-ლიგის ყველა სხვა დანარჩენ გუნდზე ერთი თავით მაღლა იდგა. ეს დრო ისტორიას ჩაბარდა, რაც სერ ალექსს დიდად აღიზიანებს: "ხანდახან მიკვირს, რატომ არ ვაღებ გასახდელის კარს და ჩემს ფეხბურთელებთან არ ვუშვებ გულშემატკივრებს, რათა მათ თავიანთი აზრი გამოთქვან", - განაცხადა ფერგიუსონმა მატჩის შემდეგ. "სიტისთან" შეხვედრის შემდეგ რომ ფერგიუსონს გასახდელში გულშემატკივრები შეეშვა, კარგი არაფერი მოხდებოდა. ახლა "მანჩესტერი" 22 ქულით მე-5 ადგილზეა და ლიდერს, "ლივერპულს", 8 ქულით ჩამორჩება. არადა, "ლივერპულის" პირველი მარცხი რომ არა, სხვაობა 11 ქულა უნდა ყოფილიყო. ლიდერმა სტუმრად, "მიდლსბროსთან" წააგო – 0:1. 82-ე წუთზე მატჩის ერთადერთი გოლი მცველმა გარეტ საუთგეიტმა გაიტანა.

მინი-კრიზისი დაასრულა ლონდონის "არსენალმა", რომელმაც "ნიუკასლს" უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. გამარჯვების გოლი ფრანგმა ვილტორდმა 25-ე წუთზე გაიტანა. ინგლისის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ლონდონელებს, კვლავინდებურად, საუკეთესო შანსები აქვთ: "არსენალი" "ლივერპულს" მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება.

ცხრილის მესამე საფეხურზე აცოცდა "ჩელსი" (23 ქულა). ლონდონელებმა "ბირმინგემს" უმასპინძლეს და დამაჯერებლად დაამარცხეს – 3:0. ასევე 23 ქულა აქვს "ევერტონს" და, შესაბამისად, მეოთხე ადგილზეა. შაბათს "ევერტონმა" ლონდონის "ჩარლტონ ატლეტიკი" მიიღო და 1:0 მოუგო. ერთადერთი გოლი, 31-ე წუთზე, ავსტრიული "შტურმის" ყოფილმა თავდამსხმელმა ტომაშ რადზინსკიმ გაიტანა.

ტურის ყველაზე საინტერესო შეხვედრად, ალბათ, უნდა ჩავთვალოთ "ვესტ ჰემი"-"ლიდსის" მატჩი, რომელიც "ლიდსის" გამარჯვებით - 3:4 დასრულდა. ამ გამარჯვების მიუხედავად, "ლიდსს" 17 ქულა აქვს და მხოლოდ მე-10 ადგილზეა.

**გერმანია, XII ტური**

*9 ნოემბერი:*

| | |
|---|---|
| არმინია – ნიურნბერგი | 0:1 |
| ბაიერნი – დორტმუნდი | 2:1 |
| ჰამბურგი – მიუნხენ 1860 | 1:0 |
| კაიზერსლაუტ. – ჰანოვერი | 0:1 |
| შალკე – ლევერკუზენი | 0:1 |
| შტუტგარტი – ბოხუმი | 3:2 |
| ვოლფსბურგი – ვერდერი | 3:1 |
| *10 ნოემბერი:* | |
| ჰერტა – ჰანზა | 3:1 |
| მიონხენგლადბახი – კოტბუსი | 3:0 |

| გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 12 | 8 | 2 | 2 | 28:14 | 26 |
| დორტმუნდი | 12 | 5 | 6 | 1 | 18:9 | 21 |
| შტუტგარტი | 12 | 5 | 5 | 2 | 20:14 | 20 |
| მიუნხენ 1860 | 12 | 6 | 2 | 4 | 18:14 | 20 |
| ვერდერი | 12 | 6 | 2 | 4 | 22:22 | 20 |
| ჰერტა | 12 | 5 | 4 | 3 | 15:12 | 19 |
| შალკე | 12 | 5 | 4 | 3 | 14:11 | 19 |
| ვოლფსბურგი | 12 | 6 | 1 | 5 | 15:15 | 19 |
| ბოხუმი | 11 | 5 | 2 | 4 | 25:19 | 17 |
| ნიურნბერგი | 12 | 5 | 1 | 6 | 15:18 | 16 |

გერმანიის ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი, უდავოდ, იყო "ბაიერნი"-"დორტმუნდის" შეხვედრა, რომელიც "დეპრესიაში" მყოფმა მიუნხენელებმა მოიგეს – 2:1. მსაჯმა ორ დორტმუნდელს - ჯერ ტორსტენ ფრინგსს, შემდეგ კი მეკარე ლემანს დაატოვებინა მოედანი. იმის გამო, რომ სტუმრებს ცვლილების ლიმიტი უკვე ამოწურული ჰქონდათ, კარში ჩადგა ჩეხი თავდამსხმელი იან კოლერი და მეკარის ამპლუას მშვენივრადაც გაართვა თავი. მატჩის შედეგს გუნდების სატურნირო მდგომარეობაზე არ უმოქმედია, თუმცა, მათი ადგილები კიდევ უფრო გაამყარა: "ბაიერნი", 26 ქულით, კვლავინდებურად, პირველ ადგილზეა, "დორტმუნდი" კი, 21 ქულით, – მეორეზე.

მე-7 ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლა "შტუტგარტმა", რომელმაც შინ 3:2 სძლია "ბოხუმს". თითო საფეხურით ჩამოქვეითდნენ "მიუნხენ 1860" და ბრემენის "ვერდერი", შესაბამისად, მე-4 და მე-5 საფეხურებზე.

შინ, "ჰანოვერთან", სამარცხვინოდ დამარცხდა "კაიზერსლაუტერნი" – 0:1. ჰანოვერელები, საგოლე შანსები უკეთესად რომ გამოეყენებინათ, უფრო დიდი ანგარიშით მოიგებდნენ.

ასევე სტუმრად, იმავე ანგარიშით (1:0), "შალკეს" წინააღმდეგ მატჩში გაიმარჯვა ლევერკუზენის "ბაიერმაც", რომელიც 15 ქულით ცხრილის მე-12 საფეხურზეა.

# ლიგის კულმინაცია

*ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპი დასასრულს მიუახლოვდა. საბოლოოდ გაირკვევა A, B, C და D ჯგუფებიდან პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები. "ვალენსია", "ბორუსია", "არსენალი" და "რეალი" უკვე გავიდნენ მეორე ეტაპზე. დღესვე გაირკვევა კიდევ ოთხი გუნდის ვინაობა.*

დიმიტრი ობოლაძე

**A ჯგუფი**

**ოსერი - ბორუსია**

**არსენალი - ეინდჰოვენი**

| ჯგუფი A | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბორუსია | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| 2 არსენალი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:4 | 9 |
| 3 ეინდჰოვენი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| 4 ოსერი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |

აქ მესამე ადგილისთვის იბრძვიან. თუმცა, "არსენალი" და გერმანელები ჯგუფში პირველი ადგილისთვის ბრძოლას აპირებენ. საფრანგეთის "ოსერს" ჰოლანდიელებთან შედარებით საკუთარი მოედნის უპირატესობა აქვს.

**B ჯგუფი**

**ვალენსია - სპარტაკი**

**ბაზელი - ლივერპული**

| ჯგუფი B | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვალენსია | 5 | 4 | 1 | 0 | 14:4 | 13 |
| 2 ბაზელი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:8 | 8 |
| 3 ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 7 |
| 4 სპარტაკი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:15 | 0 |

"ვალენსია" მეორე ეტაპისთვის ემზადება. რაფაელ ბენიტესის გუნდმა 4 მატჩი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და არც ერთი არ წაუგია. ამ ჯგუფის და, ალბათ, საერთოდ, მიმდინარე სეზონის აღმოჩენად შვეიცარიის "ბაზელი" უნდა ჩაითვალოს. შვეიცარიელები უკანასკნელ შეხვედრას საკუთარ მოედანზე ატარებენ და მეორე ეტაპზე გასასვლელად ფრეც ჰყოფნით. ეს ჯგუფი მონაწილეთა აგრესიული, შედეგიანი თამაშით გამოირჩევა. მხოლოდ ორი მატჩი დასრულდა ფრედ და ორივე "ბაზელის" მონაწილეობით. "ლივერპულსა" და "ბაზელს" შორის პირველი შეხვედრა ენფილდზე ფრედ – 1:1 დასრულდა. სწორედ იმ მატჩის შემდეგ მოხვდა ურთულეს სიტუაციაში ჟერარ ულიეს გუნდი. დღეს ინგლისელებმა უნდა მოიგონ. სხვა შემთხვევში მეორე ეტაპზე შვეიცარიელები გადიან. ინგლისელებს ოუენის იმედი აქვთ. მან უკანასკნელ რვა მატჩში 10 გოლი გაიტანა. "სეზონის პირველ ნახევარში მომენტების 99 პროცენტს ვერ ვიყენებდი, - განაცხადა ოუენმა, -დღეს კი, პირიქით. თითქმის ყველა მომენტს ვიყენებ და საკუთარი თავის რწმენაც გამიორკეცდა". პრესკონფერენციაზე ჟერარ ულიემ თქვა, რომ დღეს მისი გუნდი მოიგებს და მეორე ეტაპზე გავა. კრისტიან გროსი, გუნდის ასეთი წარმატებების შემდეგ, ოპტიმისტურადაა განწყობილი. "ჩვენ არ წავაგეთ ენფილდზე. სასაცილოდ მეჩვენება საუბარი იმაზე, რომ "ლივერპული" სეზონის უმნიშვნელოვანეს შეხვედრას ატარებს. სეზონის მატჩი მათთვისაა, ჩვენთვის კი, კლუბის არსებობის მანძილზე, - უმნიშვნელოვანესი შეხვედრა."

**C ჯგუფი**

**გენკი - რეალი**

**რომა - აეკი**

| ჯგუფი C | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 14:8 | 8 |
| 2 რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 2:3 | 8 |
| 3 აეკი | 5 | 0 | 5 | 0 | 8:8 | 5 |
| 4 გენკი | 5 | 0 | 3 | 2 | 1:8 | 3 |

თუ სასწაული არ მოხდა, მომდევნო ეტაპზე, მადრიდის "რეალთან" ერთად, იტალიის "რომამ" უნდა ითამაშოს. თუმცა, ამ ჯგუფს სპეციალისტები, ცოტა არ იყოს, ირონიულადაც კი უყურებენ. ეს მადრიდელთა "ბრალია". კოლოსალურ თანხებს, რომელიც კლუბმა უკანასკნელი სატრანსფერო საქმიანობის დროს დახარჯა, "ამოღება" უნდა. "რეალმა" სტარტზე წაუგებელი გუნდის იმიჯი შეიქმნა. ამას მოჰყვა ორი ფრე ბერძენთა წინააღმდეგ და ქათინაურების კორიანტელი. თურმე, ესპანელები გაოცებული დარჩნენ "აეკის" სიძლიერით. დღეს სამეფო კლუბი ბელგიაში "გენკის" დამარცხებას და პრესტიჟის აღდგენას შეეცდება. ეს კი სულაც არ გახლავთ იოლი ამოცანა. ბელგიელებს უეფას თასის საგზური სურთ. დელ ბოსკეს გუნდმა იტალიელებსაც კარგი საჩუქარი მიართვა - "რომამ" ბერნაბეუზე მოიგო და, თუ მეორე ეტაპზე გავიდა, აუცილებლად ექნება "რეალის" ვალი, რომლის დაბრუნებასაც მადრიდელები პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში მოითხოვენ. საოცარ სიტუაციაში მოხვდა "აეკი". მას არც ერთი თამაში არ წაუგია, თუმცა, არც მოუგია - გუნდს ფრეების ეპიდემია შეეყარა. მოკლედ, აქ თითქმის ყველაფერი გარკვეულია. იტალიელებს ოსტატობა და კლასი კი უნდა ეყოთ, რომ საკუთარ მოედანზე ფრედ მაინც ითამაშონ.

**D ჯგუფი**

**როსენბორგი - ლიონი**

**აიაქსი - ინტერი**

| ჯგუფი D | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | 8 |
| 2 აიაქსი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| 3 ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:8 | 7 |
| 4 როსენბორგი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:11 | 3 |

საფრანგეთის "ლიონს" ყველაზე მეტი - თერთმეტი გოლი აქვს გატანილი. დღეს ფრანგები ჩადიან ნორვეგიაში, სადაც მათ ყოველგვარი მოტივაციის გარეშე დარჩენილი "როსენბორგი" დახვდება. ყველაზე მძიმე სიტუაციაში იტალიის "ინტერია". არსებობს რამდენიმე ვარიანტი. დავარქვათ "როსენბორგ"-"ლიონის" წყვილს A, ხოლო "აიაქს"-"ინტერისას" - B. ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც ყველა შესაძლო ვარიანტია მოცემული.

| A-ზე | B-ზე | პირველი | მეორე |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | აიაქსი | ინტერი |
| 1 | X | ინტერი | აიაქსი |
| 1 | 2 | ინტერი | აიაქსი |
| X | 1 | აიაქსი | ლიონი |
| X | X | ინტერი | აიაქსი |
| X | 2 | ინტერი | აიაქსი |
| 2 | 1 | აიაქსი | ლიონი |
| 2 | X | ლიონი | ინტერი |
| 2 | 2 | ინტერი | ლიონი |

ამსტერდამის "აიაქსი", ტრადიციულად, ძლიერად თამაშობს საკუთარ ამსტერდამ-არენაზე. იტალიის კლუბების წინააღმდეგ გამართული ცხრა მატჩიდან მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ, 1996-97 წლის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, ისიც, დღევანდელ მეტოქესთან, "ინტერთან" 1:2 წააგეს. ამსტერდამელებს სერიოზული დანაკლისი აქვთ. დღეს მოედანზე ვერ გავა გუნდის კაპიტანი კრისტიან კივუ. იგი "ლიონთან" მატჩში გააძევეს. სხვათა შორის, ამსტერდამელები უხეშობით გამოირჩევიან. კივუ "აიაქსის" მესამე ფეხბურთელია მიმდინარე სეზონში, რომელმაც წითელი ბარათი მიიღო.

## "მაუდის" ფეხბურთელს დახმარება სჭირდება!

საფეხბურთო კლუბ "მაუდის" წევრი ირაკლი კაკაბაძე ერთ-ერთი თამაშისას მძიმედ დაშავდა, რის გამოც სასწრაფოდ საჭიროებს ოპერაციას მოსკოვში.

კლუბის ხელმძღვანელობა და მისი პრეზიდენტი თხოვნით მიმართავს ყველას, ვისაც საშუალება აქვს, შეძლებისდაგვარად, გადარიცხონ თანხა ირაკლი კაკაბაძის პირად ანგარიშზე და დაეხმარონ მას საოპერაციოდ გამგზავრებაში.

***ანგარიშის ნომერია:***

*მიმღები ბანკი:* **ს.ს. "საქართველოს ბანკი",**

საკორესპონდენტო ანგარიში **N500168402** (კოდი) **220101502**

*მიმღები:* **ირაკლი კაკაბაძე**

*ანგარიშის ნომერი:* **996911892**


G1 ნათია ქუბაბრია ასაკი-18, 174/89/61/90, თვალის-თაფლის, თმა-ნაბლის


G2 ლიკა ლემონჯავა ასაკი-20, 169/92/65/95, თვალის-ყავის, თმა-ნაბლის


G3 სოფო ლეკიშვილი ასაკი-13, 168/81/65/88, თვალის-ცისფერი, თმა-ნაბლის


G4 თამუნა წივწივაძე ასაკი-14, 167/83/66/90, თვალის-შავი, თმა-შავი


G5 ნინო ხომერიკი ასაკი-18, 175/90/66/94, თვალის-თაფლის, თმა-ქერა


G6 ნინო გვარლიანი ასაკი-16, 177/86/62/93, თვალის-ყავის, თმა-შავი

## TV პროგრამა 12 ნოემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.50 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 სერიალი "ტალღის ქიმზე"
19.35 პერეკრესტოკი
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა "აიაქსი" - "ინტერი"
02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
03.00 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 მხ. ფილმი "ხელმეორედ ქორწინება"
11.35 დოკ. სერიალი "კონტაქტი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი "სამი სიცოცხლე და ერთი სიკვდილი"
17.15 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
17.40 სერიალი "ძილის წინ"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "და არს მუსიკა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 "სათავეებთან"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "სხვისი ცოლი და ქმარი საწოლქვეშ"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
08.00 "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით
13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
17.00 "კომედია" მხ.ფ. "თქვენთან წერილია"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 ჩაძირობანა
23.00 მოკლე სეანის
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ლიზა"
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "პონტები". მთ. როლში დევიდ ბოუი
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.20 ამბები ჩვენზე
20.45 ოქტაგონი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "სახლი რომელიც სვიფტმა ააშენა"

### ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "ჯეკნაიფი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 "ვესტი"
12.25, 21.30 "სალონი"
14.00 მუსიკალური პაუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00 სტუდია "ეკონომისტი"
00.00 მუსიკა
00.40 მხ.ფ. "რომეო და ჯულიეტა"

### იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.30 ბურთი და მოედანი
09.05 მხ. ფილმი "ქერათმიანი"
10.25 დოკ. სერიალი
10.45, 14.10, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
10.50 მხ.ფ. "მხედარი გვიახლოვდება"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "ოცნებების ზღვარზე"
22.30 ძველი კინო "ძირფესვიანად"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ.ფილმი "თავში უქრის"
13.30 მხ. ფილმი "უკვდავენი"
15.00 მხ. ფილმი "გონება და გრძნობა"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "მრბოლელი"
19.20 საექტრი
21.00 მხ. ფილმი "გაიცანით ჯო ბლექი"

### მეცხრე არხი

10.00 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
10.30 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
10.50 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
11.40 მხ. ფილმი "ლეგიონი"
13.15, 14.30, 17.30, 21.45, 23.45 მუსიკა
13.30 დოკ. ფილმი "ეს ცეკვაა"
14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
14.45 ქართ. მხ. ფილმი "ერთი ცის ქვეშ"
16.10 დოკ. ფილმი "განძი შანთად დაშთების"
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
17.45 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი"
20.50 სატირკო სანახაობა "ქიმერა"
21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "დელოსი ღვთაებრივი სინათლის კუნძული".
22.00 მხ.ფ. "გადასახადთა ამკრეფი"
00.00 მხ.ფ. "ციებ-ცხელება"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ისტორიული ფილმი "ნაპოლეონი "
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 მელოდრამა "ემა"
14.10 კომედია "არლეტი"
16.15 მულტფილმი
17.20 დრამა "სამხედრო ექიმი"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.40 მელოდრამა "უახლესი მეგობრის ქორწილი"
22.00, 00.00 "დღეს"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.10, 01.10 საინფორმაციო გამოშვება ფრანუგლ ენაზე
23.15 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება"
01.15 კომედია "ჩინური სერვიზი"
03.30 მელოდრამა "დღე და ღამე"
05.15 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.00 ანონსი 09.05 ამინდის პროგნოზი
09.35 "აჩიკუდა"
10.00 "ბედნიერი ერი"
10.05 "სახლიდან გაუსვლელად"
10.55 "ავტოტრეკინგი"
11.40 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
12.20 ანიმაცია
12.40 "სახლიდან გაუსვლელად"
13.20 "ბიორითმი"
13.40 დისნეი და მისი მეგობრები
14.00 "სახლიდან გაუსვლელად"
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.25 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.35 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
21.20 "ღამის კაპრიზი"
22.25 "სახლიდან გაუსვლელად"
22.55 "კინოკლუბი" - "პანდორის საათები"
00.25 პრესის მიმოხილვა
00.35 სპორტი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.20 "ბიორითმი"
01.45 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.05 Независимое расследование
11.55 "Фабрика звезд"
12.25 "Ералаш"
12.35 Дисней-клуб
13.15 Детектив "ГЕНИЙ И ЗЛОДЕЙСТВО"
15.00 Жди меня (с сурдопереводом)
16.15 "Фабрика звезд"
16.45 Детектив "ДОПОЛНИТЕЛЬНЫЙ ПРИБЫВАЕТ НА ВТОРОЙ ПУТЬ", 1 с.
18.00 "Большая стирка"
19.25 "Сами с усами"
20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
20.55 "Последний герой 2". "Разбитое сердце"
22.00, 01.00 Время
22.40 Сериал "НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ", 2 с.
23.45 "Дворцовые тайны времен Леонида Брежнева". Фильм 1
00.30 "Фабрика звезд"
01.20 "Теория невероятности"
01.50 "Идолы. Софи Лорен"
02.20 Комедия "ЖЕНЩИНА ЗА РУЛЕМ"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия"
09.45 Сериал "ТАЙГА"
10.40 Сериал "МАРШ ТУРЕЦКОГО-2"
11.45 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.15 Вести
12.20 Ток-шоу "Цена успеха"
13.15 Сериал "КОМИССАР РЕКС"
14.15 Экспертиза
14.30 Колосальное хозяйство.
14.45, 19.20, 21.35 Вести-Москва.
15.25 "Что хочет женщина"
16.20 Сериал "ВИЗИТ К МИНОТАВРУ"
17.45 Вести. Дежурная часть
18.20 Вокруг света
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал "ТАЙГА"
22.50 Сериал "МАРШ ТУРЕЦКОГО-2"
23.55 Вести. Дежурная часть
00.25 х.ф. "УБИЙСТВО В БЕЛОМ ДОМЕ"
02.35 Дорожный патруль.

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"





## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

[illegible]

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

[illegible]

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

[illegible]